დამტკიცებულია:
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
სხდომის ოქმი № 4, 2018 წლის 17 თებერვლის
დადგენილება №14

სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება - 2020-2021 წწ.

1. **უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მიზნები და ამოცანები**

1.1. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სივრცეში უმთავრესი საკითხია, ხოლო ხარისხის გაუმჯობესება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის შენარჩუნებასა და მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ცნება ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, მათ განხორციელებასა და მონიტორინგს მოიცავს: კვლევას, ანალიზს, განსაზღვრული ნორმის შეფასებას, მიგნებების გამოკვეთას, რეკომენდაციებს, დასკვნებს, მოთხოვნებს, ასევე, სხვადასხვა მექანიზმსა და სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფა მრავალეტაპიანია. ამ ეტაპებში შედის:

- დიზაინი;
- განვითარება;
- წარმოება;
- დანერგვა;
- მომსახურება;
- დოკუმენტაციის აღრიცხვა.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას;

1.2. ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებებსა და მოლოდინებს, რადგან უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება: სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის; სტუდენტების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა, კვლევისა და ინოვაციის ინტეგრირება. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია განსხვავებულ მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი და უმაღლესი განათლების ხარისხი განსხვავებულად განიხილონ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს.

1.3. ხარისხი ძირითადად სტუდენტს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სასწავლო გარემოს შორის ინტერაქციის შედეგია. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც პროგრამის შინაარსი, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები შესაბამისობაშია დასახულ მიზანთან, უნივერსიტეტის მისიასთან.

1.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მთავარი მიზანი ანგარიშვალდებულება და განვითარებაზე ზრუნვაა, რაც ქმნის ნდობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მიმართ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას, გამჭვირვალობას, უწყვეტობას, აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია და აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა.

ხარისხის განვითარების სისტემა ეფუძნება ხარისხის შიდა მექანიზმების თითოეული ფაკულტეტის განვითარების თავისებურებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი ვექტორია: ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისა და სამეცნიერო მუშაობის ისეთ განვითარებას, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სივრცეში იყოს სტუდენტების, პარტნიორების, საზოგადოების აღიარებისა და ნდობის მაგალითი.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია:

1. სწავლების, სწავლის, კვლევის და მართვის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
2. სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შესაძლებლობების რეალიზება;
3. სწავლების ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით, რომლებიც ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ, ციკლურ პროცესებს;

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე (PDCA) ციკლს, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ა) დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასებისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების პროცესების დაგეგმვას;

ბ) განახორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;

გ) შეაფასე - Check: განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძვლეზე საჭირო ცვლილებების განხორციელება, რაც გულისხმობს გამოყენებულ მექანიზმებთან, მიდგომებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებას პროცესის დახვეწისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

PDCA ციკლი გამოიყენება:

- როგორც უწყვეტი განვითარების მოდელი;
- როგორც ახალი პროექტის განვითარების შესაძლებლობა;
- როგორც პროცესის, პროდუქტის შექმნის ან ძველის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- მონაცემთა შეგროვების და ანალიზის დაგეგმვის პროცესში პრობლემების ან გამომწვევი მიზეზების დახარისხების და პრიორიტეტიზაციის მიზნით;
- ნებისმიერი ცვლილების დანერგვისას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტები:

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა (რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას).

ხარისხის გარე შეფასება მოიცავს:

- ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- არსებული საგნამანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი (ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული) პროგრამების შემუშავება, მათ შორის ერთობლივი პროგრამები;
- პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვა გარე შეფასების პროცესში;
- კოლეგების შეფასების (per-reviev) კულტურის დანერგვა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში.

თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო უსდ-ებთან

- პარტნიორ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი პროგრამების, უცხოენოვანი პროგრამების ერთობლივი და ორმაგი ხარისხით შემუშავების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან, უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით;
- საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა კოლეგიალური შეფასების, სემინარების, ტრენინგების, კონსულტაციების კუთხით;
- განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება უნივერსიტეტის სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ჩართულობის მიზნით;

➢ უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა პროგრამების პოპულარიზაციის, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებში გაწევრიანების გზით.

მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

➢ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;

➢ უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.

➢ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას, რასაც იყენებს პროგრამების და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისათვის, ანუ ახდენს პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებაზე. შეფასება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას. აღნიშნული პროცედურები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესში.

➢ უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან.

მონიტორინგი - როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი.

შეფასება - სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემური და ობიექტური შეფასება.
შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმის გააქტიურება.

და შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება;

3. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წაახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

➢ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურადაა ჩართული ყველა რგოლი;

➢ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას;

➢ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

➢ შემუშავებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;

➢ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩართულები არიან, როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ);

➢ პერიოდულად ახდენს მის მიერ მოწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

სწავლა/სწავლება

➢ პროცესების ხარისხის;

➢ პროგრამების ხარისხი;

➢ კურსადამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;

➢ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ჩარჩოს ფორმირება (პროცესები, პროცედურები, ნორმატიული აქტები);

➢ გაზომვად ინდიკატორებზე დაფუძნებული კომპლექსური ანგარიშგება-შეფასების სისტემის შექმნა;

➢ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში;

➢ სისტემური კვლევებისა და ანალიზების ჩატარება (SWOT ანალიზი);

➢ ანალიზის შედეგებისა და შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა;

კვლევა

- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისათვის გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა;
- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასება;
- სადოქტორო სწავლების გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგია

▪ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა;

▪ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

▪ .პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი;

▪ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;

▪ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;

▪ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;

▪ პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ;

▪ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი;

▪ აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;

▪ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

▪ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;

▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;

▪ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;

▪ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მააგისტრატურის დებულება;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულება;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული იყო რეკომედაციები:

- სწაცლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პროგრამების შეფასების პროცედურების ინდიკატორების გააქტიურება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე პროგრამების ხელმძღვანელების, კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის) დასწრების საშუალებით;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების გამოკითხვა ყოველსემსტრულად;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის გფანმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობის)სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვ.) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვიტარებაში;
- პერიოდულად პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან;
- სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილის გაზრდა;
- დისტანციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი მიდგომების გამოყენება სწავლებისას;
- ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა ეტაპობრივად;
- ინტერნეტმომსახურებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმების განახლება/ამოქმედება;
- კარიერული განვითარების წახალისება, პერსონალის დაფასება, აღიარება და დაჯილდოების მექანიზმების ამოქმედება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების სწორად დაგეგმილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულებაზე.

უნივერსიტეტში მოქმედმა ძირითადმა საგანმანათლებლო სტრუქტურულმა ერთეულებმა შეადგინეს შესაბამისი ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელმა და მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეტაპობრივად წარმოუდგინეს ანგარიშები, რომლის საფუძველზე განისაზღვრა რეკომედაციების შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობა.

- სწაცლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პროგრამების შეფასების პროცედურების ინდიკატორების გააქტიურება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე პროგრამების ხელმძღვანელების, კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის) დასწრების საშუალებით;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების გამოკითხვა ყოველსემსტრულად;

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის გფანმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობის)სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვ.) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვიტარებაში;
- პერიოდულად პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან;
- სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილის გაზრდა;
- დისტანციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი მიდგომების გამოყენება სწავლებისას;
- ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა ეტაპობრივად;
- ინტერნეტმომსახურებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმების განახლება/ამოქმედება;
- კარიერული განვითარების წახალისება, პერსონალის დაფასება, აღიარება და დაჯილდოების მექანიზმების ამოქმედება.

- **რეკომედაცია** - სწაცლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
  სასწავლო პროცესში სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს სწავლების ახალი მეთოდები, იმ მიდგომებისა და მეთოდების დახვეწა, რომლებიც ხელს უწყობს მომავალი თაობის არა მხოლოდ განათლებულ პიროვნებებად, არამედ საზოგადოების ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. 2019 წლის 7 მარტს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან წარმოდგენილი იქნა ERASMUS+ CURE ფარგლებში სწავლების ახალი მეთოდი-VAKE- Value and Knowledge Educationღირებულებაზე და ცოდნაზე დამოკიდებული სწავლება. საკითხი ასევე ეხება მორალური დილემის ცნების, მისი განხორციელებისათვის საჭირო გარემოსა და ხელისშემშლელი პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სასწავლო მაგალითების გაცნობას, სამომავლო გეგმებსა და უკვე პილოტირებული მეთოდის შესახებ გამოცდილების გაზიარებას. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების ურთიერთგაზიარებისა და დანეგვის მიზნით ამუშავდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნებაყოფლობითი ურთიერთადასწრება მეცადინეობებზე. ეს მიდგომა გაგრძელდა ელექტრონული სწავლების პროცესშიც.
- **რეკომედაცია** -ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ პროგრამების შეფასების პროცედურების ინდიკატორების გააქტიურება;
  2020 წელს უნივერსიტეტმა მოამზადა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის/რეაკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარადგინა: • ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (ახალია) (აკრედიტებული - 02.12.2020 წ. №1149299) • ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა (აკრედიტებული - 11.09.2020 წ. №820912); • აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა (აკრედიტებული - 01.02. 2021 წ. №49696); • სამართლის საბაკალავრო პროგრამა (აკარედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია); • სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა (აკარედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია); • აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 29.01. 2021 წ. №43852); ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №165)
  ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა (აკარედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია); აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით მიმდინარეობდა: ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ჯგუფური, თუ ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები; პროგრამების შეფასება გარე შემფასებლების მიერ; შიდა ხარისხის შეფასების პროცესში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაზიარება პროგრამების პრეზენტაციის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში ასახვა. ჩამოთვლილი პროგრამებიდან აკრედიტაციის საბჭოს მოლოდინშია ასტრონომიის სამაგისტრო

პროგრამა, სისხლის სამართლის სამაგისტრო და სამართლის საბაკალავრო პროგრამები. დანარჩენმა ზემოთ აღნიშნულმა პროგრამებმა მოიპოვა აკრედიტაცია. უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარეობს: სასწავლო კურსების სწავლის შედეგების (სტუდენტების მიერ), პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის პროცესი პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.

- **რეკომენდაცია** -აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე პროგრამების ხელმძღვანელების, კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის) დასწრების საშუალებით;

პროგრამების შეფასებაში გააქტიურდა პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ლექცია/სემინარზე დასწრება და სასწავლო კურსის მიმდინარეობის პროცესის შეფასება. გამოკვეთილი ფაქტობრივი მდგომარეობა აისახება ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ,,ლექცია/სემინარზე დასწრების ოქმში, სადაც პუნქტობრივად პასუხი უნდა გაეცეს მეცადინეობის ფორმატით დაგეგმილი აქტივობების შესრულებას პროგრამის ხელმძრვანელის მიერ. მიღებული შედეგები აისახება პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშში და განხილული იქნება ფაკულტეტის საბჭოზე. გააქტიურდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნებაყოფლობითი ურთიერთდასწება და კარგი გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა (ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი მონაცემები).

- **რეკომენდაცია** -პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების გამოკითხვა ყოველსემსტრულად;

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა“ დანართის სახით წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი კვლევების დასახელება - აქტივობა, კვლევის განხორციელების პერიოდულობა, სტრატეგიული მიზანი და ამოცანები. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების გამოკითხვა და მათი კმაყოფილების კვლევა მიმდინარეობს ყოველწლიურად, შესაბამისი კითხვარების საშუალებით. საანგარიშო პერიოდში პირველკურსელთა, ბაკალავრების, მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევის შეფასება ხარისხის სამსახურის გეგმის შესაბამისად განხორციელდა. ელექტრონული სწავლების ფორმაზე გადასვლის უზრუნველყოფის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების სრული ჩართულობისა და მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადდა კითხვარები გამოკითხვა ჩატარდა, ელექტრონული სწავლების დაწყების შემდეგ, 4-8 აპრილს, ელექტრონულად google. drive-ის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა და სტუდენტებმა. გაზაფხულის სემესტრის დასასრულს ჩატარდა კვლევა „დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალის შესაბამისად (კვლევის სრული ვერსია წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ანგარიშები, ხოლო კვლევის შეჯამებული, კონსოლიდირებული ანგარიში გაიგზავნა უნივერსიტეტის რექტორთან შემდგომი რეაგირებისათვის. კითხვარების დამუშავებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოიტანა დასკვნები და შეიმუშავა რეკომენდაციები. დასკვნები: ცალკეული კითხვების მიხედვით პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობას ელექტრონული სწავლებისას არ ექმნება სირთულეები სასწავლო პროცესის წარმართვის, სტუდენტთა შეფასებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. გამოკითხული პერსონალი ახერხებს სტუდენტთა კონსულტირებას on-line ფორმატში. პროცესის წარმატებით მიმდინარეობის მიუხედავვად, პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ არსებული საფრთხის გადავლის შემდეგ პრაქტიკულ მეცადინეობეზე გაკეთდეს უფრო მეტი აქცენტი. სტუდენტებთან კომუნიკაციისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს შემდეგ ელექტრონულ საშუალებებს: ძირითადად Moodle - Big Blue Button, მცირე ნაწილი კი - Messenger, ელ ფოსტა, Zoom, viber, WhatsApp, Skyps, Google Meet, სმარტფონი; პერსონალი გამოხატავს კმაყოფილებას უნივერსიტეტიდან მიღებული კონსულტაციებისა და თანამშრომლობისათვის. სწავლა/სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის პერსონალი აცნობიერებს როგორც საკუთარ, ასევე სტუდენტების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხებს. რეკომენდაციები: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს ელექტრონული სწავლების წესი და კონცეფცია; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმოს საკონსულტაციო სახის

შეხვედრები ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განმეორებით უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ელექტრონული სწავლებისთვის ტრენინგების ჩატარებას. ტრენინგების რაოდენობა განისაზღვროს საჭიროებების შესაბამისად; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოხდეს იმ სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელობითი განსაზღვრა, ვისაც აქვს ხელისშემშლელი გარემოებები ელექტრონულ საკომუნკაციო საშუალებებზე, მათი ხელშეწყობის მიზნით;

შემუშავდეს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ელექტრონულად/ დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი მექანიზმები. შემუშავდეს პასიურ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისათვის ელექტრონულად/ დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი მექანიზმები. შემუშავდეს ელექტრონული/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის მექანიზმები. გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას შემუშავდეს დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვისა და შეფასების მექანიზმები (სტუდენტებისა და აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების საშუალებით).

უნივერსიტეტის რეაგირების მექანიზმები:

გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას კვლავ ჩატარდა გამოკითხვა - დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, Google-drive-ს ფორმატში. დაცული იყო აკადემიური/ მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ანონიმურობა. კვლევა მეთოდოლოგია ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებს. კვლევის მიზანი იყო დისტანციური მუშაობის ეფექტურობის გაზომვა, ახალი მიგნებების იდენტიფიცირება, წინამორბედი რეკომენდაციების შესრულების ხარისხის გაზომვა და საბოლოო დასკვნის გამოტანა (კვლევის სრული ვერსია წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით). მიგნებები: კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 46,4% აფიქსირებს, რომ დისტანციური მუშაობის პერიოდში მათი დატვირთვა გაიზარდა; ტექნოლოგიური თვალსაზრისით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა გაუჭირდა 18,7 %-ს; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 80% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით დაეხმარა; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 70% აღნიშნავს, აქტიურად იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 30,3% აღნიშნავს, დასწრება გაიზარდა კონტაქტური სწავლების ფორმასთან შედარებით; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 55,1% აღნიშნავს, რომ მიაღწიეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს; ნაწილი კი - მეტწილად მიაღწიეს სწავლის შედეგებს; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 62,9% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდებოდა სტუდენტთა დასწრება; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 63,7% აღნიშნავს, რომ ფაკულტეტისა და ადმინისტრაციისგან იღებს უკუკავშირს; კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 16,5% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია უფრო სწრაფია დისტანციური მუშაობის პროცესში; უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკა 55,4% შეაფასა - კარგად, ხოლო 28,5% საშუალოდ.

დასკვნა: კვლევის შედეგები ადასტურებს რომ ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატი უნივერსიტეტში შედგა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსაც მიაღწია.

- **რეკომედაცია** -სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
  სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის განხორციელება თითოეული ფაკულტეტისთვის აქტუალურია საკითხია, რომელსაც სისტემური ხასიათი აქვს მიცემული პროგრამის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტების ჩართულობით. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები განხილული იყო ფაკულტეტის საბჭოზე.

- **რეკომედაცია** -პროგრამის გფანმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;

პროგრამის აკადემიური პერსონალის გამოკითხვა და შეფასება მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარეობს ყოველწლიურად. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს გასული ერთი აკადემიური წლის სამუშაოს ანგარიში და თვითშეფასება. 2019- 2020 წლის დასაწყისში ჩატარდა გამოკითხვა. უნივერსიტეტის 64 აკადემიური პერსონალიდან 62- მა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა (ორი აკადემიური პერსონალი არ მონაწილეობდა უცხოეთში სამუშაო ვიზიტის გამო). რესპოდენტები გაცნობიერებული აქვთ კვლევის მიზანი და ამოცანა და ამიტომ ჩატარებულ კვლევაში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მასალა), რომელშიც ჩანდა მათი ღიაობა როგორც თვითშეფასების ნაწილში, ასევე უნივერსიტეტის მხრიდან იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობდა მათ მიერ სწავლა/სწავლების პროცესის კიდევ უფრო უკეთესად წარმართვას. აღნიშნული კვლევისთვის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია:

კვლევის მიზანი:

უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევა სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით; აკადემიური პერსონალის საჭიროებების გამოკვეთა მათი სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებისთვის; აკადემიური პერსონალის თვითშეფასების მაჩვენებლის განსაზღვრა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიგნებების გამოკვეთა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან დასკვნების გაკეთება; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების შემუშავება და ფაკულტეტების ინფორმირებულობა.

კვლევის ამოცანა:

პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო პროექტების/პროგრამების შესახებ? პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმების შესახებ?

გისარგებლიათ თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმებით? პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტების შესახებ? პერსონალს მოპოვებული აქვს თუ არა სამეცნიერო გრანტი ან/და შიდა გრანტი? პერსონალი მონაწილეობდა თუ არა ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მიერ გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებში? პერსონალს აქვს თუ არა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისაგან მხარდაჭერა სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში? დაასახელეთ კონკრეტულად რა სახის ტრენინგები გჭირდებათ თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად? მიუთითეთ, თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კონკრეტულად რომელ ოფიციალურ დაწესებულებებში გჭირდებათ მივლინება (წინამორბედი გამოკითხვის შედეგების დასაზუსტებლად)? უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა. რამდენად კმაყოფილი ხართ შეფასების აღნიშნული ფორმით? რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სავალდებულო აკადემიური დატვირთვით (სხვა მოსაზრება ხომ არ გაგაჩნიათ)? აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისთვის ხომ არ გსურთ დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა, ან რაიმე ცვლილება? როგორ შეაფასებდით თქვენს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის მიხედვით (ერთიდან ხუთ ქულამდე)? მონაწილეობთ თუ არა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებში, რომელიც ეხება ბიბლიომეტრული ბაზების გამოყენებას? მიუთითეთ თქვენი სასწავლო კურსის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების შესახებ. გთხოვთ, დამატებით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები

მიგნებები:

აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში უკუკავშირით მიღებული მოსაზრების შემდეგ შეტანილია საერთაშორისო სასწავლო გრანტების/პროექტების ხელმძღვანელობა და ფასდება 200 საათით, ხოლო მონაწილეობა შეფასებულია 100 საათით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მსჯელობა.

დასკვნები:

- გასულ აკადემიურ წელთან შედარებით პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემით კმაყოფილებისა და თვითშეფასების კვლევასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილება და თვითშეფასებების მაჩვენებლები საგრძნობლად გაზრდილია.
- აკადემიურ პერსონალს პედაგოგიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით გაცნობიერებული აქვს ტრენინგების საჭიროება, რაც მათ მაღალ აკადემიურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს და რომელთა გარკვეული ნაწილის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მხრიდან შესაძლებელია.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიურ პერსონალთან უნდა ჩატარდეს შეხვედრები; დეტალურად გააცნოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროცესების განვითარების მიზნით სწავლა/სწავლების პროცესთან დაკავშირებულ კვლევებში პერსონალის ჩართულობის როლი, მათი უკუკავშირის მნიშვნელობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების ფარგლებში, პროგრამების შემუშავებაში ჩართულ პერსონალთან (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, დამხარე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები) მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გაცნობა.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის ხელმძღვანელს, ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაეგზავნოს მიღებული კვლევის შედეგებზე შემუშავებული რეკომედაციები შემდგომი რეაგირებისათვის.

- **რეკომედაცია** -პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;

რეკომედაციის შესრულების აღწერასა და შეფასებაში ნათქვამი იყო, ზოგიერთი პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდს წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომები/პროექტები. იმ პროგრამებისთვის, რომელშიც სწავლის შედეგის მისაღწევად განსაზღვრული იყო საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომი/პროექტი, ეს შედეგი ყველა პროგრამისთვის მიღწეულია, მათ შორის სადოქტორო საფეხურზე (ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უკვე წარუდგინა პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიას. შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომს მიეცემა მსვლელობა). გარკვეულწილად სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორს, ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოადგენს დარგის/მიმართულების ფარგლებში სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და კონფერენციებში მონაწილეობა. ამ კუთხით უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო კონფერენციები, რომლებშიც ათეულობით სტუდენტი ღებულობს მონაწილეობას. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გაზაფხულის სემესტრში ინფორმაციული ტექნოლოფიების მიმართულებით რესპუბლიკურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ფაკულტეტების მიერ განხილულია ფაკულტეტის საბჭოებზე და გამოგზავნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, წარმოგიდგენთ მაგალითს:

- ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პირდაპირი მეთოდითკრებსითი გამოცდით შეფასდა მე-4 სწავლის შედეგი: ასტრონომიის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ტესტირებაში მონაწილება მიიღო ოთხმა სტუდენტმა, დიაგრამის გამოსახულებიდან ჩანს, რომ პროგრამის სწავლის შედეგი მიღწეულია.

- **რეკომენდაცია** -პერსონალის საქმიანობის)სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვ.) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა ამოქმედდა 2018-2019 სასწავლო წელს ქულობრივი შეფასების სისტემით, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ერთი აკადემიური წლის მუშაობის შეფასება მოხდა უკვე მოდიფიცირებული (ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე) შეფასების სისტემით, რომელშიც პერსონალის სამუშაო აქტივობა გამოსახულია საათობრივ მაჩვენებლებში. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის როგორც აკადემიური, ასვე სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ მონაცემების მოგროვება და მისი შეფასება მნიშვნელოვანია პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის. ფაკულტეტებიდან წარმოდგენილმა აკადემიური პერსონალის 2019-2020 სასწავლო წლის ანგარიშებმა თავი მოიყარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სადაც მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ერთიანი სურათი ძირითადი მიმართულებების შესაბამისად:

იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების საერთო რაოდენობაა - 37; საერთაშორისო გამოცემებში - 58; საერაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა - 65; ადგილობრივ გამოცემებში - 48; საუნივერსიტეტო გამოცემებში - 48; სასწავლო გრანტებში - 14; სამეცნიერო გრანტებში - 4; შიდა გრანტი - 1; სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები - 18; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ხელმძღვანელობა - 42. აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ახორციელებს სამეცნიერო ხასიათის საკონსულტაციო და საექპერტო საქმიანობას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მონაწილეობენ ან ორგანიზებას უწევენ საზოგადოებრივი ხასიათის სამეცნიეროპოპულარულ აქტივობებს (სემინარი, ტრენინგი, ვორკშოფი, საზაფხულო, საზამთრო სკოლა, უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებული კვლევა (სტუდენტთა, პროფესორთა) როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მონაწილეობენ ან ორგანიზებას უწევენ საზოგადოებრივი ხასიათის სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები (საჯარო ლექცია, ექსკურსია, ტრენინგი, სემინარი და ა.შ.). ზოგიერთი მათგანი ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საათობრივი ფორმულირება. აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვით გათვალისიწინებული გეგმიურზე ნაკლები საათების რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საკითხს, არკვევს მიზეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მომდევნო წლის აკადემიური პერსონალის შეფასებისას ანალოგიური მდგომარეობის შემთხვევაში სვამს აკადემიური პერსონალის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხს. როგორც გეგმიურზე ნაკლები, ისე გეგმიურზე მეტი რაოდენობის საათების შესრულება აისახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშში.

- **რეკომენდაცია** -პერიოდულად პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან;

რეკომენდაციასთან შესაბამისი პროცესი საგანმანთლებლო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან უნივერსიტეტში დაწყებულია. ამ ეტაპზე კლასტერულ აკრედიტაციაზე წარდგენა უწევს ჰუმანიტარული მიმართულებების პროგრამებს, რომელსაც ასეთი ახალი გამოწვევისთვის ხანგრძლივი, მიზანდასახული და ეტაპობრივი მუშაობა სჭირდება

- **რეკომენდაცია** -სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილის გაზრდა;

  2020 წლის გაზაფხულის სემესტრიდან (20 მარტიდან) უნივერსიტეტი გდავიდა ელექტრონულ სწავლებაზე,რისთვისაც საჭირო გახდა ახალი წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება: 1) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი; 2) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია.

  3) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტში ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მექანიზმები.

- **რეკომენდაცია** -დისტანციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;

უნივერსიტეტის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე აკადემიური პერსონალისთვის მუდმივად ტარდებოდა კონსულტეციები და ინდივიდუალური სწავლებები. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ (2020 წლის მარტი) შეიქმნა Moodle- ის გამოყენების ვიდეო ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია Moodle-ში, როგრც სასწავლო კურსები. 2020 წლის სექტემბერში, სანამ კონტაქტური სწავლება მიმდინარეობდა, ჩატარდა ტრეინინგები ფაკულტეტებზე შექმნილ ჯგიფებში Moodle-ის გამოყენების შესახებ და დემატა ტექნოლოგიებიდან ის საკითხები, რაც სჭირდებათ ელექტრონული კურსის მოსამზადებლად და Moodle-ში ჩაშენებული BigBlueButtonBN ვიდეო შეხვედრის ჩასატარებლად. ჯგუფური ტერენინგების გარდა მიმდინარეობდა ინდივიდუალური სწავლება სურვილისამებრ. რაც შეეხება სტუდენტთა ინფორმირებულობას ამ მიმართულებით, ყოველთვის სექტემბრის პირველ ნახევარში უტარდებათ შეხვედრა სპეციალისტებთან, რომლებიც აცნობენ უნივერსიტეტში ელექტრონულ რესურს მთლიანად: საიტს და მის შიგთავსს, თუ რა ინფორმაციის მიღება შეიძლება იქიდან, უნივერსიტეტის სუდენტთა ფეისბუქ გვერდს და სტუდენტთა დახურულ ჯგუფს, ელექტრონული სწავლების პლატფორმა Moodle-ს და სასაწავლო პროცესის მართვის სიტემას. Moodle-ის და სასაწავლო პროცესის მართვის სიტემას ეთმობა ცალკე დრო და სწავლობენ მათ მოხმარებას. ამის გარდა Moodle-ის მოხმარების ვიდეო ინსტრუქციები დევს როგორც სასწავლო კურსები უშუალოდ Moodle-ში. ხოლო Moodle-ის პირველივე გვერდზე დევს პროგრამაში შესვლის და ამ ინსტრუქციებამდე მისვლის ვიდეო ინსტრუქცია. სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომია Moodle-ის ადმინისტრატორის და ელ.სწავლების ხელმძღვანელის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სწავლება- კონსულტაციები.

- **რეკომედაცია** -სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი მიდგომების გამოყენება სწავლებისას;

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევებისას გამოიკვეთა სტუდენტთა კონტინგენტი, რომელსაც ელექტრონული სწავლების პროცესში ჩასართავად სჭირდებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან დახმარება. მოხდა იმ სტუდენტების სახელობითი განსაზღვრა, ვისაც ჰქონდა ხელისშემშლელი გარემოებები ელექტრონულ საკომუნკაციო საშუალებებზე წვდომასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მიერ, სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, მოხდა მათი დაფინანსება ინტერნეტპაკეტის ღირებულებით;

- **რეკომედაცია** -ლაბორატორიების შექმნა/აღჭურვა ეტაპობრივად;

უნივერსიტეტის მიერ შეძენილი და დამონტაჟებულია ლაბორატორიები ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, აგრონომიის საბაკალვრო, ეკოლოგიის საბაკალავრო, აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, დგას ლაბორატორიული ანალიზების ჩასატარებლად სპეციალური მაგიდები, ელექტრო სასწორისთვის მოწყობილია კუთხე, სადაც დგას ელექტროსასწორი, ასევე დამონტაჟებულია საშრობი კარადა, ცენტრიფუგა, შეძენილია ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად შესაბამისი ჭურჭელი და რეაქტივები. დგას ავტოკლავი და სხვა საჭირო ინვენტარი ლაბორატორიული ანალიზებისთვის. ასევე ლაბორატორიაში მოწყობილია ცალკე მაგიდები მიკროსკოპთან სამუშაოდ. ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტითა და კომპიუტერებით.

- **რეკომედაცია** -ინტერნეტმომსახურებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გაუმჯობესება;

2020 წელს Covid 19-ის გამო, საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, აქტიურად ჩაერთო ონლაინ სწავლების რეჟიმიში. იმისათვის, რომ სასწავლო პლატფორმა Moodle-სათვის შექმნილიყო საჭირო ელექტრონული სახელმძღვანელოები, 2020 წლის მარტში კიდევ ერთხელ გადამოწმდა ყველა პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის თავსებადობა საბიბლიოთეკო ფონდთან. მოხერხდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილების გაათმაგებული მუშაობის შედეგად (ხდებოდა მოთხოვნილი სახელმძღვანელოების დასკანერება

თემატიკის მიხედვით), საჭირო ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფა სასწავლო პლატფორმა Moodle- სათვის. Moodle–ში აიტვირთა ახალი 2020 წლის ჯერ საგაზაფხულო და შემდეგ საშემოდგომო სემესტრის, განახლებული სილაბუსების მიხედვით საჭირო ლიტერატურის ელექტრონული მასალა. ხოლო იმ რესურსისთვის, რომელიც ტევადობით იყო დიდი და ვერ ხერხდებოდა Moodleში ატვირთვა, სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შექმნა სპეციალური google. drive -ის ლინკები სადაც, დარგებისა და მიმართულებების მიხედვით განთავსდა ელექტრონული სახელმძღვანელოები. google. Drive - ის ლინკები დაეგზავნათ ლექტორებს, სასწავლო პლატფორმა Moodle-ის ადმინს, განთავსდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფეისბუქ გვერდზე (ჯგუფებშიც). ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი ონლაინ რეჟიმში უწყვეტად ანხორციელებდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნების შესრულებას.

- **რეკომედაცია** -უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;

  სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობით და მოკლევადინი გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეუძლია აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს. უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Erasmus+ პროექტებში. (ICM) 2020 წლიდან განვაახლეთ დაფინანსება იასის უნივერსიტეტთან, რუმინეთში. როგორც პროფესორებს შეუძლიათ ჩაერთონ მობილობაში, ასევე სტუდენტებს შეძლიათ მიიღონ ევროკავშირისგან გამოყოფილი გრანტები. მიმდინარე წლის მაისში დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორ ინგა ღუტიძის ვიზიტი იაზის უნივერსიტეტში. 2020 წლის გამოცხადებაზე KA107 მოვიპოვეთ დაფინანსება ტამპარეს უნივერსიტეტთან, ფინეთში. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტები მონაწილეობას მიიღებენ Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში Erasmus+ სლოვაკეთის - რუზომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის გამოცხადებაზე მონაწილეობდა განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი სტუდენტი. გაზაფხულის სემესტრში - დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალვრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი მარიამ გელაშვილი, რომელიც უკვე დაბრუნდა უნივერსიტეტში, ხოლო შემოდგომის სემესტრში - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი ემა ნაზარეტიანი. რომელიც ჯერ არ დაბრუნებულა საქართველოში. პარტნიორები სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დადასტურებულ პარტნიორებს დაემატა • სლოვაკეთი, რუზომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი; • ფინეთი, ტამპარეს უნივერსიტეტი. საერთაშორისო პროექტები სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE), აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის და ერასმუსის პროექტები. 2020 წლის მონაცემით მიმდინარე პროექტებს დაემატა Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითრების პროექტები: 1. ,,უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში "RURD პროექტის მიზანია, ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროექტში ჩართულია: საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტები და 4 ევროპული პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვადან. პროექტში ასევე ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2019 წლის ნოემბერში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე პროექტი შეჩერდა რამდენიმე თვით და განახლდა 2021 წლის იანვარში. 2. პროექტი ERASMUS+ Capacity Building პროექტის "ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის" (Establishment of Psychological Counselling Centers at Georgian HEIs for Students) პროექტის

კორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია, პროექტში ჩართულია 9 ქართული უნივერსიტეტი და ორი ევროპის უნივერსიტეტი 1. ტრანსილვანიის უნივერსიტეტი ბრასოვში https://www.unitbv.ro/en/about-us.html (რუმინეთი) 2. ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი. პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტი გურანდა მოდებაძე. პროექტი გრძელდება 3 წელი და ამოქმედდა 2021 წლის 15 იანვრიდან.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროექტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 53359 ევრო. პროექტის კოორდინატორია - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების უფროსი სპეციალისტი გურანდა მოდებაძე. მკვლევარები: ქეთვან ნარიმანიშვილი (მოწვეული სპეციალისტი), გულიკო ბექაური (ასოცირებული პროფესორი). 3.2020 წელს ევროკავშირის ERASMUS+ -ის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი სახელწოდებითDeveloping and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs/DITECH, პროექტის ავტორები: თსუ-ს პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი და სამცხეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თინა გელაშვილი; პროექტის აპლიკანტი და კოორდინატორი ვილნიუსის უნივერსიტეტი (ვილნიუსი), ხოლო სჯსუ პროექტში ჩართულია როგორც პარტნიორი. პროექტი დაიწყო ოფიციალურად 2021 წლის 15 იანვრიდან, ამ ეტაპზე (25-30 იანვარი, 2021) პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 565 554 ევრო, მ.შ. სჯსუ-ს წილი - 56 339 ევრო. პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი 2021-2024. უნივერსიტეტიდან პროექტში ჩართული არიან როგორც პროფესორები, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

- **რეკომენდაცია** -აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმების განახლება/ამოქმედება;

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა და ამოქმედდა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“, რომლის მიზანია: ა) პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც უნივერსიტეტს მასთან მიმართებით გააჩნია; ბ) პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენისთვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი შეფასების მოდელის შექმნა და პერიოდული განვითარება; გ) პერსონალის დროის განაწილების მონაცემების შეგროვება და დანახარჯების გამჭვირვალეობა; დ) პერსონალის ცალკეული წევრების მიერ გატარებული მრავალფეროვანი საქმიანობის შესაბამისად აკადემიური დატვირთვების მენეჯმენტთან კოორდინირებული მიდგომა; ე) პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; ვ) შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; ზ) დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაზომვა და გაუმჯობესება. პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია ♣ შეფასება/თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ: აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, დამხმარე პერსონალი და სტუდენტები. თვითშეფასების მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც უშუალო კავშირშია სამუშაოსშესრულების ხარისხთან, ასახულია უნივერსიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშის ფორმებსა და თვითშეფასების კითხვარებში: ა) დამხმარე პერსონალის თვითშეფასების კითხვარი (დანართი 1.); ბ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ დამხმარე პერსონალის შეფასება (დანართი 2); გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიში (დანართი 3); დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევა სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით (თვითშეფასება)(დანართი 4); ე) სააუდიტორიო მეცადინეობაზე პროგრამის ხელმძღვანელის დასწრების ოქმი (დანართი 5.); ვ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმი (დანართი 6); ზ) სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების კითხვარი (დანართი 7). ♣ შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, დაუშვებელია მისი გასაჯაროება და მესამე პირთან განხილვა. თითოეული თანამშრომლის შეფასების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ შემფასებლისათვის და ინფორმაციის დამუშავებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი/პირებისათვის. თანამშრომელს აქვს

უფლება გაეცნოს თავისი საქმიანობის შეფასების საბოლოო შედეგს. ♣ შეფასების პროცესის ეფექტიანად და დაუბრკოლებლად წარმართვისათვის აუცილებელია შეფასებაში მონაწილე ყველა პირის ინფორმირებულობა, თანამშრომლებთან აქტიური კომუნიკაცია, შეფასების ფორმასთან დაკავშირებული ინფორმაციის ადეკვატურად მიწოდება, შეფასების მიზნების განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ შეფასება ემსახურება პოზიტიური შედეგების მიღწევას, ორგანიზაციული კულტურის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

- **რეკომედაცია** -კარიერული განვითარების წახალისება, პერსონალის დაფასება, აღიარება და დაჯილდოების მექანიზმების ამოქმედება.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმის "სტრატეგიული მიზანი 1.1: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით; ამოცანა 1.1.2: საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსის მოზიდვა და შენარჩუნება; აქტივობა: აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისას მისი კვლევის შედეგების გათვალისწინება და ასახვა" შესრულებულია ,, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" (წარმომადგენლობითი საბჭოს 23 თებერვლის №8 დადგენილება ოქმი №2). 1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით: ა) აკადემიური პერსონალის - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით; ბ) აკადემიური პერსონალის, რომელიც ამავე დროს პროგრამის ხელმძღვანელია - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილ ოდენობას დამატებული 100 (ასი) ლარი;

გ) აკადემიური პერსონალის, რომელიც ამავე დროს პროგრამის თანახელმძღვანელია - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილ ოდენობას დამატებული 50 (ორმოცდაათი) ლარი; 2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ერთ საკონტაქტო საათზე განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით: ა) პირებს, რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი - 20 (ოცი) ლარის ოდენობით; ბ) პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი - 13 (ცამეტი) ლარის ოდენობით; 3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით: ა) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით; ბ) არასაშტატო დამხმარე პერსონალის - ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით.

2020 წელის 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი დათმობილი ჰქონდა ,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე" ანგარიშის მომზადებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სამუშაო შეხვედრის ინიცირებისა და სამუშაო პროცესების კორდინირების პროცესში

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე" ანგარიშის მომზადებაზე ზრუნვა 2020 წლის თებერვლის ბოლოს დაიწყო. პირველი სამუშაო შეხვედრის ინიცირება მოხდა 2020 წლის 24 თებერვალს, უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მაკა ბერიძის მიერ, რომელმაც შეხვედრაში მონაწილე საუნივერსიტეტო საზოგადოებას გააცნო რეკომედაციების ჩამონათვალი, რჩევები, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ საუკეთესო პრაქტიკად შეფასებული უნივერსიტეტის აქტივობები და შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კორდინირებას რექტორთან ერთად გაუწევდა: ადმინისტრაციის სამსახური, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პრორექტორები

სამეცნიერო და სასწავლო დარგებში, ხოლო მიღებული შედეგების განხილვა და დამტკიცება მოხდებოდა აკადემიურ საბჭოზე.

სამუშაო ჯგუფების პასუხისმგებლობების სფეროები განისაზღვრა რეკომედაციების შინაარსის, აკრედიტაციის სტანდარტებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული, თუ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების პერსონალის პასუხისმგებლობებისა და კომპეტენციის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე" ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელშიც რეკომენდაციები განაწილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნასთან ერთად გაეგზავნა სამუშაო ჯგუფის წევრებს.

ადმინისტრაციის სამსახურის მიერ ძირითადი სტრუქტურულ ერთეულებთან უკუკავშირის საფუძველზე, შემუშავდა უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რომელშიც სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი დაკავშირებულია ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან (სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №24, დამტკიცებული 2021 წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტი).

შეხვედრა სამუშაო ჯგუფთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაიმართა 2020 წლის 28 თებერვალს (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №9, 28.02.2020 წ.). ყოველი შეხვედრის შემდეგ განსაზღვრული იყო მომდევნო შეხვედრის თარიღი რეკომედაციის შესრულების საჭიროებიდან გამომდინარე.

მომდევნო შეხვედრა შედგა ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების დეკანებთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალისტებთან პროგრამების განვითარებასთან, სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური პერსონალის სამუშაო ანაგრიშების მომზადებასთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №10, 05.03.2020 წ.). აღნიშნული პროცესი მრავალეტაპიანია და ინფორმაციის მოწოდება ხდებოდა მეილების საშუალებით.

Covid-19-ით გამოწვეული ვითარებასთან მიმართებაში სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დისტანციურ სამუშაო ფორმაში გადასვლის გამო უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად მომდევნო პერიოდის სამოქმედო გეგმის განხილვა, რომელიც ითვალისწინებდა თითოეული ფაკულტეტის მიერ რეაკრედიტაციისთვის მოსამზადებელ პროგრამებზე მუშაობას და მასში ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებას (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №11, 12.03.2020 წ.).

გარკვეული რეკომენდაციების შესრულება, ელექტრონული პროცესის მართვის სისტემების ეფექტურობის გაზრდა-გამოყენებასა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისათვის ტრენინგების ჩატარება სასწავლო პლატფორმის Moodle- ის გამოყენებაში, ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება დაემთვხა Covid-19-ის პერიოდს, რომლის შესრულებასა და განხორციელებაში მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება იყო ჩართული და შეიქმნა როგორც მარეგულირებელი დოკუმენტები, ასევე ჩატარდა კვლევები ელექტრონული სწავლებით კმაყოფილებასა (2020 წლის 4-8 აპრილი) და ელექტრონული სწავლების ეფექტურობის გაზომვასთან დაკავშირებით (გაზაფხულის სემესტრის ბოლოს).

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელის მიერ 2020 წლის 01 აპრილს წარმოდგენილი იყო შუალედური ანგარიში „სამეცნიერო ბიბლიოთეკის დამატებითი სერვისები ახალი რეგულაციების გათვალისწინებით", ხოლო იანვრის ბოლოს - ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის აღწერა, შესრულება და მტკიცებულებები.

ამავე პერიოდში სამუშაო ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომედაციასთან დაკავშირებით მოდიფიცირებული „აკადემიური/მოწვეული პერსონალის ერთი აკადემიური წლის სამუშაო ანგარიშის" ფორმის განხილვა, რომელიც შემდეგ გაერთიანდა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ „პერსონალის შეფასების წესში (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №12, 30.04.2020 წ.), ხოლო საუნივერსიტეტო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღების შემდეგ დოკუმენტი დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე.

ელექტრონული პლატფორმა moodle-ის პროგრამაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა გაფართოებული სხდომა, რომელზეც სამუშაო ჯგუფის კორდინატორებმა წარმოადგენეს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობაზე არსებული სურათი. გამოიკვეთა რეკომედაციების დიდი ნაწილი, რომელთა შესრულება შესაძლებელი და მიღწევადი იყო ერთი წლის საანგარიშო პერიოდში, თუმცა არსებობდა რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელსაც ეტაპობრივად სჭირდებოდა დანერგვა და

განვითარება, მაგრამ უნივერსიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა ეტაპობრივად მიეღწია ავტორიზაციის პერიოდში (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №13, 002.06.2020 წ.),

საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება მიმდინარეობდა მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, რადგან აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და მუდმივად ცდილობს სტუდენტებისა, თუ პერსონალის საერთაშორისო სასწავლო პროექტებში/გრანტებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვას.

შეხვედრებში აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის იურისტი.

რეკომენდაციების ფარგლებში მოდიფიცირებული, თუ ახალი დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება ხდებოდა ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე.

სამუშაო ჯგუფებთან ეტაპობრივად ხდებოდა შეხვედრები შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით.

,,ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ ანგარიშის მომზადება და მტკიცებულებების წარმოდგენა დასრულდება მომდევნო წლის თებერვლის დასაწყისში.

რეკომენდაცია:

სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მონიტორინგში, პრიორიტეტულ საქმიანობებსა და სამომავლო ცვლილებებში.

ადმინისტრაციის სამსახურის მიერ ძირითადი სტრუქტურულ ერთეულებთან უკუკავშირის საფუძველზე, შემუშავდა უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რომელშიც სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი დაკავშირებულია ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან. მათ შორის,

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმის ,, **სტრატეგიული მიზანი 1.1:** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით; **ამოცანა 1.1.2**: საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსის მოზიდვა და შენარჩუნება; **აქტივობა:** აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისას მისი კვლევის შედეგების გათვალისწინება და ასახვა“ შესრულებულია ,, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ (წარმომადგენლობითი საბჭოს 23 თებერვლის №8 დადგენილება ოქმი №2).

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით:

ა) აკადემიური პერსონალის - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით;

ბ) აკადემიური პერსონალის, რომელიც ამავე დროს პროგრამის ხელმძღვანელია - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილ ოდენობას დამატებული 100 (ასი) ლარი;

გ) აკადემიური პერსონალის, რომელიც ამავე დროს პროგრამის თანახელმძღვანელია - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილ ოდენობას დამატებული 50 (ორმოცდაათი) ლარი;

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ერთ საკონტაქტო საათზე განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით:

ა) პირებს, რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი - 20 (ოცი) ლარის ოდენობით;

ბ) პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ხარისხი - 13 (ცამეტი) ლარის ოდენობით;

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი წესითა და ოდენობით:

ა) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით;

ბ) არასაშტატო დამხმარე პერსონალის - ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 10 (ათი) პროცენტით გაზრდილი ოდენობით.

რეკომედაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

ინდიკატორები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს მიზნებს (სამიზნე ნიშნულებს).

უნივერსიტეს შემუშავებული აქვს ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამწლიანი (2019-2021 წწ.) სამოქმედო გეგმა. ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომედაციების გათვალისწინებით, სტრატეგიული მიზნით გათვალისწინებული ამოცანების აქტივობებში იდიკატორების შესაბამისად განისაზღვრა ინდიკატორები, რომელიც უშუალო კავშირშია სამიზნე ნიშნულებთან.

რეკომედაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

ფაკულტეტები უფრო მეტად უნდა უკავშირდებოდნენ სტრატეგიულ გეგმას განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც მათ განვითარებას ეხება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის განახლება/მოდიცირება ხდება გარე ხარისხის შეფასებების, უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული SWOT ანალიზის, ქვეყნისა, თუ რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით და სხვ.

ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმების მჭიდრო კავშირი მიგვაჩნია მნიშვნელოვნად რადგან უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების უმეტესობა სწორედ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე გადაიხედა არსებული 2020 წლის სამოქმედო გეგმა და თითოეულ მიზანსა და ამოცანას, რომელთა შესრულება დაკავშირებული იყო ფინანსურ რესურსთან განესაზღვრა კონკრეტული საჭირო თანხა, თუმცა პანდემიის გამო შექმნილმა სიტუაციამ, სამწუხაროდ დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვნად განხორციელების შესრულების საშუალება არ მოგცა.

რეკომენდაცია სრულად შესრულდა და აისახა 2021 წლის სამოქმედო გეგმაში. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის თანახმად.

თითოეულ ფაკულტეტზე წინასწარ მოხდა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება, განხილვა და ფაკულტეტის საბჭოზე მისი დამტკიცება. რეკომენდაციის შესაბამისად განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტზე. სტარტეგიული გეგმიდან გამომდინარე სამოქმედო გეგემებზე დაფუძნებული ბიუჯეტი ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებასთან ერთად შემდგომი მსვლელობისთვის გაეგზავნა წარმომადგენლობით საბჭოს.

პროცესის შედეგად მოხდა ფაკულტეტების სამოქმედო გეგმის გადახედვა და მათი მოდიფიცირება. სამოქმედო გეგმებში არსებულ ზოგად ჩანაწერებში ჩაემატა დეტალური ინფორმაცია. მაგალითად, აქტივობა ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის მომზადება და ახალი სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზაცია“ დაკონკრეტდა. რეალურად, აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს:

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარდგენას;

ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე განსაზღვრულია მისთვის საჭირო ფინანსური რესურსი. მაგალითად, იმავე ფაკულტეტის ბიუჯეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამისთვის გათვალისწინებულია - 25 000 ლარი. იგი ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლში გაიწერა (15 000 აკრედიტაციის საფასური, 7 ათასი ლარი - ბეჭდვითი ხარჯი, 3 ათასი ლარი შესაბამისი მიმართულების საბიბლიოთეკო რესურსი).

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმასთან დაახლოებული ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის შედგენა (სათანადო ფინანსური დასაბუთებითა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში ასახვით), მისი განხორციელებისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

ზოგადი ჩანაწერები თითოეული ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული ინფორმაციის მითითებით.

რეკომედაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რადგან ეს ორი სფერო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეხება. ამ ორი განყოფილების ფუნქციები განსხვავებულია და სხვადასხვა უნარებს მოითხოვს. საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფისის შექმნის ამჟამინდელი გეგმა არ შეიძლება ემსახურებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს.

2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა უნივერსიტეტის რესტრუქტურიზაციის მიზნით მის სტრუქტურასა და საშტატო განრიგზე მუშაობა. პროცესი იყო ღია და მასში მონაწილეობდნენ: ფაკულტეტის საბჭოები, სხვადასხვა სტრუქეტურული ერთეულები, სტუდენტები. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში განხილვის პროცესში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და კვლავ გაგრძელდა მისი განხილვა. „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტის ადმინსიტრაციული და დამხმარე პრსონალის საშტატო ერთუელების განრიგის“ პროექტი გაიგზავნა უნივერსიტეტის თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულებთან სამსჯელოდ უკუკავშირის მისაღებად.

პროექტი განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

განხილვისას განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, უნივერსიტეტმა აღნიშნული პროექტის მომზადებისას რამდენად გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ გაცემული რეკომედაციები. პროექტის მიხედვით უზრუნველყოფილია ცალკეული ადმინისტრაციული სამსახურების, განყოფილებებისა და ცენტრების შექმნა, რომლებსაც ეყოლება ხელმძღვანელები და რიგ შემთხვევებში მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი. კონკრეტული რეკომენდაცია დოკუმენტში ასახულია შემდეგნაირად: შეიქმნება **ფინანსური დაგეგმარებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური,** რომელსაც ეყოლება სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი; **საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის ცენტრი,** რომელსაც ეყოლება ცენტრის ხელმძღვანელი. **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება წარმოდგენილი იქნება სამი საშტატო ერთეულით**: განყოფილების უფროსი, უფროსი სპეციალისტი (ვებგვერდი) და სპეციალისტი.

რესტრუქტურიზაციის პროცესი და დაგეგმილი ცვლილებები საჭიროებს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №52/ნ, 2014 წლის 13 მაისი) ცვლილებას. ამ ეტაზე უნივერსიტეტი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროსთვის ცვლილებების წარდგენის პროცესშია.

რეკომედაცია შესრულების პროცესი დაწყებულია. მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების ამოქმედებას.

რეკომენდაცია:

დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

უნივერსიტეტმა განიხილა რეკომენდაციის შესრულების გზები იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც ამჯერად არსებობს. საუკეთესო შესაძლებლობად მიჩნეულ იქნა დოქტორანტურის საფეხურის საგანმნათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს რეკომენდაციის შესრულება. შესაბამისად,

1. 2021 წელს ეკონომიკის, ქართული ფილოლოგიისა და ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად აუცილებელ წინაპირობად დადგინდა ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება (ინგლისური განისაზღვრა ერთადერთ ენად);
2. შეიცვალა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების ფორმატი და შემოწმდა შემდეგი კომპეტენციები: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი.

უნივერსიტეტში მოქმედ ოთხივე ფაკულტეტს მიეცა რეკომენდაცია, პერსონალის მოწვევისას გაითვალისწინებულ იქნას მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ფლობის მაღალი კომპეტენცია.

ახალგაზრდა კადრებთან თანამშრომლობა და აქტიური კომუნიკაცია, ფაკულტეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით, ახალ სტანდარტზე გადავდივართ, რომელიც სერიოზულ წარმატებებს მოუტანს უნივერსიტეტს და თითოეულ ფაკულტეტს.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოცილაურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაზფხულის სემესტრში მოწვეულია 4 დოქტორანტი, 2 შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრი, მათგან 2 ქართული ფილოლოგიის პროგრამის მიმართულებით, 3 განათლების, 1 ინგლისური ფილოლოგიის.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 6 დოქტორანტი.

სამეცნიერო კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში მათი ჩართვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს. ისინი მზად არიან თავიაანთი აქტიური მონაწილეობით, მაღალი მოტივაციით, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად დანერგონ და განახორციელონ ახალი და საინტერესო იდეები.

ჩვენი აზრით, უნივერსიტეტის ასეთი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ ჩართვას სხვადასხვა მიმართულებით. ეს პროცესი დინამიკური იქნება, რისთვისაც ფაკულტეტი გამოხატავს მზაობას და მხარდაჭერას კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების ჩართულობასთან დაკავშირებით.

უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიზნით, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თურქეთის რესპუბლიკის ყარსის უნივერსიტეტს გაზაფხულის სემესტრის ბოლოს დაგეგმილია საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც ჩართული არიან ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული სპეციალიტები, მათ შორის ახალგაზრდა დოქტორები.

რეკომედაციის შესრულების პროცესი არაერთჯერადია, მის შეასრულებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგმულია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრში იყოს ზუსტი მონაცემები.

აღნიშნულ რეკომედაციასთან დაკავშირებით, შემოწმდა რეესტრის მონაცემები, შედარდა ავტორიზაციის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას და გამოიკვეთა, რომ ავტორიზაციის ანგარიშში მითითებული არ იყო ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რადგან ავტორიზაციის ანგარიშის წარდგენის დროისთვის პროგრამა ჯერ არ ხორციელდებოდა. რადგან პროგრამა ვერ მოხვდა ანგარიშში, შესაბამისად მასში არ შევიდა ინფორმაცია ვეტერინარიის მიმართულების აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების შესახებ. ექსპერტთა ვიზიტის დროს უნივერსიტეტის რეესტრში დაფიქსირებულმა და ანგარიშში არ შეტანილმა მონაცემებმა გარკვეული უზუსტობის განცდა შექმნა.

ვეტერინარიის ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი მიღება გამოცხადდა 2020-2021 სასწავლო წლისთვის. პროგრამა ამოქმედდა შემოდგომის სემესტრიდან. რეესტრში ასახულია ზუსტი მონაცემები აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.

2020 წელს უნივერსიტეტმა მოამზადა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარადგინა:

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა;
- აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა;
- ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა;

პროგრამების ნაწილმა აკრედიტაცია მოიპოვა 2018 წლის შემდეგ, შესაბამისად ისინიც განახლებულია ახალი სტანდარტების შესაბამისად. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში დარჩენილია მხოლოდ ჰუმანიტარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა გადამუშავება, განახლება და რეაკრედიტაციისათვის მომზადება აქტიურად მიმდინარეობს, რადგან 2022 წელს მათაც ეწურებათ აკრედიტაციის ვადა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული მიმართულების პროგრამების მომზადება კლასტერულ აკრედიტაციაზე წარსადგენად.

რეკომენდაციის შესაბამისად სააკრედიტაციოდ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურებში პერმანენტულად ხდებოდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების უნივერსიტეტში მოწვევა (პანდემიის პერიოდში შეხვედრები იმართებოდა უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა MOODLE-ის საშუალებით) და პროგრამის პრეზენტაცია. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს, რჩევებს, რეკომენდაციებს, დარგობრივ მახასიათებლებს (სამართლის საბაკალავრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში). სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან კითხვარების საშუალებით ჩატარებული კვლევის შედეგები. პროგრამების შეფასების პროცესებში ჩართული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გარე შემფასებლები.

იმისათვის, რომ პროცესი არ აქტიურდებოდეს აკრედიტაციის ვადების მოახლოებასთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით შემუშავდა მნიშვნელოვანი მექანიზმი: საგანმანათკებლო პროგრამის კურიკულუმის განვითარების აქტივობათა გეგმა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ფაკულტეტის დონეზე.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებისა და ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის სამსახური და აღნიშნული სამსახურის მიერ შესასრულებელი ფუნქციები დელეგირებულია ფაკულტეტის ხარისხის სპეციალისტზე. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ საშტატო განრიგში გათვალისწინებულია ფაკულტეტის ხარისხის სამსახური. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის სტრუქტურის რეორგანიზაციისას მოაზრებულია ფაკულტეტების რეორგანიზაციაც, მაგალითად:

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა - სავეტერინარო მედიცინისა და აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტად;

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტისა - ეკონომიკის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტად;

იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი ცვლილებები გამოიწვევს ფაკულტეტებზე პროგრამების ცვლილებებსაც, რეორგანიზაციის დასრულებისთანავე გაიმართება ფაკულტეტებზე არჩევნები და ხარისხის სამსახურის ფორმირება.

უნივერსიტეტში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში გარკვეულ ფაკულტეტბზე სტუდენტები ჩართული იყვნენ 2017 წლიდან (ბიზნესის ადმინისტრირების დაკულტეტის საბჭოს დადგენილება №03.07, 01.20.2019 წ.), რომლის კარგი პრაქტიკა გაზიარებული იქნა სხვა ფაკულტეტების მიერ, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №9.; 28.06.2019 წ.) იურიდიულ ფაკულტეტზე (იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება №1.2.; 22.01.2020 წ.), განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი ოქმი №.08/05; 16.09.2020 წ.).

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიან, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №2, 20.02.2020 წ.): 2400 სტუდენტით (მათ შორის, ქ. ახალციხეში 2100 ადგილი და ქ. ახალქალაქში 300 ადგილი).

.კრიტიკულად გადაიხედა ,,სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაის“ შესაბამისად თითოეული პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული ოდენობა.

ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 1.

ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1/1	1/1	2020
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/11,3	1/15	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	6,2/1	8/1	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/2,1	1/1,2	2022
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/24,2	1/30	2022
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/2,2	1/2	2023
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	95%	96 %	2023
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	54%	60%	2025
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	12%	45%	2025

ცხრილი 2.

ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1,5/1	1,5/1	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/20	1/20	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	7,5/1	8/1	2020
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/1,7	1/1,2	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/35,2	1/32	2022
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/2,3	1/2	2023
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	95%	96	2023
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	45%	52%	2023
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	0	45%	2025

ცხრილი 3.

ფაკულტეტის დასახელება: იურიდიული	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1/1,5	1/1	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/20,8	1/20	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	5/1	8/1	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/3,7	1/2	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/60	1/20	2023
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	-	-	-

აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	95%	96%	2022
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	60%	65%	2023
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	-	-	-

ცხრილი 4.

ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1/2,3	1/1,1	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/7	1/15	2023
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	3,7/1	5/1	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/3,3	1/1,5	2023
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/23,5	1/32	2022
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1/1,2	1/2	2023
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	95%	96%	2023
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	43%	45%	2023
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	0	45%	2025

ცხრილი 5.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან				
№	**ფაკულტეტის დასახელება**	**ფაქტობრივი მაჩვენებელი**	**სამიზნე ნიშნული**	**სამიზნე ნიშნულის მოსალოდნელი თარიღი**
1	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა	1/11,3	1/15	2022
2	ბიზნესის ადმინისტრირება	1/20	1/20	2022
3	იურიდიული	1/20,8	1/20	2022
4	ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	1/7	1/15	2023

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №2, 20.02.2020 წ.): 2400 სტუდენტით (მათ შორის, ქ. ახალციხეში 2100 ადგილი და ქ. ახალქალაქში 300 ადგილი).

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

პროგრამების მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აკრედიტაციის მიმდინარეობის მიუხედავად, რათა მოხდეს შესაბამისი დარგების განვითარების შეფასება.

ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციის შესრულება უნივერსიტეტმა განიხილა შემდეგ რეკომენდაციასთან კავშირში: **უზრუნველვყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.**

- პროგრამის შიდა შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
- შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება კურსის დასახვეწად;
- მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში შეტანილია ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის განვითარების აქტივობათა გეგმის შემუშავებას, რაც იქცევა იმის გარანტიად, რომ პროგრამებზე მუშაობა არ უკავშირდებოდეს მხოლდ აკრედიტაციის პროცესს.

გარდა იმისა, რომ პროგრამის მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რეკომენდაციის შესრულების პროცესში გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია მონიტორინგის შედეგებზე დროული რეაგირება, რაც პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობის გარეშე შეუძლებელია.

დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელის გაზრდილი ფუნქციების, მოვალეობების გათვალისწინებით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის წახალისებისა და სტიმულირებისთვის მიზანშეწონილად მიიჩნია სახელფასო დანამატი (სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის №8 დადგენილება პერსონალის შრომის ნაზღაურების განსაზღვრის შესახებ).

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.

საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა გამომდინარეს საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებიდან ან/და დარგობრივი მახასიათებლებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროგრამების უმეტეს ნაწილში, სწავლის სფეროს შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტი და საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება გათვალისწინებულია უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურის შესაბამისად. ავტორიზაციის ანგარიშის რეკომენდაციის გათვალისწინებით თითოეულ პროგრაში გადაიხედა პრაქტიკაზე და საკვალიფიკაციო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდა აღნიშნული მითითების შესაბამისად სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების მოდიფიცირება. თითოეულ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წინ უსწრებს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას.

დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედ თითოეულ პროგრამაში:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება:

- **ქართული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილია 5 კრედიტის მოცულობით და დაშვების წინაპირობას წარმოადგენს
- **ისტორიის საბაკალავრო** პროგრამაში 10 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებულია საბაკალვრო ნაშრომი და/ან ორი 5-5 კრედიტიანი სასწავლო კურსები (ქართული ნუმიზმატიკა და მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები). საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები. ქართული ნუმიზმატიკის სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობაა საქართველოს ისტორიის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლებზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები. ქართული ნუმიზმატიკის სასწავლო კურსში შეფასების ერთერთ კომპონენტს წარმოადგენს პროექტის მომზადება-პრეზენტაცია, ხოლო მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლების სასწავლო კურსში - ესე პრეზენტაციით.
- **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი / ან ბიზნეს ინგლისური წარმოდგენილია 5კრედიტის მოცულობით და დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენა VII.
- **ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო** პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტით და მასზე დაშვების წინაპირობაა სავალდებულო სასწავლო კურსები. მესამე სემესტრში არჩევითი კურსის სახით მომზადდება საკურსო შრომა 5 კრედიტის მოცულობით.
- **ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო** პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტით და მასზე დაშვების წინაპირობაა სამაგისტრო პროგრამის სრული კურსი.
- **საქართველოს ისტორიის სამაგისტრო** პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტით და მასზე დაშვების წინაპირობაა სავალდებულო სასწავლო კურსები.
- **დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულში 36 კრედიტის მოცულობით, მეორე სემესტრიდან მეცხრე სემესტრის ჩათვლით და შედგება პრაქტიკა 1 (გაცნობითი), პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3, პრაქტიკა 4, პრაქტიკა 5, პრაქტიკა 6, პრაქტიკა 7 და პრაქტიკა 8. პრაქტიკა 1- გაცნობითი ხასიათისაა და დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, ხოლო ყოველი წინა სემესტრით გათვალისწინებული პრაქტიკა, ლოგიკური თანმიმდევრობით, დაშვების წინაპირობაა მისი მომდევნო სემესტრის პრაქტიკისათვის. მეათე სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსია - სემინარი 5 კრედიტის მოცულობით და მასზე დაშვების წინაპირობაა სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების სასწავლო კურსი. სამეცნიერო კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი მეათე სემესტრშია 15 კრედიტით და მასზე დაშვების წინაპირობაა პრაქტიკა 8.

იურიდიულ ფაკულტეტზე ხორციელდება: სამართლის საბაკალავრო, საჯარო მმართველოს საბაკალვრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.

- **სამართლის საბაკალავრო** საგანმანთლებლო პროგრამაში პრაქტიკული კურსები წარმოდგენილია მე-7 სემსტრში პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისად:
  - საჯარო სამართლის მოდულში - საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი;
  - კერძო სამართლის მოდულში - კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი;
  - სისხლის სამართლის მოდულში – სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი;

მე-8 სემსტრში 10 კრედიტის მოცულობით ისწავლება პრაქტიკული კურსი - იურიდიული კლინიკა, რომლის დაშვების წინაპირობას წარმოდგენს სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი და კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი.

- **საჯარო მმართველობის** საბაკალავრო პროგრამაში პროფესიულიპრაქტიკა წარმოდგენილია მერვე სემსტრში, 5 კრედიტის მოცულობით და დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კურსი -ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი.
- **სისხლის სამართლის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამაში გათვლისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც წარმოდგენილია მესამე სემესტრში სასწავლო კურსით ,,იურიდიული კლინიკა" 18 კრედიტის მოცულობით. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კურსი ,,პროფესიული ეთიკა". ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, მეოთხე სემესტრში. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი და პროფესიული პრაქტიკა.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ხორციელდება ეკონომიკის საბაკალავრო, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.

- **ეკონომიკის საბაკალავრო** პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომი/არჩევითი სასწავლო კურსი 10 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები;
- **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო** პროგრამა შედგება: საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის და ფინანსების სპეციალობების მოდულებისაგან. თითოეული მოდული ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს 5 კრედიტის მოცულობით, პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები. საბაკალვრო ნაშრომი/პროექტი/არჩევითი, წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით და მასზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები.
- **ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო** პროგრამაში მეშვიდე სემესტრში გათვლისწინებულია სამაგისტრო პრაქტიკა 30 კრედიტის მოცულობით და მასზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები. სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია მერვე სემესტრში 30 კრედიტის მოცულობით და მასზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის სამაგისტრო პრაქტიკა.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება:

- **ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო** პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს მე-8 სემესტრამდე გავლილი სპეციალობის სავალდებულოსასწავლო კურსები.
- **აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო** პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილი მეექვსე, მეშვიდე და მერვე სემესტრებში 7-7 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკა 1-ის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კურსი - მიწათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიები მექანიზაციის საფუძვლებით. პრაქტიკა 2-ის წინაპირობაა პრაქტიკა 2, ხოლო საველე პრაქტიკის დაშვების წინაპირობაა - ექსტენცია და ინოვაცია. საბაკალავრო ნაშრომის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პრაქტიკა 2.
- **ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო** პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია მეშვიდე და მერვე სემესტრებში 5-5 კრედიტის მოცულობით. სასწავლო პრაქტიკა I-ის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს VII სემესტრამდე პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ათვისება, ხოლო სასწავლო პრაქტიკა II -ის დაშვების წინაპირობაა სასწავლო პრაქტიკა I. მერვე სემეტრში 10 კრედიტის მოცულობით არჩევითია საბაკალავრო ნაშრომი/სურსათის უვნებლობა/ჰიგიენური მოთხოვნები წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი/სამთოწარმოების ეკოლოგია. საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო კრედიტების ათვისება.
- **ასტრონომიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამაში გათვლისწინებულია საწარმოო პრაქტიკა მესამე სემესტრში 10 კრედიტის მოცულობით. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკამდე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, მეოთხე სემესტრში. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკა.
- **აგროტექნოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 8 მაისს რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამაში გათვლისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც წარმოდგენილია მესამე სემესტრში სასწავლო კურსით 10 კრედიტის მოცულობით. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს მესამე სემესტრამდე

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, მეოთხე სემესტრში. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

- **ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 8 მაისს რეაკრედიტაციის მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამაში გათვლისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც წარმოდგენილია მესამე სემესტრში 10 კრედიტის მოცულობით. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს მესამე სემესტრამდე პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, მეოთხე სემესტრში. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.
- **ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი - სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა 24 კრედიტის მოცულობითაა წარმოდგენილი, გათვალისწინებულია მერვე-მეათე სემესტრებში და შედგება:

1. პრაქტიკული ტრენინგი მეცხოველეობის ფერმაში - 3 კრედიტი;
2. პრაქტიკული ტრენინგი გამრავლების ბიოტექნოლოგიასა და მეანობა რეპროდუქციულ დაავადებებში - 5 კრედიტი;
3. პრაქტიკული ტრენინგი წვრილი ცხოველების მედიცინაში - 6 კრედიტი;
4. პრაქტიკული ტრენინგი პროდუქტიული ცხოველების მედიცინაში - 5 კრედიტი;
5. პრაქტიკული ტრენინგი სურსათის უვნებლობასა და ვეტერინარულ ზედამხედველობაში - 5 კრედიტი.

დაშვების წინაპირობად თითოეული მათგანი ითვალისწინებს ძირითადი სწავლის სფეროს კონკრეტულ სავალდებულო სასწავლო კურსებს.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 20 კრედიტის მოცულობით მეათე სემესტრში და მასზე დაშვების წინაპირობაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ სამაგისტრო დონის და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, რათა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი დონის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო წერასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან.

აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის გადახედვასთან დაკავშირებით ცალსახად მისაღებია თითოეული პროგრამის განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში უკვე ხორციელდება **ოთხი სადოქტორო და ათი სამაგისტრო პროგრამა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა როგორც ახალი და რეაკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების შემუშავებისას, ასევე სხვა მოქმედი პროგრამების განვითარებისათვისაც. საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილმა: ბიზნეს-ინფორმატიკის, აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამებმა აკრედიტაცია მოიპოვა 2020-2021 წლებში, სისხლის სამართლისა და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამები სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია რეაკრედიტაზე.

რეკომენდაცია ასახულია პროგრამის სტრუქტურაში შემდეგნაირად:

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 02.12.2020 წ. №1149299)

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 40 კრედიტი, აკადემიური წერის უნარების განმტკიცებას, ასევე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდენობაში კვლევების ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებს ითვალისწინებს შემდეგი სასწავლო კურსები: კორპუსლინგვისტიკა და ინტერდისციპლინური კვლევები, ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის პრობლემატიკა, ენათა კონტაქტების შესწავლის თანამედროვე ტენდენციები, ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები და სხვა ითვალისწინებს როგორც.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 19.12 2019 წ. №244)

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 60 კრედიტი, რომელშიც სასწავლო კურსები ,,სამეცნიერო წერის მეთოდები“ და ,,კვლევის მეთოდები“ სავალდებულოა და მოცავს 5-5 კრედიტს.

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №28)

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 45 კრედიტი, რომელშიც ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები" და ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები" სავალდებულოა და მოცავს 5-5 კრედიტს, ხოლო ,,თვისობრივი კვლევის მეთოდები" წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსის სახით 5 კრედიტის მოცულობით.

აგრონომიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №29)

აგრონომიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 50 კრედიტი, რომელშიც სასწავლო კურსები ,,კვლევის თანამედროვე მეთოდები აგრონომიაში" და ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები" სავალდებულოა და მოცავს 5-5 კრედიტს.

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 08.08 2018 წ. №97)

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის მოდული - პედაგოგიკა-ფსიქოლოგია წარმოდგენილია სასწავლოკურსებით: ,,შესავალი განათლების კვლევის მეთოდებში" – 5 კრედიტი და ,,კვლევის მეთოდები განათლებაში - 6 კრედიტის მოცულობით. და პრაქტიკის კვლევის მოდულში სასწავლო კურსი ,,სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები" წარმოდგენილია 4 კრედიტის მოცულობით, ხოლო თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა" – 3 კრედიტით.

ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №395)

ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი ,,სამეცნიერო ნაშრომის მომზადების კრიტერიუმები" სავალდებულო სასწავლო კურსია და ისწავლება 5 კრედიტის ფარგლებში.

ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 13.09 2012 წ. №397)

ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი ,,ახალი ტექნოლოგიებით ენის დოკუმენტირება და კვლევა" 5 კრედიტი, ,,ეთნოლინგვისტიკა" (კვლევის თანამედროვე მეთოდები 5 კრედიტი, ონომასტიკური მასალის შესწავლა და სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები 5 კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №165)

სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები - სავალდებულო სასწავლო კურსია, წარმოდგენილი 5 კრედიტით.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ()

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი, დარგობრივი მახასიათებლებზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელშიც სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების სწავლებას დათმობილი აქვს 6 კრედიტი.

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული 30.11.2020 წ. №1138262)

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების სწავლებას დათმობილი აქვს 3 კრედიტი.

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული №29.01. 2021 წ. №43852)

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების სწავლებას დათმობილი აქვს 3 კრედიტი. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკა 1 და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდიკა 2 წარმოდგენილია 13 კრედიტის მოცულობით.

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (წარდგენილია რეაკრედიტაციაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში)

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების სწავლებას დათმობილი აქვს 3 კრედიტი. ცდათა და დაკვირვებათა შედეგების მათემატიკური დამუშავება წარმოდგენილია 5 კრედიტით.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 19.12.2019 წ. №241)

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური წერის სასწავლო კურსი წარმოდგენილია 3 კრედიტით, ვეტერინარული ლაბორატორიული კვლევის მეთოდები 4 კრედიტით.

რეკომენდაცია:

მოახდინეთ სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია გარკვეულ პროგრამებში, რათა მოხდეს პროგრამის მთლიანი შედეგების (რომელთა მიღწევაც შეიძლება დამოწმდეს) აღწერა.

საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები ცალსახად უნდა ითვალისწინებდეს, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დარგის, მიმართულების, დარგობრივი მახასიათებლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის სწორად განსაზღვრასა და აღწერას, რომელიც მიღწეული იქნება სწავლა/სწავლებისა და შეფასების პერიოდში.

დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის 26 აკრედიტებული პროგრამა. პროგრამების უმეტესობამ აკრედიტაცია მოიპოვა 2018 წლის შემდეგ. რამდენიმე საგანმანთლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო 2012 წელს. თითოეულ პროგრამაში წლების განმავლობაში ეტაპობრივად ხდებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, სავალდებულო ლიტერატურის განახლება, ასევე სწავლის შედეგების მოდიფიცირება - *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.*

ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მოამზადა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარადგინა:

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა;
- აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა;
- ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა;

საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობამ უკვე მოიპოვა აკრედიტაცია, ხოლო სამ პროგრამაზე უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს მოლოდინშია.

თითოეული ზემოთ აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადების პერიოდში პერმანენტულად ხდებოდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების უნივერსიტეტში მოწვევა (პანდემიის პერიოდში შეხვედრები იმართებოდა უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა MOODLE-ის საშუალებით) და პროგრამის სრულყოფილი პრეზენტაცია. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს, რჩევებს, რეკომენდაციებს, დარგობრივ მახასიათებლებს (სამართლის საბაკალავრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში). სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან კითხვარების საშუალებით ჩატარებული კვლევის შედეგები.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე აუცილებელია მომავალი დოქტორებისათვის, რადგან ისინი, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მკვლევარების ახალი თაობა იქნებიან. უზრუნველყავით ამ პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევა.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსადმთავრებულების ერთ-ერთი დამსაქმებელი თვითონ უნივერსიტეტია, რომელიც კარგად აცნობიერებს კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებზე თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ თავდაუზოგავად ცდილობს განავითაროს არსებული, დაგეგმოს და შეიმუშაოს დოქტორანტურის საფეხურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულებას უნივერსიტეტი განიხილავს შემდეგ რეკომენდაციასთან კავშირში; **დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ**

ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

დღეისათვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ,,ქართული ფილოლოგიის" სადოქოტო პროგრამა
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტს თითოეული სადოქტორო პროგრამისთვის შემუშავებული აქვს შესაბამისი ფაკულტეტის ,,დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება" და ,,გზამკვლევი დოქტორანტებისათვის", რომლებშიც აღწერილია, 4 პროგრამიდან 3 პროგრამაზე, დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე სავალდებულო მოთხოვნად. კერძოდ, პროგრამების წინაპირობა ითვალისწინებს: „დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში. ინგლისური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის, ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL; IELTS; FCE), ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხოეთში გაცემულ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ).

დარჩენილ ერთ პროგრამაში (აგრონომია) დაგეგმილია რეაკრედიტაციაზე წარდგენისას წინაპირობის მოდიფიცირება.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამოყენება. გახადეთ სისტემა უფრო ინფორმაციული და ეფექტური სწავლის გაუმჯობესებისა და სტუდენტების უკუკავშირისთვის.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ელექტრონულ ურთიერთკავშირს ადმინისტრაციას, პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. სერვისი მოიცავს: სტუდენტების რეესტრს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინფორმაციის შეტანა/დამუშავებას, სასწავლო კურსების რეესტრს (კრედიტი, წინაპირობა), საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, სილაბუსების ბაზას, სტუდენტის ინდივიდუალურ პანელს.

აღნიშნული ინფორმაციის შეტანის შედეგად სისტემა ამუშავებს მონაცემებს და იძლევა შემდეგ შედეგებს: სხვადასხვა საბეჭდი ფორმები (სტუდენტის ბარათი, უწყისი, დიპლომის დანართი), სტატისტიკური რეპორტები. აღნშნული სერვისი ასევე მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას - სტუდენტის აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით სისტემა აძლევს საშუალებას სტუდენტებს თავად დაგეგმონ აკადემიური კალენდარი, დარეგისტრირდნენ დადგენილ დროს სასურველ სასწავლო კურსებზე (რასაც ითვალისწინებს სტუდენტის სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით).

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად სტუდენტს თავისი პროფილის პაროლი ენიჭება. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტმა შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება: განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება, ნახოს სასწავლო

ბარათი, მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები, გაეცნოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, გაეცნოს სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გააკონტროლოს გადახდილი თანხები, მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ. სწავლის დასრულების შემდეგ პროგრამულად ხდება დიპლომის დანართის ფორმირება.

სასწავლო პროცესის მართვის სისტემა წარმოადგენს ვებსაიტს, განთავსებულს ინტერნეტში, რაც იძლევა საშუალებას ვისარგებლოთ ამ სისტემით როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ, პერსონალური კომპიუტერით, ლეპტოპით, პლანშეტით, სმარტფონით, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. სისტემაში შესასვლელად ბრაუზერში უნდა გადავიდეთ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან.

სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება ატარებს ტრეინინგებს ბაკალავრიატის პირველკურსელებთან. ტრეინინგი ტარდება უნივერსიტეტის სამივე კორპუსში, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. ასევე ხდება სტუდენტების დარეგისტრირება მართვის სისტემაში და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ შეცვალონ პირველადი პაროლი, რათა დაცული იყოს მათი კონფიდეციალურობა. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებთან მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა. 2020 წლის იანვრიდან დღემდე სტუდენტებთან ჩატარებულია როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები, რათა მათ შეძლონ მართვის სისტემის შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენება. ასეთი შეხვედრები დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება პერმანენტულად.

რაც შეეხება მართვის სისტემას, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, ისიც საჭიროებს ცვლილებას და სრულყოფას. დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტის მხრიდან მიმდინარეობს მოლაპარაკება პროგრამის ავტორთან პროგრამაში შესატანი ცვლილებების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამა უნდა გაიმართოს ახალო კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. შეტანილი ცვლილებების გასაცნობად გაიმართება შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი დაკავშირებულია უნივერსიტეტის მისიასთან, არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი, რადგან გათვალისწინებულია თუ რა კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა: პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლის მიზნებს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი მიიღწევა გარკვეული სასწავლო კურსების ერთობლიობით, რომლებსაც სწავლის შედეგის მიღწევაში აქვთ წილობრივი შესაბამისობა (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). სწავლის შედეგების გაზომვა ხდება იმ სასწავლო კურსების ერთობლიობით ან აქტივობებით, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევაში განმამტკიცებელ წილობრივ შესაბამისობას უზრუნველყოფენ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, დროს, შეგროვებას, ანალიზს, მიღებული შედეგების საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირებას;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი:

- ✓ პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;
- ✓ სწავლის შედეგებისა და სტუდენტის შეფასება;
- ✓ სამიზნე ნიშნულები.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების აღწერა წარმოდგენილია ცხრილების სახით: მაგალითად,

სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები**				**სამიზნე ნიშნულები**
	პირდაპირი		**არაპირდაპირი**		
	მეთოდი	**დრო**	**მეთოდი**	**დრო**	

1	კონფერენცია სემინარი სადისერტაციო ნაშრომი	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;	სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ	წარმატებული - 20 % დამაკმაყოფილებელი 70% წარუმატებელი - 10%
2	სემინარი სადისერტაციო ნაშრომი	სწავლის პროცესში წინასწარი განხილვა დისერტაციის დაცვა	თემის ხელმძღვანელის დაკვირვება;	სასწავლო პროცესში	A-10% B-25% C-30% D-25% E-10%. F – 0 %. Fx - 0 %.
3					
4					

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს: თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს იმ ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას, რომელიც მიიღწევა გარკვეული სასწავლო კურსების ერთობლიობით - კრებსითი (დამატებითი) გამოცდით (ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით, მაგრამ კრედიტი არ ენიჭება), კონფერენციებით, პრეზენტაციებით, ესეთი, პრაქტიკული კომპონენტებით, სემინარით, პროფესორის ასისტენტობით, საკვალიფიკაციო - საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომით/ პროექტით.

აღნიშნული შეფასებისათვის წინასწარ განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც ხდება ანალიზის გაკეთება, თუ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, რამდენმა პროცენტა შეძლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლა.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვასა და შედეგების ანალიზს.

ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სწავლის შედეგების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში თითოეული სწავლის შედეგს განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ასევე კარიერული განვითარების სპეციალისტთან ერთად შექმნის მონიტორინგის ჯგუფს, რომელთა ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

ყველა სასწავლო პროგრამაში განახორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება როგორც თითოეული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების შეფასებით. ყოველი სემესტრის დასრულებისას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აგროვებს მონაცემებს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესახებ. ეს პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს უწყვეტად. რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვას, დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დანართს ,,სწავლის შედეგების შეფასება“ და უნივერსიტეტის მიერ გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, იმის შესაბამისად, თუ პროგრამა სწავლების რომელ პერიოდში, შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი, ითვალისწინებს კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასებას. ზოგიერთი პროგრამა გვაძლევს იმის საშუალებას რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად შეფასდეს.

2018 წლიდან ეტაპობრივად მოხდა ამ პროცესების დანერგვა, ხოლო ამჟამად მოწმდება აბსოლუტურად ყველა საგანმანათლებლო პროგრამა.

როგორც წინა რეკომედაციის შესრულების აღწერასა და შეფასებაში იყო ნათქვამი, ზოგიერთი პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდს წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომები/პროექტები. ამ მხრივ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ პროგრამებისთვის, რომელშიც სწავლის შედეგის მისაღწევად განსაზღვრული იყო საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომი/პროექტი, ეს შედეგი ყველა პროგრამისთვის მიღწეულია, მათ შორის სადოქტორო საფეხურზე (ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უკვე წარუდგინა პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიას. შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, საკვალიდიკაციო ნაშრომს მიეცა მსვლელობა). გარკვეულ წილად სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორს, ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის) წარმოადგენს დარგის/მიმართულების ფარგლებში სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და კონფერენციებში მონაწილეობა. ამ კუთხით უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო კონფერენციები, რომლებშიც ათეულობით სტუდენტი ღებულობს მონაწილეობას. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გაზაფხულის სემესტრში ინფორმაციული ტექნოლოფიების მიემართულებით რესპუბლიკურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პასუხისმგებლობის მკაცრი სისტემა და განახორციელოს იგი. პასუხისმგებლობა უნდა შეამოწმოს კოლეგიურმა ორგანოებმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ (და არა მხოლოდ რექტორმა და ადმინისტრაციის უფროსმა). აკადემიური პერსონალის შეფასება უნდა მოხდეს მათი აკადემიური საქმიანობის საფუძველზე. ყველა შიდა საგრანტო კონკურსი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებას და შეფასდეს უნივერსიტეტის მიერ.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში აღწერილია უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი რეგულირდება ამ წესდებით დადგენილი წესით დამტკიცებული შესაბამისი დებულებებით. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შემუშავებულია ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ , ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“, ,,სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“.

,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესში“ განსაზღვრულია პერსონალის შეფასების მიზნები და მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა).

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტის) შეფასება ხდება:

ა) აკადემიური საბჭოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოსადმი წარდგენილი წლიური ანგარიშის საფუძველზე;

ბ) რექტორის აკადემიური საბჭოსადმი წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე;

გ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარმომადგენლობითი საბჭოსადმი წარდგენილი ყოვეელწლიური ანგარიშის საფუძველზე;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის აკადემიური საბჭოსადმი წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე;

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

ა)ფაკულტეტის საბჭო; დეკანი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ფაკულტეტის მართვის ორგანოების შეფასება ხდება:

ა) ფაკულტეტის დეკანის წელიწადში ორჯერ ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოებისთვის წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე;

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფაკულტეტის საბჭოსადმი წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე;

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს შეფასება ხდება:

ა) სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე;

ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საშუალებით (დანართი 1.)

გ) დამხმარე პერსონალის შეფასება - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ (დანართი 2.);

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაოს შეფასება ხდება:

ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალის საწავლო წლის ანგარიშის საშუალებით (დანართი 3.);

ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საშუალებით (დანართი 4.)

გ) სააუდიტორიო მეცადინეობაზე პროგრამის ხელმძღვანელის დასწრების მიხედვით (დანართი 5.)

დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების მიხედვით (დანართი 6);

ე) თითოეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება, დანართი 7).

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, მართვის ორგანოების ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი http://www.matsne.gov.ge 04003000022022016787 შესრულების კონტროლის პროცესში;

დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“, რომლის მუხლი 5. კვლევითი საქმიანობის მზარდაჭერა, პუნქტი 5.2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო დებულება, რომლის ქვეპუნქტი 5.2.1.მიზნები, აღწერს:

- ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების (შემდგომში „პროექტი“) წარდგენის, განხილვის, დამტკიცების და მონიტორინგის ზოგად წესს.
- დებულების მიზანია, დაარეგულიროს ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, შეფასების საფუძველზე, პროექტების გამოავლენა და დააფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობსუნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას, ახალგაზრდა მკვლევართა ხელშეწყობას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.
- ღიად გამოცხადებული კონკურსის პირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური, რაც უზრუნველყოფს მკვლევარებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

ამავე მუხლის ქვეპუნქტი 5.2.8 ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება განსაზღვრავს ვალდებულებებს გრანტის მიმღების მიმართ:

- გრანტის მიმღები ვალდებულია კომისიას ყოველკვარტალურად წარუდგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ანგარიში, რომელიც შედგება ორი, პროგრამული და ფინანსური, ნაწილისაგან.
- საჭიროებისამებრ, კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი. კომისია ასევე ვალდებულია ნებისმიერ დროს, ადგილზე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი;
- კომისია ამოწმებს კვარტალურ ანგარიშს და ადგენს შესაბამის აქტს. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ამ აქტის საფუძველზე, აღძრავს შუამდგომლობას უნივერსიტეტისადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შემდგომი

ტრანშის გადარიცხვის შესახებ. თუ შემოწმების დროს გამოვლინდა გამოსწორებადი ხასიათის შეცდომები, გრანტის მიმღებს ეძლევა მისი გამოსწორების საშუალება. თუ გრანტის მიმღების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ასეთ შემთხვევაში დაფიქსირდება შესაბამისი აქტი და უნივერსიტეტისადმინისტრაციის ხელმძრვანელის წინაშე დაისმება პროექტის შემდგომი დაფინანსების შეწყვეტის საკითხი.

- პროექტის დასრულების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, უნივერსიტეტიში წარმოდგენილი უნდა იყოს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში.
- პროექტის დახურვა ხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასკვნითი სამეცნიერო ანგარიშის, აგრეთვე, მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.
- პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება რჩება უნივერსიტეტს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რათა ახალი თაობის აკადემიკოსები ჩაერთონ სასწავლო და კვლევის პროცესში. ასევე უნდა დაეხმაროს მათ, რომ იყვნენ აკადემიური პერსონალის ნაწილი, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსებით ზოგიერთი პროფესორის პენსიაზე გასვლის შემდეგ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომედაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება განახორციელა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების დამტკიცების შესახებ“ (კოდიფიცირებული) დოკუმენტში (დამტკიცებულია 2015 წლის 24 თებერვლის N6 დადგენილებით. ცვლილება განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 02 თებერვლის №7 დადგენილებით), რომლის შესაბამისად:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სავალდებულო სააუდიტორიო კვირეული დატვირთვა შემდეგი სახით:

ა) პროფესორი 10 (ათი) საათი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 12 (თორმეტი) საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორი 14 (თოთხმეტი) საათი.

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო კვირეული დატვირთვა განისაზღვროს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) საათისა.
- აკადემიური პერსონალის მიერ (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ერთდროულად უკავიათ აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე ან წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები) სავალდებულო მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვის ზემოთ საკონტაქტო საათების ჩატარება დასაშვებია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამატებით არაუმეტეს 6 საათისა, რაც ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების წესით.
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის მიერ საკონტაქტო საათების ჩატარება დასაშვებია დღეში არაუმეტეს 5 (ხუთი) საათისა, რომლის შესაბამისად სტუდენტის დღიური სააუდიტორიო დატვირთვა სასურველია არ უნდა აღემატებოდეს დღეში 5 საათს.
- პირები, რომლებსაც სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთდროულად უკავით ადმინისტრაციული ან დამხმარე (გარდა ისეთი სპეციფიკის დამხმარე პოზიციისა, რაზეც შრომითი ხელშეკრულება არ მოიცავს სრულ, დღიურ სავალდებულო 8 საათიან -09^{00} - დან 18^{00} სთ - მდე სამუშაოს დროს) და მასწავლებლის ან მოწვეული სპეციალისტის თანამდებობები, მათი საათობრივი დატვირთვა განისაზღვროს კვირაში არაუმეტეს 6 საათისა, ხოლო ადმინისტრაციულ ან დამხმარე თანამდებობაზე არყოფნის შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის საათობრივი დატვირთვა განისაზღვროს კვირაში არაუმეტეს 15 საათით.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მიერ (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ერთდროულად უკავიათ აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე ან წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები) სავალდებულო მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვის ზემოთ საკონტაქტო საათების ჩატარება არ არის დასაშვები, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ახალგაზრდა დოქტორანტებისა და დოქტორების მოწვევის საჭიროებას უნივერსიტეტში.

ახალგაზრდა კადრებთან თანამშრომლობა და აქტიური კომუნიკაცია, ფაკულტეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით, ახალ სტანდარტზე გადავდივართ, რომელიც სერიოზულ წარმატებებს მოუტანს უნივერსიტეტს და თითოეულ ფაკულტეტს.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაზაფხულის სემესტრში მოწვეულია 4 დოქტორანტი, 2 შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრი, მათგან 2 ქართული ფილოლოგიის პროგრამის მიმართულებით, 3 განათლების, 1 ინგლისური ფილოლოგიის.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 6 დოქტორანტი.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ჩართულია 1 დოქტორი და 1 დოქტორანტი, აგრონომიის მიმართულებით 1 დოქტორანტი.

სამეცნიერო კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში მათი ჩართვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს. ისინი მზად არიან თავიაანთი აქტიური მონაწილეობით, მაღალი მოტივაციით, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად დანერგონ და განახორციელონ ახალი და საინტერესო იდეები.

ჩვენი აზრით, უნივერსიტეტის ასეთი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ ჩართვას სხვადასხვა მიმართულებით. ეს პროცესი დინამიკური იქნება, რისთვისაც ფაკულტეტი გამოხატავს მზაობას და მხარდაჭერას კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების ჩართულობასთან დაკავშირებით.

აგრეთვე, უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა ,,შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის - მოწვეული სპეციალისტის“ დამტკიცებულია: სსიპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №26, "22" "06" 2020 წ. ოქმი №3

მოწვევის წესი საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“; საქართველოს შრომის კოდექსის; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების; უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად. წესში განსაზღვრულია მოწვეული სპეციალისტის შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები:

1. მოწვეული სპეციალისტის უნივერსიტეტში მიღება ხდება ორი გზით:

ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის წარდგინებით;

ბ) ღია კონკურსის გზით;

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში გამოცხადებულია აკადემიური თანამდებობაზე რამდენიმე ვაკანსია, რომელში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ კონკურსის წესით გათვალისწინებული კრიტერიუმები.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტის კვლევის კონცეფციის მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგიას სამეცნიერო საქმიანობაში.

უნივერსიტეტის სტარტეგიული განვითარების გეგმაში კვლევა ცალკე სტრატეგიული მიმართულებაა. გეგმაში ხაზგასმულია, რომ „განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდა მეცნიერთა, დოქტორანტთა დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო პროდუქციის შექმნა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება. არსებული ვითარების უკეთ გააზრებისა და ქმედითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია კვლევის ხარისხის, აკადემიური პატიოსნების კულტურის დანერგვის მექანიზმების ხელშეწყობა და ინსტიტუციური განვითარების საკითხების სიღრმისეული შესწავლა.“

ახალგაზრდა კადრების მოზიდვა უკავშირდება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების მესამე საფეხურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განხორციელების უპირველესი სივრცე დაკავშირებულია სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამებთან, რადგან შეიქმნა საკუთარი სამეცნიერო კადრების მომზადების გარემო ახალგაზრდა კონტინგენტით.

საუნივერსიტეტო განათლების პრიორიტეტია სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია. ახალგაზრდების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა იწყება ჯერ კიდევ პროფესორის ასისტენტობის დროს. ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერები თავისი კვლევის შედეგს უშუალოდ იყენებენ სტუდენტებისთვის ახალი ცოდნის გადაცემის პროცესში.

სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტარტეგიის ერთ-ერთი მექანიზმია მათი საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო დებულების მიზანია „პროექტების გამოავლენა და დაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას, ახალგაზრდა მკვლევართა ხელშეწყობას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან...“.

დებულების თანახმად უპირატესობა ენიჭება ისეთ საგრანტო პროექტს, რომელშიც ჩართულნი არიან დოქტორანტები, ახალგაზრდა მკვლევრები.

ახალგაზრდა კადრების სამეცნირო საქმიანობაში ჩართვის წახალისება გათვალისწინებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, სადაც პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის საკმაოდ სოლიდური საათები აქვს მინიჭებული. გათვალისწინებულია პროექტში მონაწილეობა სხვადასხვა პოზიციაზე.

❖ პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის
პროექტის ხელმძღვანელობა – 300 სთ
მართვის ჯგუფის წევრობა – 150 სთ
მონაწილე – 60 სთ

ახალგაზრდების ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში ხელს უწყობს ის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია:

- „რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისათვის გაგზავნის ხელშეწყობა (სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა);
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების და მეცნიერული კვლევების შედეგების გამოქვეყნებაში ხელშეწყობა (ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა)

საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ინსტრუქციებით გათვალისწინებული შეფასების გარდა ყურადღება მახვილდება განმავითარებელი შინაარსის ღონისძიებებზე. უნივერსიტეტი განმავითარებელ მექანიზმად მიიჩნევს ისეთი აქტივობების დანერგვას ან/და არსებულის დახვეწას, როგორიც არის მაგალითად, უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება, ახალგაზრდა მკვლევრების წახალისება და მათი როლის წამოწევა კვლევაში, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის ხელშეწყობა და ა. შ.

რეკომედაციის შესრულების პროცესი არაერთჯერადია, მის შეასრულებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგმულია.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და წაახალისოს მათი მონაწილეობა.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობით და მოკლევადინი გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეუძლია აკადემიურ/მოწვეილ პერსონალს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს.

უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Erasmus+ პროექტებში. (ICM) 2020 წლიდან განვაახლეთ დაფინანსება იასის უნივერსიტეტთან, რუმინეთში, როგორც პროფესორებს შეუძლიათ ჩაერთონ მობილობაში, ასევე სტუდენტებს შეძლიათ მიიღონ ევროკავშირისგან გამოყოფილი გრანტები.
მიმდინარე წლის მაისში დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორ ინგა ღუტიძის ვიზიტი **იაზის უნივერსიტეტში.** მისი სწავლების ხელშეკრულება და დოკუმენტაცია თან ახლავს დოკუმენტს.
https://sjuni.edu.ge/%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%a4%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%9d%e1%83%a0-%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%90%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%97%e1%83%90%e1%83%97/
2020 წლის გამოცხადებაზე KA107 მოვიპოვეთ დაფინანსება **ტამპარეს უნივერსიტეტთან, ფინეთში.** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტები მონაწილეობას მიიღებენ Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში.
სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში Erasmus+ **სლოვაკეთის - რუზომბეროკის კათოლიკურ უნივერსიტეტში** 2020 წლის გამოცხადებაზე მონაწილეობდა განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი სტუდენტი. გაზაფხულის სემესტრში - დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი მარიამ გელაშვილი, რომელიც უკვე დაბრუნდა უნივერსიტეტში, ხოლო შემოდგომის სემესტრში - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი ემა ნაზარეტიანი. რომელიც ჯერ არ დაბრუნებულა საქართველოში.

ხშირია სტუდენტთ აქტივობები, ჩართულობა საერთშორისო კონფერენციებში, მაგალითად დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსის სტუდენტი **ნათია ნათენაძე,** რომელიც ქუთაისში გამართულ მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციზე "ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში" საუკეთესო ესეს ავტორად დასახელდა.
https://sjuni.edu.ge/%e1%83%a1%e1%83%af%e1%83%a1%e1%83%a3-%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a3%e1%83%99%e1%83%94%e1%83%97%e1%83%94/?fbclid=IwAR3FWHxnyBQu6F80jgQMDvF2Jusp_6hHCxLioAHG1CU_7QJGe5gLKZQAjtM

პარტნიორები

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დადასტურებული პარტნიორებს დაემატა

- სლოვაკეთი, რუზომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი;
- ფინეთი, ტამპარეს უნივერსიტეტი.

საერთაშორისო პროექტები

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE), აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის და ერასმუსის პროექტები.
2020 წლის მონაცემით მიმდინარე პროექტებს დაემატა Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითრების პროექტები:

1. **„უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში "RURD**

პროექტის მიზანია, ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროექტში ჩართულია: საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტები და 4 ევროპული პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვადან. პროექტში ასევე ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია.
პროექტის განხორციელება დაიწყო 2019 წლის ნოემბერში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე პროექტი შეჩერდა რამდენიმე თვით და განახლდა 2021 წლის იანვარში.

2. **პროექტი**

ERASMUS+ Capacity Building პროექტის "ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის" **(Establishment of Psychological Counselling Centers at Georgian HEIs for Students)**

პროექტის კორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია, პროექტში ჩართულია 9 ქართული უნივერსიტეტი და ორი ევროპის უნივერსიტეტი 1. ტრანსილვანიის უნივერსიტეტი ბრასოვში https://www.unitbv.ro/en/about-us.html (რუმინეთი) 2. ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი. პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტი გურანდა მოდებაძე.

პროექტი გრძელდება 3 წელი და ამოქმედდა 2021 წლის 15 იანვრიდან.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროექტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 53359 ევრო.

პროექტის კოორდინატორია - საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების უფროსი სპეციალისტი გურანდა მოდებაძე. მკვლევარები: ქეთევან ნარიმანიშვილი (მოწვეული სპეციალისტი), გულიკო ბექაური (ასოცირებული პროფესორი).

3. 2020 წელს ევროკავშირის ERASMUS+ -ის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი სახელწოდებით- Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs/DITECH, პროექტის ავტორები: თსუ-ს პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თინა გელაშვილი; პროექტის აპლიკანტი და კოორდინატორი ვილნიუსის უნივერსიტეტი (ვილნიუსი), ხოლო სჯსუ პროექტში ჩართულია როგორც პარტნიორი.

პროექტი დაიწყო ოფიციალურად 2021 წლის 15 იანვრიდან, ამ ეტაპზე (25-30 იანვარი, 2021)

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 565 554 ევრო, მ.შ. სჯსუ-ს წილი - 56 339 ევრო. პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი 2021-2024.

უნივერსიტეტიდან პროექტში ჩართული არიან როგორც პროფესორები, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

პროექტის მიზანია:

- დაინერგოს ორი უნივერსალური ონლაინ კურსი საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე;
- ჩატარდეს ტრენინგ-პროგრამები სტაფისა და პედაგოგების გადასამზადებლად;
- ევროკავშირის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მიღებული ონლაინ ლექციების მომზადებისა და ჩატარების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზე
- ✓ევროკავშირისქვეყნებშიმომზადდებადაგადამზადდებაონლაინინსტრუურომლებიცდაეხმარებიანპედაგოგებ სონლაინკურსებისმომზადებაში;

საერთაშორისო პროექტის ფარგლებში **„ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უსდ-ებში“** შემუშავებული ახალი სასწავლო კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გარკვეულწილად ხელს შეუწყობს **ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებას** უნივერსიტეტში.

სასწავლო კურსები:

- ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში (BA)
- სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში (MA)

უმაღლეს განათლების ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში შეიძლება შეთავაზებული იქნეს:

ა) თავისუფალი კრედიტების სახით;

ბ) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებში მოხდეს მისი ინტეგრირება ან/და ახალი/რეაკრედიტაციისთვის შესამუშავებელ პროგრამებში სწავლის სფეროების შესაბამისად ან/და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოხდეს მისი დანერგვა სავალდებულო სასწავლო კურსების სახით;

გ) ვხედავთ პერსპექტივას და არის მზაობა, სსაწავლო კურსები უწყვეტი განათლების მიმართულებით შეთავაზებულ იქნეს მსურველთათვის.

https://sjuni.edu.ge/%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%a2%e1%83%98-%e1%83%99%e1%83%98%e1%83%93%e1%83%94%e1%83%95-%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%97-%e1%83%94/

4. მეოთხე პროექტი, რომელსაც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, პირველი წლის აქტივობების წარმატებით განხორციელების შემდეგ, ხელი მოეწერა მეორე წლის საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადა, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროგრამის სხვა 7 პარტნიორ უნივერსტეთან ერთად გააგრძელებს საქართველოს საჯარო სკოლებში

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

- USAID საბაზისო განათლების პროგრამა ახორციელებს თანამედროვე სასწავლო მეთოდების შემოღებას და ინტერაქტიული სასწავლო პროგრამების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების, ამოცანის ამოხსნის და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.
- კოორდინატორი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განატლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ირმა ქურდაძე.

პროფესორ მასწავლებლების აქტივობები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები როინ ყავრელიშვილი, მერაბ ბერიძე, რომან გოგოლაური და ვასილ მოსიაშვილი 2019 წელს იმყოფებოდნენ ანკარაში III საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქართულ-თურქული ურთიერთობები (ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები), რომელიც გაიმართა თურქეთის საისტორიო საზოგადოების პატრონაჟით. კრებული დაიბეჭდა 2020 წელს ტრაპიზონში. კრებულის ერთი ნაწილი ითარგმნა პროფესორ როინ ყავრელიშილის მიერ. იგი ორენოვანი სამეცნიერო ნაშრომია. აღნიშნულ კრებულში დაიბეჭდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორების სტატიებიც.

სომხეთში, ქ. გიუმრიში კონფერენციებზე მონაწილეობდა როინ ყავრელიშვილი, პირველად, უშუალო მონაწილის სახით. მეორედ zoom-ით. ორივე სტატია დაიბეჭდა რუსულ ენაზე. ქვემოთ 1-ლი და მე-4. **ერთისტატია** გამოქვეყნდასაერთაშორისორეფერირებადიმპაქტფაქტორიანჟურნალში. ქვემოთმე-3.

როინ ყავრელიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრისმიერ (თურქეთი) ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე გახლდათ, zooom-ით, წარადგინა თემა „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისთვის“.

ბატონი როინი არის რეფერირებადი იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალის Karadeniz-Black Sea-Чёрное Море კავკასიის ისტორიის მიმართულების რედაქტორი, მრჩეველი თარგმანის მიმართულებით და რეცენზენტი; **,ასევე,** Black Sea Journal of Public and Social Science ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, ჟურნალი ინდექსირებულია INDEX COPERNICUS -ში.

https://dergipark.org.tr/tr/pub/bssocialscience/board, https://dergipark.org.tr/tr/pub/bssocialscience

საერთაშორისო რეფერირებადი იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალის: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია რედაქტორის მოადგილე და რეცენზენტი, ინდექსირებულია ERIHPLUS-ში, გამოდის საქართველოში. **არისყარსის** კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.

1.Роин Каврелишвили, Советизация Армении по материалам газеты “Эртоба” (1920 г.), Сборник статей международной научной конференции, посвящённой 100-летию создания Ширакской епархии Армянской Апостольской церкви, 17-18 ноября, 2020, Гюири, с. 85 – 95, Ереван, 2020. ISBN 978-5-8080-1432-9

2. როინ ყავრელიშვილი, „1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ფურცლებზე (კავკასიის ფრონტი), “Tbilisis Utskebani” Gazetesi Sayfalarında 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşı (Kafkas Cephesi), III საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართულ-თურქული ურთიერთობები (ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები), შრომების კრებული, გვ. 278-309, ტრაპიზონი, 2020. ISBN 978-9944-374-92-7

3. Roin Kavrelişvili, Gürcistan Demokratik Cumhuriyeti Ankara Sefiri Simon Mdivani’nin Anadolu Raporlari (06-10. 02. 1921; 1930), საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი Karadeniz - Black Sea – Чёрное Море, №46, Ankara, 2020, s. 153-169. www.dergikaradeniz.com

4. Роин Каврелишвили, Несколько архивных документов из истории грузино-армянских отношений (12.02. 1920-01.12. 1920 г), научные труды Ширакского центра арменоведческих исследований НАН РА, выпуск 23, №1, Гюмри, 2020 г., с. 83-91.

უნივერსიტეტის ოთხივე ფაკულტეტის პროფესურა თანაბრად ერთვება საერთაშორისო აქტივობებში, ინჟირერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები ლერი ნოზაძე, რევაზ ჭიღლაძე, ლელა წითაშვილი მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონფერენციაში:

5. The use of Informational Technology in The Regional Management Sysyem of SamtskheJavakheti in Georgia - International Journal of Engineering and Future Technology, year 2020 , Volume 17; Issue n# 2 –

6. **Mathematical modeling protection of plants** G.N. Aleksidze, L. V. Nozadze
LAMBERT 2019 (მონოგრაფია)

7. **„Physics of Stars and Planets: Atmospheres,Activity, Magnetic fields”„Polarimetric Investigations of the Moon and Planets at Abastumani Astrophysical Observatory”**
ISSN 2078-4163Astronomical Journal of Azerbaijan,2020, Vol.15,No.2,138 -141. რევაზ ჭიღლაძე
https://www.lpi.usra.edu/publications/newsletters/lpib/new/cmsevent/physics-of-stars-and-planets-atmospheres-activity-magnetic-fields-3/

8. Erasmus + CURE, „Promoting Civic Education through VaKE“ , University of Salzburg, Austria, 3-10.02.2019

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული Erasmus+ პროექტებში. Erasmus+ CURE–ისფარგლებში, გარდა ცნობილი სწავლების მეთოდებისა: Problem based learning, case studies, Project-based learning, Inquiry-based learning, Discovery Learning დავნერგეთ უახლესი სწავლების მეთოდი-VAKE-ღირებულებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება, რომლის ავტორია ზალცბურგის (ავსტრიის) უნივერსიტეტის პროფესორი ჟანლუკ პატრი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი.

9. Erasmus + CURE, „E-learning and Digital Technologies in Teaching and Learning Process“, Tallinn, Estonia, 8 -19.09. 2019 ; Erasmus+ CURE ფარგლებში ქალბატონი ლელა წითაშვილი იმყოფებოდა ტალინის უნივერსიტეტში, ტალინის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება დაინერგა ინტერაქტიული პლატფორმები, პროგრამები და სავარჯიშოები. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ის სასწავლო კურსები, რომელშიც ინტეგრირებულია ინტერაქტიული პროგრამები და სავარჯიშოები როგორიცაა: H5P, Kahoot, Quizziz.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნიკოლოზ ახალკაცი ესწრებოდა სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის მქონე საერთაშორისო ბაზის მიერ ორგანიზებულ ვებინარებზე აგრეთვე IPR MEDIA I მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ვებინარებზე.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვროს აუდიტორული, კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები. სამუშაო დატვირთვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებსა და გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა.

უნივერსიტეტმა 2018 წელს შეიმუშავა ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №80, 20.12.2018 წ.), რომლის მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, პუნქტი 6.1. აკადემიური პერსონალის კვლევის დაგეგმვა, შეფასების ინდიკატორები, დატვირთვის სქემა, ქვეპუნქტი 6.1.1. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, მოიცავდა ინ ინფორმაციას რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა აკადემიური პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო და არჩევითი საქმიანობა პროცენტებით გამოსახული წილობრივი მაჩვენებლებით. შემდეგ დატვირთვის თითოეული საქმიანობა ჩაშლილი იყო შესაბამისი ქულებით განსაზღვრული აქტივობების სახით. ,,აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის ანგარიში“ 2018-2019 სასწავლო წელს წარმოდგენილი იყო ზემოთ აღნიშნული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვრა კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები, ხოლო აუდიტორიული საათები უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰქონდა (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №6 დადგენილებით, 24.02.2015 წ.).

აღნიშნული დოკუმენტი უნივერსიტეტმა გამოიტანა სამსჯელოდ, გაეგზავნა უნივერსიტეტის თითოეული ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, დათქმულ ვადაში უკუკავშირის მიღების მიზნით. ფაკულტეტებიდან წამოვიდა რამდენიმე რელევანტური მოსაზება სხვადასხვა აქტივობის დამატების შესახებ, რომლებიც მსჯელობის შემდეგ გათვალისწინებული და ასახული იქნა დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტი - ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“ საბოლოოდ განხილული და მიღებული იქნა აკადემიური საბჭოს მიერ. წესი ითვალისწინებს უნივერსიტეტში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის მიერ მუშაობის პერიოდში ეფექტიანობის, ადმინისტრაციულ, აკადემიურ თანამდებობებზე შესრულებული სამუშაოს, მენეჯმენტის განვითარებასა და სხვა საქმიანობაში უნივერსიტეტის სახელით შეტანილი წვლილის გაზომვას. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს რეტროსპექტულად, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, ან პერსპექტიულად, როგორც დაგეგმვისა და განვითარების ინსტრუმენტი. სამუშაო დატვირთვა მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებსა და

გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.
პერსონალის მიერ სანგარიშო პერიოდის ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების ფორმები ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ შესაბამისად.
აკადემიური პერსონალის 2019-2020 სასწავლო წლის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ სწორედ ამ წესის მიხედვით იქნა წარმოდგენილი. თითოეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ანგარიში ჯერ განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგ გადმოეცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.
რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:
აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარეთ სათანადო ტრენინგები სასწავლო პლატფორმის Moodle-ის გამოყენებაში, რათა ის სრულად გამოიყენონ, როგორც ეფექტური დამხმარე მექანიზმი სასწავლო პროცესში და სტუდენტებთან კომუნიკაციაში.

უნივერსიტეტის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე აკადემიური პერსონალისთვის მუდმივად ტარდებოდა კონსულტეციები და ინდივიდუალური სწავლებები. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ (2020 წლის მარტი) შეიქმნა Moodle- ის გამოყენების ვიდეო ინსტრუქციები, რომელიც განთავსებულია Moodle-ში, როგრც სასწავო კურსები.
2020 წლის სექტემბერში, სანამ კონტაქტური სწავლება მიმდინარეობდა, ჩატარდა ტრეინიგები ფაკულტეტებზე შექმნილ ჯგიფებში Moodle-ის გამოყენების შესაებ და დემატა საერთოდ ტექნოლოგიებიდან ის საკითხები, რაც სჭირდებათ ზოგადად ელექტრონული კურსის მოსამზადებლად და Moodle-ში ჩაშენებული BigBlueButtonBN ვიდეო შეხვედრის ჩასატარებლად. ჯგუფური ტერენინგების გარდა მიმდინარეობდა ინდივიდუალური სწავლება სურვილისამებრ.
რაც შეეხება სტუდენტთა ინფორმირებულობას ამ მიმართულებით, ყოველთვის სექტემბრის პირველ ნახევარში უტარდებათ შეხვედრა სპეციალისტებთან, რომლებიც აცნობენ უნივერსიტეტში ელექტრონულ რესურს მთლიანად: საიტს და მის შიგთავსს, თუ რა ინფორმაციის მიღება შეიძლება იქიდან, უნივერსიტეტის სუდენტთა ფეისბუქ გვერდს და სტუდენტთა დახურულ ჯგუფს, ელექტრონული სწავლების პლატფორმა Moodle-ს და სასაწავლო პროცესის მართვის სიტემას. Moodle-ის და სასაწავლო პროცესის მართვის სიტემას ეთმობა ცალკე დრო და სწავლობენ მათ მოხმარებას. ამის გარდა Moodle-ის მოხმარების ვიდეო ინსტრუქციები დევს როგორც სასწავლო კურსები უშუალოდ Moodle-ში. ხოლო Moodle-ის პირველივე გვერდზე დევს პროგრამაში შესვლის და ამ ინსტრუქციებამდე მისვლის ვიდეო ინსტრუქცია.
სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომია Moodle-ის ადმინისტრატორის და ელ.სწავლების ხელმძღვანელის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სწავლება-კონსულტაციები.
რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც დააკავშირებს დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს, ჩაატარებს ტრენინგებს საჭირო უნარ-ჩვევებში სამუშაოს მაძიებლებისთვის და შესაბამის ღონისძიებებს, როგორიცაა „კარიერის დღეები“, "დამსაქმებელთა ფორუმები“ და ა.შ.

მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან შეიმუშავა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტის ადმინსიტრაციული და დამხმარე პრსონალის საშტატო ერთუელების განრიგის“ პროექტი. რასაკვირველია, უნივერსიტეტმა აღნიშნული პროექტის მომზადებისას გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის

მიერ გაცემული რეკომედაციები და უზრუნველყო შეექმნა: საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი და უწყვეტი განათლების ცენტრი.
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება წარმოდგენილი იქნება სამი საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი, უფროსი სპეციალისტი (ვებგვერდი) და სპეციალისტი.
კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი წარმოდგენილი იქნება ცენტრის ხელმძღვანელით.
უწყვეტი განათლების ცენტრი წარმოდგენილი იქნება ცენტრის ხელმძღვანელით.
„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინსიტრაციული და დამხმარე პრსონალის საშტატო ერთუელების განრიგის“ პროექტი გაიგზავნა უნივერსიტეტის თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულებთან სამსჯელოდ უკუკავშირის მისაღებად.
ამჟამად მიმდინარეობს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №52/ნ, 2014 წლის 13 მაისი); სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში (დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №7 დადგენილებით, 27.03.2019 წ.) ცვლილებების შეტანა. მუშავდება თითოეული სამსახურის დებულება. შემუშავებულია „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის ანგარიშვალდებულებებს, მუშაობის პერიოდში ეფექტიანობის, ადმინისტრაციულ, აკადემიურ თანამდებობებზე შესრულებული სამუშაოს, მენეჯმენტის განვითარებასა და სხვა საქმიანობაში უნივერსიტეტის სახელით შეტანილი წვლილის გაზომვას. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს რეტროსპექტულად, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი ან პერსპექტიულად, როგორც დაგეგმვისა და განვითარების ინსტრუმენტი.

რეკომენდაცია:
გაზარდეთ ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი. გახანგრძლივეთ იგი ან პარალელურად გააგრძელეთ (კრედიტების გარეშე) პირველივე სემესტრის/წლის განმავლობაში რეგულარული სწავლის პირობებში. ეს ხელს შეუწყობს ასიმილაციასა და ინტეგრაციას აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება ხორციელდება ორ მისამართზე - ახალციხესა და ახალქალაქში.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აფხაზურენოვანთათვის;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ოსურენოვანთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, არაქართულენოვანი სტუდენტების აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების მიერ, უწყვეტი განათლების მიმართულების ფარგლებში დაორგანიზდა გაზაფხულის სემესტრიდან გაგრძელდეს ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი.

რეკომენდაცია:
მოახდინეთ დოქტორანტურის ხელმძღვანელობის წესების ფორმულირება და უზრუნველყავით, რომ ყველა ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი მათ დაემორჩილოს.

მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან შეიმუშავა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტის ადმინსიტრაციული და დამხმარე პრსონალის საშტატო ერთუელების განრიგის“ პროექტი. რასაკვირველია, უნივერსიტეტმა აღნიშნული პროექტის მომზადებისას გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ გაცემული რეკომედაციები და უზრუნველყო შეექმნა: სამეცნიერო მიმართულების სამსახური (სადოქტორო სკოლა). ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამეცნიერო მიმართულების სამსახურის დებულების ფორმირება. აღნიშნული

დებულება მთლიანად გავრცელდება უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებსა და დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტარატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებდა სადოქტორო სკოლის ჩამოყალიბებას, რომელსაც მივიჩნევთ სადოქტორო განათლების მოქნილ სტრუქტურად, რომელიც დოქტორანტს, როგორც დამწყებ მკვლევარს, აძლევს პერსონალური და კარიერული განვითარების ფართო შესაძლებლობას. ხელს უწყობს დოქტორანტის ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას და, ასევე, ზრუნავს ხელმძღვანელობის კულტურის განვითარებაზეც.
რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:
მოახდინეთ უცხოელი ლექტორების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობისთვის წესების ფორმულირება. ხელი შეუწყეთ პროცესს და უზრუნველყავით, დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონის მიღწევა, რაც მათ დაეხმარება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ფორუმებში.

დოქტორანტურის საფეხურზე უნივერსიტეტში ხორციელდება ოთხი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ბოლო ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მუშავდებოდა ,,ქართული ფილოლოგიის სადოქტორო“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტები: ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“ (დამტკიცებულია,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 11.12.2019 წ., ოქმი №12, დადგენილება №69) და ,,გზამკვლევი დოქტორანტებისთვის“. თითოეულ დოკუმენტში ნათლად არის ფორმულირებული:

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია მაინც გამოქვეყნებული იყოს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (მაგ:.ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich’s Index, Latindex Catalogue...).
რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:
ხელახლა შეაფასეთ დატვირთვის სქემა და განუმარტეთ პერსონალს, თუ რა ფასდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომედაციების გათვალისწინებით შეიქმნა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი **„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“**, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის მიერ მუშაობის პერიოდში ეფექტიანობის, ადმინისტრაციულ, აკადემიურ თანამდებობებზე შესრულებული სამუშაოს, მენეჯმენტის განვითარებასა და სხვა საქმიანობაში უნივერსიტეტის სახელით შეტანილი წვლილის გაზომვას. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს რეტროსპექტულად, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, ან პერსპექტიულად, როგორც დაგეგმვისა და განვითარების ინსტრუმენტი.
უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა).
უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შემუშავებულია ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და წინამდებარე ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“.
აღნიშნული დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილული იქნა საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ და საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა პერსონალის უკუკავშირის მიღების შემდეგ. შეფასების პროცესის ეფექტიანად და დაუბრკოლებლად წარმართვისათვის შეფასებაში მონაწილე ყველა პირი, აქტიური კომუნიკაციის საშუალებით, ინფორმირებული იყო დოკუმენტის მნიშვნელობაზე, შეფასების ფორმასა და შეფასების მიზნების განმარტებასთან დაკავშირებით, რომ შეფასება ემსახურება პოზიტიური შედეგების მიღწევას, ორგანიზაციული კულტურის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.
აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის“, მე-5 მუხლის შესაბამისად, რომლის დანართი 3 წარმოადგენს პერსონალის ქულობრივი შეფასების მოდიფიცირებულ ვარიანტს, სადაც ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა თითოეული აქტივობის საათობრივი გაანგარიშება, რომელმაც ასახვა ჰპოვა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესსა“ და „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციაში“.
რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:
ბიბლიოთეკის მარაგში გადაამოწმეთ და უზრუნველყავით პროგრამების სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელო. პროცესის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველწლიურად.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა სასწავლო წლის განმავლობაში, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მომართვის საფუძველზე, ყოველთვის აწარმოებს სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელოს ჩამონათვალის შედარებას საბიბლიოთეკო ფონდთან.

2020 წელს Covid 19-ის გამო, საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, აქტიურად ჩაერთო ონლაინ სწავლების რეჟიმიში. იმისათვის, რომ სასწავლო პლატფორმა Moodle-სათვის შექმნილიყო საჭირო ელექტრონული სახელმძღვანელოები, 2020 წლის მარტში **კიდევ ერთხელ გადამოწმდა ყველა პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის თავსებადობა საბიბლიოთეკო ფონდთან.** მოხერხდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილების გაათმაგებული მუშაობის შედეგად (ხდებოდა მოთხოვნილი სახელმძღვანელოების დასკანერება თემატიკის მიხედვით), საჭირო ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფა სასწავლო პლატფორმა Moodle- სათვის. Moodle–ში აიტვირთა ახალი 2020 წლის ჯერ საგაზაფხულო და შემდეგ საშემოდგომო სემესტრის, განახლებული სილაბუსების მიხედვით საჭირო ლიტერატურის ელექტრონული მასალა. ხოლო იმ რესურსისთვის, რომელიც ტევადობით იყო დიდი და ვერ ხერხდებოდა Moodle-ში ატვირთვა, სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შექმნა სპეციალური google. drive -ის ლინკები სადაც, დარგებისა და მიმართულებების მიხედვით განთავსდა ელექტრონული სახელმძღვანელოები. google. Drive - ის ლინკები დაეგზავნათ ლექტორებს, სასწავლო პლატფორმა Moodle-ის ადმინს, განთავსდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფეისბუქ გვერდზე (ჯგუფებშიც). ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი ონლაინ რეჟიმში უწყვეტად ანხორციელებდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნების შესრულებას.

2020 წელს სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელახალი და გეგმიური აკრედიტაციის მოსაპოვებლად რამდენიმე პროგრამა მოამზადა, როგორც საბაკალავრო ასე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურისთვის. ამ პროცესში თვითშეფასების ჯგუფთან ერთად აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო ბიბლიოთეკაც. პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მომართვის საფუძველზე, გადამოწმდა ყველა წარსადგენი პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის თავსებადობა საბიბლიოთეკო ფონდთან. შედგა იმ ლიტერატურის ჩამონათვალი, რომლთა განახლებისა და შეძენის საჭიროებაც გამოიკვეთა მონიტორინგის დროს. მოძიებულ იქნა საჭირო სახელმძღვანელოების მომწოდებლები, უნივერსიტეტის საფინანსო და შესყიდვების სამსახურთან ერთად, შეძენილი იქნა ყველა საჭირო განახლებული ლიტერატურა. სულ 2020 წელს შეძენილი იქნა **7473,36 ლარის** წიგნები.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანამშრომლობა აუცილებელია სამეცნიერო წერის უნარის განვითარებისათვის.

2020 წლის საგაზაფხულო სემესტრში დაგეგმილი გვქონდა ტრენინგები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, რომლებიც დაეხმარებოდათ მათ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში, Covid პანდემიიდან გამომდინარე სააუდიტორიო ტრენინგები ვერ შედგა, ამიტომ გადავედით ონლაინ Zoom –ისა და Moodle პლატფორმაზე და ასე ჩავატარეთ რამდენიმე შეხვედრა. მოგეხსენებათ, რადგან სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა სწორედ საგაზაფხულო სემესტრში მიმდინარეობს გაიზარდა მოთხოვნა მონაცემთა ბაზების გამოყენების, ამიტომ ონლაინ ტრენინგები ჩატარდა, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალურიც. აქტიურად ვიყენებდით საკონტაქტოდ ფეისბუქ გვერდების ჩათს და სხვა ონლაინ პლათფორმებს.

2020 წლის 15,16 და 17 სექტემბერს გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა პრეზენტაციები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებისა და ყველა ფაკულტეტის პირველკურსელებსა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებს შორის. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებს გაეცნოთ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ყველა საჭირო რეგულაცია სახელმძღვანელოების გატანისა და დაბრუნების შესახებ. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და გაციფრულებული სახელმძღვანელოების მოთხოვნის წესები. პრეზენტაციებზე ნაჩვენები იქნა უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები, ელექტრონული კატალოგი და მისი მოხმარების ინსტრუქცია, ასევე საერთაშორისო ელექტრონული ბაზები და გზამკვლევი, რომლითაც შესაძლებელია ამ ბაზებით სარგებლობა და სასურველი ინფორმაციის მოძიება-გადმოწერა. **ELSEVIER-ის** წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობებზე: ScienceDirect® და **Scopus** ზე წვდომისა და გამოყენების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, დაიგეგმა სამომავლოდ ვორქშოპები. მსგავსი შეხვედრა გაიმართა მე 3 კორპუსშიც (ახალქალაქი).

სტუდენტებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი EU-ERASMUS+INTEGRITU "აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)" ფარგლებში დანერგილი პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin)-ის შესახებ. პირველკურსელებს არ ჰქონდათ ინფორმაცია პლაგიატისა და მასთან ბრძოლის მექანიზმებზე. მოკლედ განუმარტეთ თუ რა არის პლაგიატი, როგორ უნდა გამოიყენონ სხვა ავტორის ნაშრომი და როგორ უნდა მიუთითონ მოძიებული წყარო. ავუხსენით, რომ პროექტის მიზანია, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა/სწავლების და შეფასების ხარისხის განვითარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

2020 წლის 17 და 20 ნოემბერს სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ გამართა სტუდენტებისთვის ონლაინტრენინგი საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომისა და გამოყენების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია თუ როგორ უნდა ისარგებლონ სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის უფლებით სახლიდან გაუსვლელად. ამ შეხვედრაზე სტუდენტთა მოთხოვნით საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე დარეგისტრირებისა და ინფორმაციის მოძიების გამარტივების მიზნით შეიქმნა ვიდეოინსტრუქცია და დაიდო უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ინდივიდუალური შეხვედრების შედეგად, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებიდან სრულტექსტიანი წიგნებისა და სტატიების *გადმოწერის მაჩვენებელი*



მზარდია.

(სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდის საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი).

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომედაცია:

გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. აუცილებელია თანამშრომლობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო წერას.

სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს, სისტემატურად ეგზავნებოდათ ინფორმაცია 2020 წლის კოვიდ პანდემიის დროს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების მომხმარებლებისათვის შექმნილი ახალი რეგულაციების შესახებ, რომლების გარკვეული ბაზების გახსნას ეხებოდა, ანუ შესაძლებელი გახდა სახლიდან გაუსვლელად წვდომა განხორციელებულიყო გარკვეულ საერთშორისო ელექტრონულ გამომცემლობებზე. საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი, მუდმივად გვაწვდიდა ინფორმაციას Eifl-ის მიერ მოწოდებულ ახალ და უკვე წარმოდგენილ ღია წვდომის გამომცემლობების ჩამონათვალის შესახებ, ეს ინფორმაცია მყისიერად ეგზავნებოდათ დეკანატებს და აკადემიურ პერსონალს მეილების საშუალებით, ქვეყნდებოდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ვებ გვერდზე. სწორედ ამ საკითხზე 2020 წლის 20 აპრილს სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ– მასწავლებლებისა და მკვლევარებისთვის გაიმართა ონლაინ ტრენინგი საერთაშორისო ელექტრონულ ბაზების შესაძლებლობებისა და გამოყენების შესახებ. ტრენინგზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია Cambridge University Press ის მიერ კოვიდ პანდემიის დროს გახსნილი ღია წვდომის ბაზების შესახებ და ყველა დაინტერესებულ პირს გაეგზავნა ამ ბაზების ჩამონათვალი და მათი მოხმარების ინსტრუქციები.

2020 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა"-მ ევროკომისიის NI4OS-Europe პროექტის ფარგლებში ჩაატარა ევროპის ღია მეცნიერების Cloud EOSC-ის ღონისძიება. (პროექტი მიზნად ისახავდა რეგიონის მკვლევარებისთვის მიეცათ საშუალება შეენახათ, ემართად, გაეანალიზებინათ და გაეზიარებინათ მეცნიერული მონაცემები, რაც სამომავლოდ მათი მუშაობის ეფექტიანობის გაღრმავებას და მეცნიერებაში ინოვაციების დანერგვას შეუწყობდა ხელს). შეხვედრა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში ZOOM პლატფორმის გამოყენებით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო კვლევითი და საგანმანათლებლო

საზოგადოების 50-მა წარმომადგენელმა, მათ შორის სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლოთეკის წარმომადგენლებმა, ხარისხისა და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებმა. სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა დამატებითი ინფორმაცია ტრენინგის შესახებ მიაწოდეს იმ დაინტერესებულ პირებს ვინც ონლაინ შეხვედრას ვერ დაესწრო გარკვეული მიზეზების გამო.

2021 წელს დაიდო განახლდა ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 თან სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფლება ეძლევა მონაწილეობა პროექტში "ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL", კერძოდ გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)
e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/)
Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/)
Edward Elgar Publishing Journals (https://www.elgaronline.com/)
European Respiratory Journal (https://erj.ersjournals.com/)
IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE)
Mathematical Sciences Publishers Journals (https://msp.org/)
Open Book Publishers E-books (https://www.openbookpublishers.com/)
Openedition Journals (https://www.openedition.org/)
Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/)
SAGE Journals (https://journals.sagepub.com

უფლება აქვს პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობა ღია წვდომის ელექტრონულ რესურსებში - **უფასოდ:**
De Gruyter APCs for open access publishing (https://eifl.net/apcs/de-gruyter-apcs-open-access-publishing; https://docs.google.com/spreadsheets/d/1uas8IkAWX6T_uLap2PbWnZ18QHaZlaO3LKwwNdjY2eI/edit#gid=0)
European Respiratory Journal (https://eifl.net/apcs/european-respiratory-journal-free-open-access-publishing; https://erj.ersjournals.com/)
Royal Society Journals Collection (https://eifl.net/apcs/royal-society-publishing-apcs-open-access-journals; https://docs.google.com/spreadsheets/d/1uqfTv-WD_kbvxPqk2dscho061rU35iH9CRklVoiWYRo/edit#gid=0)
SAGE APCs for Open Access Journals (https://eifl.net/apcs/sage-apcs-open-access-journals; https://docs.google.com/spreadsheets/d/1eFXf57jkkRonpFK3kCiIcTCI1BbOZbxm5dUaoRXwP0E/edit#gid=0)
ხოლო 50% იანი ფასდაკლებით შემდეგ ბაზებზე:
Cambridge University Press APCs for open access publishing (https://eifl.net/apcs/cambridge-university-press-apcs-open-access-publishing; https://docs.google.com/spreadsheets/d/11HVWnwot11yInarNkMXgGsRv-CIglqkGMf5a04tZSnM/edit?folder=0ABY5QUgwRyXMUk9PVA#gid=0)
Edward Elgar Publishing APCs for open access publishing (https://eifl.net/apcs/edward-elgar-publishing-apcs-open-access-publishing; https://docs.google.com/spreadsheets/d/1WtL39geVr5wR_x-aP_sHNO9qh4KxxB1Py8kWBwTgTK4/edit#gid=0)
Taylor & Francis APCs for open access journals (https://eifl.net/apcs/taylor-francis-apcs-open-access-journals; https://docs.google.com/spreadsheets/d/1aANWO0xoYueY6Q_LQaQYfN7_uA4XYpahL9GZLeRqnVc/edit#gid=0)
World Scientific APCs for open access publishing (https://eifl.net/apcs/world-scientific-apcs-open-access-publishing; https://docs.google.com/spreadsheets/d/1XjqRbTTqlQD7Bb_2SjaAMtRXw_Tn1z7DaGgMgZ7nWfY/edit#gid=0

ამ ახალი შემოთავაზებით, ჩვენს აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევათ გამარტივებული წესით განათავსონ თავიანთი კვლევები და პუბლიკაციები ღია წვდომის ელექტრონულ რესურსებში და ასევე მოიძიონ მათთვის სასურველი სტატიები. ხოლო. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისათვის ერთ–ერთი ხელშემწყობი მექანიზმი გახდება სამეცნიერო ნაშრომის უკეთ მომზადებისთვის.

საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე ინფორმაციის მოძიების გამარტივების მიზნით შეიქმნა ვიდეოინსტრუქცია და დაიდო უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

რეკომენდაცია:

გამოიკვლიეთ და შეამოწმეთ მოსწავლეთა კმაყოფილება ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შესახებ და დააკმაყოფილეთ მათი მოლოდინები, რათა მათ ჰქონდეთ ამ პლატფორმის გამოყენების მოტივაცია.

რომ უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს **ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა moodle.** როგორც ცნობილია:

- Moodle ინოვაციური ელექტრონული სასწავლო მართვის გარემოს პედაგოგიური და ტექნოლოგიური ასპექტების რეალიზების საშუალებაა.
- შექმნილია სწავლა -სწავლების პროცესის ხელშეწყობისთვის;
- მომხმარებელზე მორგებული შესაძლებლობებით განახლებადი სისტემაა;
- რაც მთავარია, გვაქვს ქართულ ენაზე პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობა;

2013 წლიდან შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება მიმდინარეობდა Moodle-ის სასწავლო პლატფორმის გამოყენებით. იტვირთებოდა ყველა სასწავლო კურსის ტესტები და საგამოცდო ცენტრი კომპიუტერულ ლაბორატორიებში ატარებდა გამოცდებს. რადგან Moodle წარმოადგენს საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ფართო სპექტრს (ფორუმი, ჩატი, პირადი შეტყობინება, ბლოგი, კითხვარები, მოთხოვნები, კურსის მონაწილეების აქტივობების განხილვაზე მისაწვდომობის მოხერხებული ინსტრუმენტები), 2014 წელიდან უნივერისტეტმა დაიწყო მისი გამოყენება სასწავლო კურსებისათვისაც.

შესაბამისად, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობისთვის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი დარეგისტრირებული იყო პროგრამაზე, ასევე პედაგოგთა უმრავლესობა.

ბოლო წლების განმავლობაში პედაგოგებთან სისტემატურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება ელექტრონული სწავლების პლატფორმის - Moodle-ის პროგრამის მოხმარებისათვის. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ იქმნებოდა ელექტრონული სასწავლო კურსები, სტუდენტებს აძლევდნენ დავალებებს, ხდებოდა რეფერატების, პროექტებისა და ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, ტარდებოდა გამოცდები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილი არ სარგებლობდა ელექტრონული სწავლების პლატფორმით, შესაბამისად, მათ დასჭირდათ მომზადება, რისთვისაც სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელისა და საგამოცდო ცენტრის კონსულტანტის მიერ შეიქმნა და გაზიარდა ვიდეოინსტრუქციები დაინტერესებული პეროსნალისათვის.

ელექტრონული სწავლების ფორმაზე გადასვლის უზრუნველყოფის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების სრული ჩართულობისა და მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადდა კითხვარები. გამოკითხვა ჩატარდა, ელექტრონული სწავლების დაწყების შემდეგ, 4-8 აპრილს, ელექტრონულად google. drive-ის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა და სტუდენტებმა.

თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები (კვლევის სრული ვერსია წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით) წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხოლო კვლევის შეჯამებული, კონსოლიდირებული ანგარიში გაიგზავნა უნივერსიტეტის რექტორთან შემდგომი რეაგირებისათვის.

კითხვარების დამუშავებისას ხარისხის სამსახურმა გამოიტანა დასკვნები და შეიმუშავა რეკომენდაციები

დასკვნები:

1. ცალკეული კითხვების მიხედვით პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობას ელექტრონული სწავლებისას არ ექმნება სირთულეები სასწავლო პროცესის წარმართვის, სტუდენტთა შეფასებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ.
2. გამოკითხული პერსონალი ახერხებს სტუდენტთა კონსულტირებას on-line ფორმატში.
3. პროცესის წარმატებით მიმდინარეობის მიუხედავვად, პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ არსებული საფრთხის გადავლის შემდეგ პრაქტიკულ მეცადინეობეზე გაკეთდეს უფრო მეტი აქცენტი.
4. სტუდენტებთან კომუნიკაციისას აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს შემდეგ ელექტრონულ საშუალებებს: ძირითადად Moodle - Big Blue Button, მცირე ნაწილი კი - Messenger, ელ ფოსტა, Zoom, viber, WhatsApp, Skyps, Google Meet, სმარტფონი;
5. პერსონალი გამოხატავს კმაყოფილებას უნივერსიტეტიდან მიღებული კონსულტაციებისა და თანამშრომლობისათვის.
6. სწავლა/სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის პერსონალი აცნობიერებს როგორც საკუთარ, ასევე სტუდენტების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხებს.

რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს ელექტრონული სწავლების წესი

და კონცეფცია;

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმოს საკონსულტაციო სახის შეხვედრები ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან;

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განმეორებით უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ელექტრონული სწავლებისთვის ტრენინგების ჩატარებას. ტრენინგების რაოდენობა განისაზღვროს საჭიროებების შესაბამისად;

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოხდეს იმ სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელობითი განსაზღვრა, ვისაც აქვს ხელისშემშლელი გარემოებები ელექტრონულ საკომუნკაციო საშუალებებზე, მათი ხელშეწყობის მიზნით;

5. შემუშავდეს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ელექტრონულად/დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი მექანიზმები.

6. შემუშავდეს პასიურ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისათვის ელექტრონულად/დისტანციურად სწავლების ფორმატში ჩართვისათვის ხელშემწყობი მექანიზმები.

7. შემუშავდეს ელექტრონული/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის მექანიზმები.

8. გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას შემუშავდეს დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვისა და შეფასების მექანიზმები (სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევების საშუალებით).

უნივერსიტეტის მხრიდან რეაგირების მექანიზმები:

გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას კვლავ ჩატარდა გამოკითხვა - დისტანციურად მუშაობის ეფექტურობის გაზომვა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, Google-drive-ს ფორმატში. დაცული იყო აკადემიური/ მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ანონიმურობა. კვლევა მეთოდოლოგია ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებს. კვლევის მიზანი იყო დისტანციური მუშაობის ეფექტურობის გაზომვა, ახალი მიგნებების იდენტიფიცირება, წინამორბედი რეკომენდაციების შესრულების ხარისხის გაზომვა და საბოლოო დასკვნის გამოტანა (კვლევის სრული ვერსია წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით).

მიგნებები:

1) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 46,4% აფიქსირებს, რომ დისტანციური მუშაობის პერიოდში მათი დატვირთვა გაიზარდა;

2) ტექნოლოგიური თვალსაზრისით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა გაუჭირდა 18,7 %-ს;

3) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 80% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დისტანციური მუშაობის სისტემასთან დაკავშირებით დაეხმარა;

4) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 70% აღნიშნავს, აქტიურად იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში;

5) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 30,3% აღნიშნავს, დასწრება გაიზარდა კონტაქტური სწავლების ფორმასთან შედარებით;

6) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 55,1% აღნიშნავს, რომ მიაღწიეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს; ნაწილი კი - მეტწილად მიაღწიეს სწავლის შედეგებს;

7) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 62,9% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლდებოდა სტუდენტთა დასწრება;

8) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 63,7% აღნიშნავს, რომ ფაკულტეტისა და ადმინისტრაციისგან იღებს უკუკავშირს;

9) კვლევაში მონაწილე სტუდენტების საერთო რაოდენობის 16,5% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია უფრო სწრაფია დისტანციური მუშაობის პროცესში;

10) უნივერსიტეტში არსებული დისტანციური მუშაობის პრაქტიკა 55,4% შეაფასა - კარგად, ხოლო 28,5% საშუალოდ.

დასკვნა: კვლევის შედეგები ადასტურებს რომ ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატი უნივერსიტეტში შედგა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსაც მიაღწია.

რეკომენდაცია შესრულებულია.

საანგარიშო პერიოდში სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა პირველკურსელების, ბაკალავრებისა და მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა.

კვლევა ითვალისწინებდა:

ა) ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე).

ბ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;

გ) ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;

დ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

ე) კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში;

უნივერსიტეტის მასშტაბით **პირველკურსელების კმაყოფილების კვლევაში** მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტი (სულ 124 რესპოდენტი). მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 50,8%
- იურიდიული ფაკულტეტი - 4,8%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 25%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 19,4%.

უნივერსიტეტის მასშტაბით **ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში** მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის ბაკალავრი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 10,7%
- იურიდიული ფაკულტეტი - 3,6%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 63,1%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 22,6%.

უნივერსიტეტის მასშტაბით **მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევაში** მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის მაგისტრანტი (სულ 29 რესპოდენტი). მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 13,8%
- იურიდიული ფაკულტეტი - 3,5%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 17,2%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 65,5%.

დასკვნა/რეკომედაციები:

1.უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების მიერ სტუდენტურ თვითმმართველობასა და სტუდენტებთანაც ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები

1) უნივერსიტეტის განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლისა და ფუნქციების შესახებ;

2) უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების/შეფასების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის სტუდენტების კვლევებში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში.

2.უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების მიერ სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართულობის გასაქტიურებლად ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.
3.საინფორმაციო შეხვედრების დასრულების შემდეგ შემუშავდეს კითხვარები, რომლის საშუალებითაც სტუდენტების მოტივაციის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი: სურთ თუ არა მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის განვითარებაში; ხედავენ თუ არა საკუთარ როლს განვითარების პროცესში. იღებენ თუ არა უკუკავშირს საკუთარ მოსაზრებებზე.
4.ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ კითხვარის ფორმატი მოდიფიცირდეს იმ ფორმით, რომ კითხვის შინაარსი საშუალებას იძლეოდეს განისაზღვროს სტუდენტის ჩართულობის ტიპოლოგია, კერძოდ, ჩართულობის ქცევითი, კოგნიტური და ემოციური ფაქტორები.
5. სტუდენტებთან განახლდეს საკონსულტაციო შეხვედრები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

აქტივობა-კვლევა	პერიოდი სტრატეგიული მიზანი და ამოცანები
პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევა	**პირველი სემესტრის დასაწყისში** • **სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;** • **უნივერსიტეტზე ნეგატიური გამოხმაურების/მოსაზრების რისკის პრევენცია;** • **უნივერსიტეტის მიერ პიარკამპანიის სწორად ორგანიზება;** • **სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე. რადგან სტუდენტს საშუალება თუ ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილება, გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობაში. საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43. სტუდენტის უფლებები, შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება; მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში და სხვ.; **კვლევის მიზანი და ამოცანები** კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა. **კვლევის მეთოდოლოგია** კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა, ნაწილი მათგანი მოდულების სახით იქნა წარმოდგნილი. სამიზნე აუდიტორიად

	განისაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხური - ბაკალავრიატი (მათ შორის პირველკურსელთა კვლევა საუნივერსიტეტო გარემოიო კმაყოფილებასთან დაკავშირებით, ბაკალავრების კვლევა პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით და მაგისტრანტების კვლევა) და მაგისტრატურა. კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრებისა და მაგისტრანტების მონაწილეობით Coogle-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას. გამოკითხვა ჩატარდა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. **კვლევა ითვალისწინებდა:** **ა)** ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე). **ბ)** ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას; **გ)** ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას; **დ)** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად. **ე)** კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში; **პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევა** უნივერსიტეტის მასშტაბით პირველკურსელების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტი (სულ 124 რესპოდენტი). მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა: • **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 50,8%** • **იურიდიული ფაკულტეტი - 4,8%;** • **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 25%;** • **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 19,4%.** **რომელი საშუალებებით მოიპოვეთ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?** უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით - 34,7%; ინტერნეტის საშუალებით - 8,9%; ახლობლების საშუალებით - 50,8% სხვა - 5,6%; ✓ მიმდინარე და გასული წლის პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევებში ცალსახად იკვეთება, რომ სტუდენტებმა ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მოიპოვეს ახლობლებისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. კომენტარებში ჩანს, რომ მათ ახლობლებს უმაღლესი განათლება ამავე უნივერსიტეტში ჰქონდათ მიღებული და სხვებსაც უზიარებდნენ უნივერსიტეტთან დაკავშირებულ თავიანთ კმაყოფილებას. **რატომ აირჩიეთ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?** პრესტიჟულია - 6%; ხელმისწავდომია ტერიტორიულად - 44,4%; გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით - 26,6%; აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი - 8,9%; აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია - 5%; აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო - 9,7%.

✓ კითხვაზე, რატომ აირჩიეს სტუდენტენმა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმდინარე და გასული წლის პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევებში მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დათმობილი აქვს, ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, რაც რეგიონის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დასაქმდება თავისივე რეგიონში.

როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება)**?**
რა მოგეწონათ?
უნივერსიტეტში არის მეგობრული და კოლექტიური გარემო, არის ის ადგილი, სადაც შეგიძლია მიიღო მაღალი ხარისხის განათლება;
დასაწყისითვის ძალიან მომწონს;
უნივერსიტეტში ყველაფერი მომწონს;
ლექტორები მომეწონა;
სასიამობნო და პროფესიონალები არიან;
განათლების ხარისხი;

კითხვაზე, როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება) სტუდენტენმა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმდინარე და გასული წლის პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევებში მაღალი შეფასება მისცეს საუნივერსიტეტო გარემოს, განათლების ხარისხის, ლექტორების აკადემიურობასა და დამოკიდებულებას. თბილი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა და შენარჩუნება, უნივერსიტეტისათვის უცვლელი ტრადიციაა.

რას შეცვლიდით?
ძალიან მომწონს, არაფერს შევცვლიდი.
საგულისხმოა სტუდენტების პასუხები, რომ არაფერს არ შეცვლიდნენ, იმდენად მოეწონათ საუნივერსიტეტო გარემო.

ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?
დიახ - 89,5%;
ნაწილობრივ - 8,1%;
არა - 2%;

უნივერსიტეტს წლების მანძილზე დამკვიდრებული აქვს ორგანიზაციული საკითხებისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიდგომა, რაც გამოიხატება თითოეული საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრებით სასწავლო პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას. აგრეთვე, უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობები განთავსებულია ,,სსიპ - სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტები რომლებიც სემესტრის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში აუცილებლად მიიღებდნენ ამომწურავ ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?
დიახ - 86,3%;
ნაწილობრივ - 11,3%;
არა - 2%;

	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებთან სასწავლო წლის დასაწყისითვის ამზადებს პრეზენტაციას პირველკურსელებისათვის, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფოსთან დაკავშირებულ საკითხებს: სწავლა/სწავლება/შეფასება, აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ფორმები და სხვა. წელს დაემატა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირეულ საკითხებზე კონსულტაციები, რომლებშიც უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურიც იყო ჩართული. **უნივერსიტეტში გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი?** დიახ - 83,9%; ნაწილობრივ - 10%; არა - 6%; ➢ პირველკურსელების არაერთგვაროვანი პასუხები (10% - მეტწილად და 6% არ გაუცნიათ) - უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, მიუთითებს, რომ ყველა სტუდენტი არ/ანდა ვერ ესწრებოდა შეხვედრას, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველი ახალის სასწავლო წლის დასწყისში მართვას და სტუდენტებს აცნობს დოკუმენტებს: ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები“, ,,პერსონალისა და სტუდეენტის ეთიკის კოდექსი“. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. **გაეცანით თუ არა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას?** დიახ - 74,2%; ნაწილობრივ -21%; არა - 4%; ✓ უნივერსიტეტს წლების მანძილზე დამკვიდრებული აქვს ორგანიზაციული საკითხებისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიდგომა, რაც გამოიხატება თითოეული საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ შეხვედრებში სასწავლო პროცესის დაწყების პირველივე კვირას. უნივერსიტეტი ცდილობას მისი მისია და სტრატეგიული გეგმა ნათელი და ცნობილი იყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის. **გაეცანით თუ არა იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას:** დიახ - 68,5%; ნაწილობრივ - 23,4%; არა - 8,1%; ✓ უნივერსიტეტის ინტრნაციონალიზაციის პოლიტიკა ითვალისწინებს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობასა და მათ ხელშეწყობას, რაზეც მიუთითებს საზღვარგარეთთან ურტერთობის სამსახურის სპეციალისტის მიერ მობილობების გამოცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა. გაზაფხულისა და მიმდინარე წლის შემოდგომის სემსტრებში ორი სტუდენტი მონაწილეობდა საერთაშორისო მობილობაში. **დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.** ადმინისტრაციული პერსონალი - 20,2%, ბმაღლესი სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდი - 37,9%, ტუდენტები - 19,4%, კადემიური პერსონალი - 5,8%, აკულტეტის დეკანატი - 16,9%. ✓ დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი

	ღონისძიებების შესახებ, ამ შემთხვევაში გამოიკვეთა პროცენტული მაჩვენებლების მრავალფეროვნება, რადგან საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი თავის ვალდებულებად თვლის სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისასალებელია, რომ სტუდენტები ასე აქტიურად ადევნებენ თვალს საუნივერსიტეტო ცხოვრებას ვებგვერდის საშუალებით. **დაასახელეთ ქვეყანა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2020 – 2021 სასწავლო წლის განმავლობაში?** პოლონეთი - 8,9%; თურქეთი - 8,9%; დიდი ბრიტანეთი - 33,9%; კანადა - 5% გერმანია - 37,1%; ჩეხეთის რესპუბლიკა - 5% სხვ. – 1,2% საკითხი, რომელიც ითვალისწინებდა იმ ქვეყნის დასახელებას, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2020 – 2021 სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტებმა დიდი უპირატესობით გამოარჩიეს გერმანია 37,1% და მეორე ადგილზე დიდი ბრიტანეთი - 33,9%. ვფიქრობთ, მათი მხრიდან სწორი მინიშნებაა. ჩვენი უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი უჯვე იმყოფებოდა გერმანიაში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. **პირველი კვირის შთაბეჭდილება და თქვენი მოლოდინი:** სტუდენტების კომენტარები უცვლელად): მოლოდინი გამიმართლდა; ყველაფერი კარგი იყო; ყველაფერი კარგი და საინტერესო იყო; ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა, შემიყვარდა უნივერსიტეტი; პირველი კვირა ძალიან საინტერესო იყო, შევიძინე მეგობრები; მოლოდინს გადააჭარბა. ძალიან კარგი და შთამბეჭდავი იყო; და სხვ. ✓ რაც შეეხება პირველკურსელების პირველი კვირის ასეთ დადებით და ემოციურ შთაბეჭდილებებს, გასაკვირი არ არის. გასული წლების კვლევებიც იგივე მონაცემებს ასახავს. პანდემიის პირობებიდან დაბრუნების მიუხედავად, უნივერსიტეტმა პირველკურსელებისთვის სწავლა/სწავლების პროცესი წარმართა პირისპირ სწავლების მეთოდით, ტრადიციულად, სასწავლო წლის პირველი კვირა დაუთმო ურთიერთგაცნობას, საკონსულტაციო-საინფორმაციო, კულტ-მასობრივ ღონისძიებებს, რითაც ხელი შეუწყო სტუდენტების ადაპტირებას მათთვის ახალ, საუნივერსიტეტო გარემოში.
ბაკალავრებისა და მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა	**ყოველწლიურად** • **სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;** • **სტუდენტთა მხარდაჭერა;** • **სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.** **ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა** **კვლევის მიზანი და ამოცანები** კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და აგრეთვე სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა. **კვლევის მეთოდოლოგია**

	კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი და კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრების მონაწილეობით Coogle-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას. გამოკითხვა ჩატარდა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებები დადარდებოდა გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებს (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე). გამოიკვეთებოდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და ეცნობებოდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად. უნივერსიტეტის მასშტაბით ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის ბაკალავრი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს: • **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 10,7%** • **იურიდიული ფაკულტეტი - 3,6%;** • **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 63,1%;** • **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 22,6%.** **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:** **1. ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ?** **პროგრამა პროფესიის შერჩევისას გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის განვითარებაში დამეხმარა** • დიახ - 57,1%; • ნაწილობრივ - 35,7%; • არა - 7,1%. ✓ საინტერესო მიგნებაა, რომ პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების სტრუქტურის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თანხვედრამ სტუდენტს სწორი მიმართულება მისცა მისთვის საუსრველი პროფესიის შერჩევისათვის. **პროგრამიდან შეძენილი ცოდნა და გაცნობიერების საფუძველზე განმივითარდა:** • სწავლის უნარი - 35,7%; • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - 46,4%; • დასკვნის უნარი - 14,2%; • დამოუკიდებლობის უნარი - 29,8%; • კომუნიკაციის უნარი- 38,1% • ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - 26,2%. ✓ საინტერესო მიგნებაა, რომ სასწავლო კურსების შესწავლამ სტუდენტი გაიყვანა იმ სწავლის შედეგებზე, რაც საბოლოოდ აისახებ პროგრამის სწავლის შედეგებში. საინტერესოა ის მაღალი პროცენტული მაჩვენებლებიც, რომლებიც ითვალისწინებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სწავლის უნარს, კომუნიკაციის უნარს, დამოუკიდებლობის უნარს და რაც მთავარია, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, იმ შემთხვევაში, თუ თვითონ პროგრამისთვის მიღწევადია ეს სწავლის შედეგი. **პროგრამა პროფესიული ეთიკის დაცვის უნარების განვითარებაში დამეხმარა** • დიახ - 64,3%; • ნაწილობრივ - 32,1%; • არა - 3,6%.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ პროგრამა პროფესიული ეთიკის უნარების განვითარებაში დაეხმარა სტუდენტებს, რადგან პროფესიული ეთიკის ცოდნა და მისი დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელია შრომის ბაზარზე დასაქმებისა და ადგილის დასამკვიდრებლად.

პროგრამა სამომავლო სამოქმედო გეგმების შედგენაში დამეხმარა

- დიახ - 57,1%;
- ნაწილობრივ - 33,3%;
- არა - 9,5%.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ პროგრამა სტუდენტებს სამომავლო სამოქმედო გეგმების შედგენაში დაეხმარა, რადგან პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტი აყალიბებს მოსაზრებას, სწავლის გაგრძელების შესახებ უმაღლესი განათლებლის შემდეგ საფეხურზე ან იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული განვიტარების კუთხით პრაქტიკაში.

2. იყენებდით თუ არა პროფესორთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმას კონსულტაციების ცხრილის შესაბამისად?

- დიახ - 35,7%;
- ნაწილობრივ - 42,9%;
- არა - 21,4%.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტების შედარებით მცირე მაჩვენებელი 21,4% არ იყენებდა პროფესორთა კონსულტაციებს. ამ საკითხის ასახსნელად, ფვიქრობთ, სტუდენტს არ დასჭირვებია კონსულტაციები და არ მიუმართავს პროფესორისთვის. საკონსულტაციო საათების ზუსტი დრო და ადგილი გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, ხოლო ცხრილების განთავსებულია დეკანატებში საინფორმაციო დაფაზე.

3. რის გაუმჯობესებას ისურვებდით სასწავლო პროგრამის ფარგლებში?

არაფრის;
დასკვნის უნარის;
ექსპედიციებს და სხვა პრაქტიკული სამუშაოების დამატებას.

✓საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს პროგრამის ფარგლებში არაფრის შეცვლა არ სურთ, ხოლო ნაწილს სურს ექსპედიციებისა და პრაქტიკული სამუშაოების დამატება. ვფიქრობთ, ეს საკითხი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციოლოგიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ეხება. ამ ეტაპზე აღნიშნულ ფაკულტეტზე რეაკრედიტაციისთვის მზადდება ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების რამდენიმე პროგრამა. ეს მიგნება პროგრამების შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელია.

დამატებითი (minor) პროგრამა.

გაეცანით, თუ არა უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს?

- დიახ - 67,9%;
- ნაწილობრივ - 10,7%
- არა - 21,4%;

✓ სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც სრულ სურათს აძლევს დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტში მოქმედი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მისასალმებელია, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დაინტერესდა კატალოგით.

ძირითადი პროგრამის პარალელურად გაქვთ არჩეული დამატებითი პროგრამა?

- დიახ - 81%;
- არა - 19%

✓ რესპოდენტთა დიდ ნაწილს არჩეული აქვს დამატებითი პროგრამები, იმის შესაბამისად პროგრამა აძლევს თუ არა დამატებითი პროგრამის გავლის საშუალებას.

- **რომელი დამატებითი პროგრამა აირჩიეთ?**

რესპოდენტთა დიდ ნაწილს არჩეული აქვს დამატებითი პროგრამები:
ისტორია
ინფორმაციული ტექნოლოგიები
ეკოლოგია
აგრონომია
ინგლისური
ბიზნესის ადმინისტრირება

- **რამ განაპირობა დამატებითი პროგრამის შერჩევა?**

საინტერესოა
მომწონდა მასწავლებლის საქმიანობა
ხარისხი
მიყვარს ისტორია
არ ამირჩევია
საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტები გულწრფელად პასუხობენ კითხვას, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის დამატებითი პროგრამა. ჩანს მათი ავტონომიურობა გადაწყვეტილების მიღებისას

- **თქვენი აზრით, რომელი დამატებითი უნარების განვითარებაში დაგეხმარებათ**

უკვე შემიძლია სკოლაში მოსწავლეებთან მუშაობა
მაღალხარისხიანი ლექციების მომზადებაში
კომპიუტერული ცოდნის გაღრმავებაში
აიტის უნარები
ისტორიის ცოდნაში
საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტები დამაჯერებლად პასუხობენ კითხვას დამატებითი პროგრამების ფარგლებში მათ მიერ შეძენილი უნარების შესახებ. ანუ სტუდენტებმა მიაღწიეს სწავლის იმ შედეგებს,რისი მოლოდინიც ჰქონდათ პროგრამის არჩევისას.

- **რამდენად თანხვედრაშია თქვენს მიერ არჩეული ძირითადი და დამატებითი პროგრამების სწავლის სფეროები?**
- დიახ - 38,1%;
- ნაწილობრივ - 47,6%;
- არა - 14,3%

✓ საინტერესო მიგნებაა, სტუდენტები შედარებით იშვიათ შემთხვევაში დამატებით პროგრამას ირჩევენ თავიანთი ძირითადი პროგრამისგან განსხვავებული მიმართულებით, უფრო ხშირად კი სპეციალობასთან მიახლოვებული სპციალობიდან.

- **გაგიმართლდათ, თუ არა მოლოდინი აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით?**
- დიახ - 57,1%;
- ნაწილობრივ - 32,1%;
- არა - 10,7%.

✓ სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ გაუმართლდათ ის მოლოდინები, რაც დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში იყო გათვალისწინებული, ხოლო იმ შედარებით მცირე ნაწილთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით უნდა ამოიხსნას ის მიზეზები, რატომ არ გაუმართლდათ მოლოდინი.

- **მიაღწიეთ თუ არა დამატებითი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს?**
- დიახ - 56%;
- ნაწილობრივ - 32,1%;
- არა - 11,9%.

	სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ მიაღწიეს დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო იმ შედარებით მცირე ნაწილთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით უნდა ამოიხსნას ის მიზეზები, რატომ ვერ მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, ამ შემთხვევაში საინტერესოა დამატებითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მოსწრების ანალიზი. **მობილობა.** **1. ხართ თუ არა მობილობით გამოსული სტუდენტი?** • დიახ, შიდა მობილობით - 15,5%; • დიახ, გარე მობილობით - 1,2%; • არა - 83,3%. ✓ სტუდენტთა მცირე რაოდენობა 1,2% მობილობითაა გადმოსული, ხოლო 15,5% კი აღნიშნავს, რომ შეიცვალა სპეციალობა შიდა მობილობის ფარგლებში. ამ შემთხვევაში დამატებითი კვლევაა ჩასატარებელი, რა მიზეზებმა განაპირობა ახალი პროგრამის არჩევანი. **2. რა იყო მობილობით გადმოსვლის მიზეზი?** • სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხი - 22% • უნივერსიტეტის ან საგანმანათლებლო პროგრამის ვტორიზაციის/ აკრედიტაციის გაუქმება - 3% • საგანმანათლებლო პროგრამის სირთულე - 0% • სპეციალობის შეცვლა - 10% • ხელსაყრელი მდებარეობა - 10% • ფინანსურად ხელმისაწვდომობა - 12,2%. ✓ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი რაოდენობა ჩვენ უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად ასახელებს სწავლა/სწავლების მაღალ ხარისხის და ფინანსურად ხელმისაწვდომობას, რაც ცალსახად სტუდენტების ხელშემწობ ფაქტორად გვევლინება. **ბიბლიოთეკა** **1. ხელმისაწვდომია თუ არა სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა?** • დიახ - 54,8%; • ნაწილობრივ - 40,5%; • არა - 2%. ✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი აფიქსირებს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილობრივ ხელმისაწვდომობას, რადგან სამეცნიერო ბიბლიოთეკის ანგარიშებიდან, აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესებიდან, ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ფლობს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალებულო ლიტერატურას როგორც მატერიალური, ახლა უკვე გაციფრულებული სახით. აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ლიტერატურა ათვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის პროგრამაში. **2. გაკმაყოფილებთ თუ არა ბიბლიოთეკის სამუშაო გარემო?** • დიახ - 52,4%; • ნაწილობრივ - 39,3%; • არა - 8,3% ✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული, მცირე ნაწილი აფიქსირებს ბიბლიოთეკის სამუშაო გარემოთი უკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკას აქვს კომფორტული სამუშაო სივრცე, სამუშაო გრაფიკი, ყველა ის მატერიალურ-ტექნიკური, თუ მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, რაც სტუდენტს დასჭირდება სწავლა/სწავლების პროცესში. **3. სარგებლობთ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით?** • დიახ - 32,1%;

- ნაწილობრივ - 46,4%;
- არა - 21,4%.

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი არ სარგებლობს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. ჩვენი აზრით, ეს სტუდენტები ჯერ არ ჩართულან პროექტების, საკონფერენციო თემების და სხვა მომზადების პროცესში. რეალურად უნივერსიტეტში როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და ტრენინგები სამეცნიერო ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით.

4. რამდენად სწრაფად ხდება ბიბლიოთეკაში საჭირო ინფორმაციით თქვენი უზრუნველყოფა?

- დიახ - 39,3%;
- ნაწილობრივ - 50%;
- არა - 10,7%

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი აფიქსირებს თავის მოსაზრებას, რომ ბიბლიოთეკაში სწრაფად არ ხდება საჭირო ინფორმაციით მათი უზრუნველყოფა. საჭიროა სტუდენტების ინფორმირება ბიბიბლიოთეკის მომსახურების ვადებთან დაკავშირებით, რომ სწორად შეაფასონ რამდენად დროულად ხდება მათი უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო მომსახურებით.

მოგვაწოდეთ რეკომენდაციები ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდისა და მომსახურების შესახებ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: სტუდენტთა რეკომენდაციები გადმოტანილია უცვლელად)

მომსახურება გაუმჯობესებულია

არ გამაჩნია

ბიბლიოთეკაში უნდა იყოს საკმარისი წიგნები ყველა სტუდენტისათვის. რთულია ერთი წიგნით 4-5 ბავშვის სწავლა.

✓ სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს როგორც მატერიალური, ასევე გაციფრულებული წიგნადი ფონდი. მატერიალური სახით თითოეული სტუდენტის უზრუნველყოფა ხდება სტუდენტების მოთხოვნების საფუძველზე, მათთვის ქსეროასლების მომზადებით.

მატერიალური რესურსი

1. გაკმაყოფილებთ თუ არა საუნივერსიტეტო გარემო?

- დიახ - 66,7%;
- ნაწილობრივ - 24,7%;
- არა - 6%.

✓ სტუდენტთა გარკვეულწილად დიდი რაოდენობა კმაყოფილია საუნივერსიტეტო გარემოთი, ხოლო სტუდენტების მცირე ნაწილის უკმაყოფილობის მიზეზი კომენტარის სახით არ არის წარმოდგენილი. სასურველია, რექტორის საათის დროს სტუდენტებისთვის დაისვას ეს შეკითხვა.

2. მეცადინეობებზე იყენებდით სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს (მონიტორი და სხვ.)?

- დიახ - 50%;
- ნაწილობრივ - 36,9%;
- არა - 13,1%.

✓ სტუდენტთა გარკვეულწილად დიდი რაოდენობა აღნიშნავს, რომ სწავლების პროცესში იყენებდნენ ტექნიკურ საშუალებებს. მცირე ნაწილი კი მიუთითებს, რომ არ იყენებდნენ. ეს საკითხი დაზუსტდება მათ მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასებისას. სასწავლო კურსი ითვალისწინებდა თუ არა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

3. უნივერსიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობთ (ხანძრის, ჯანმრთელობის და სხვ. მხრივ)?

- დიახ - 78,6%;

- ნაწილობრივ - 21,4%;
- არა - 0%;

✓ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

4. ინფორმირებული ხართ საევაკუაციო გეგმის შესახებ?

- დიახ - 56%;
- ნაწილობრივ - 26,2%;
- არა - 17,9%.

✓ კითხვაზე, ინფორმირებული არიან თუ არა სტუდენტები საევაკუაციო გეგმის შესახებ, 17,9% უარყოფითი პასუხი დასაფიქრებელია. მიუხედავ იმისა, რომ უნივერსიტეტში საევაკუაციო გეგმა განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე, ეტაპობრივად ტარდება იმიტირებული განგაში, რომელშიც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება იღებს მონაწილეობას, მაინც მიგვაჩნია საჭიროდ მეტი ინფორმირებულობის მიზნით სტუდენტებს ჩაუტარდეთ შეხვედრები.

5. კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო დახმარებით?

- დიახ - 47,6%;
- ნაწილობრივ - 34,5%
- არა - 17%;

✓ კითხვაზე, კმაყოფილებია არიან თუ არა სტუდენტები სამედიცინო დახმარებით, 17% უარყოფითი პასუხი დასაფიქრებელია. უნივერსიტეტში ყველა კორპუსში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

6. ინფორმაციის მისაღებად სარგებლობთ თუ არა უნივერსიტეტის ვებგვერდით და fb გვერდით?

- დიახ - 83,3%;
- ნაწილობრივ - 13,1%;
- არა - 3%.

✓ მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა ძირითადი კონტინგენტი სარგებლობს უნივერსიტეტის ვებგვერდით.

გამოცდები

1. თქვენი აზრით, გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმატი იძლევა ცოდნის გამომჟღავნების საშუალებას?

- ზეპირი - 10,7%;
- წერითი - 26,2%;
- ელექტრონული - 29,8%;
- შერეული - 33,3%.

✓ კითხვაზე, თქვენი აზრით, გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმატი იძლევა ცოდნის გამომჟღავნების საშუალებას, არაერთგვაროვანი პასუხებია მიღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები აცნობიერებენ სასწავლო კურსების მიხედვით, გამოცდის რომელი ფორმით შეძლებ თავიანთი უნარების წარმოჩენას.

2. საკმარისია თუ არა ელექტრონული გამოცდისთვის მოცემული დრო?

- დიახ - 23,8%;
- ნაწილობრივ - 35,7%;
- არა - 40,5%

✓ კითხვაზე, თქვენი აზრით, ელექტრონული გამოცდისთვის მოცემული დრო, სტუდენტთა დიდი რაოდენობა არასაკმარისად მიიჩნევს დროის მონაკვეთს, რომელიც გამოცდას ეთმობა. ეს საკითხი განსახილველია ფაკულტეტებზე პროგრამებისა და სასწავლო კურსების ხელმძღვანელების ჩართულობით.

3. გამოცდის მსვლელობისას, შეგქმნიათ ტექნიკური პრობლემები?

- დიახ - 48,8%;

- ნაწილობრივ - 22,6%
- არა - 28,6%.

✓ კითხვაზე, გამოცდის მსვლელობისას შეგქმნიათ თუ არა ტექნიკური პრობლემა სტუდენტთა დიდი რაოდენობა დადებითად პასუხობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის პროგრამის ადმინისტრატორს, რომელმაც შეფერხების მიზეზად დაასახელა ლექტორების მიერ გადატვირთული სამუშაო ფანჯრები და ფაკულტეტის სხდომაზე აკადემიურ/მოწვეული პერსონალისთვის გასცა რეკომედაციები მიზეზის აღმოსაფხვრელად.

4. რამდენი ქულით შეაფასებდით საგამოცდო ცენტრის მუშაობას?

1	2	3	4	5
0%	0%	15,5%	31%	50,2%

სტუდენტთა დიდი პროცენტული მაჩვენებლი დადებითად აფასებს საგამოცდო ცენტრის მუშაობას.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

1. ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ?

- დიახ - 39,3%;
- ნაწილობრივ - 39,3%;
- არა - 21,4%.

✓ კითხვაზე, ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ, გარკვეული ნაწილი პასუხობს, რომ არ არის ინფორმირებული. ამ საკითხთან დაკავშირებით შედეგები უნდა ეცნობოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს და დაიგეგმოს საკონსულტაციო შეხვედრები.

2. რომელი საინფორმაციო საშუალებებით იღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ?

- საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ ორგანიზებული შეხვედრებით - 2%;
- უნივერსიტეტის ვებგვერდის - 51,2%
- fb გვერდის - 42,9%;
- საინფორმაციო დაფის - 3,9%;

✓საკითხთან დაკავშირებით შედეგები უნდა ეცნობოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს და დაიგეგმოს საკონსულტაციო შეხვედრები.

3. რა მექანიზმებით ხდება უნივერსიტეტში საერთაშორისო გაცვლით პროექტებში სტუდენტთა შერჩევა?

- კონკურსის წესით - 48,8%;
- აკადემიური მოსწრებით - 40.5%;
- და სხვ. – 10% (არ ვარ ინფორმირებული, არ ვიცი);

✓ აღსანიშნავია, სტუდენტთა გულწრფელი პასუხები საერთაშორისო გაცვლით პრექტებში სტუდენტთა შერჩევის მექანიზმების შესახებ. ისინი დარწმუნებული არიან უნივერსიტეტის სამართლიან მიდგომებში, რომ სტუდენტთა შერჩევა ხდება კონკურსის პირობებით, რომელიც აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვანი ფაქტორია.

4. მხარდაჭერის რომელ მექანიზმს ისურვებდით უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო მობილობის ან პროექტებში ჩართვის მიზნით?

ფინანსური მხარდაჭერა

დასაფიქრებელია

✓ კითხვაზე, მხარდაჭერის რომელ მექანიზმს ისურვებდით უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო მობილობის ან პროექტებში ჩართვის მიზნით, სტუდენტების ნაწილი პასუხობს, რომ ფინანსურ მხარდაჭერას ისურვებდნენ. ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები", ცალსახად ითვალისწინებს სტუდენტების ხელშეწყობის მექანიზმებს.

სჯსუ-ს თვითმმართველობა

1. ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ?

- დიახ - 45,2%;
- ნაწილობრივ - 31,8%;
- არა - 16,7%;

✓ კითხვაზე, ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, მიგვაჩნია, რომ უარყოფითი პასუხი აღარ უნდა გვქონდეს. უნივერსიტეტში სულ ახლახანს ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და ვფიქრობთ ახალი გუნდი შემოიერთებს სტუდენტებს და აქტიურად ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

2. მონაწილეობთ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში?

- დიახ - 13,1%;
- ნაწილობრივ - 45,2%;
- არა - 41,7%.

✓ კითხვაზე, მონაწილეობთ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მიგვაჩნია, რომ უარყოფითი პასუხი აღარ უნდა გვქონდეს. სტუდენტური თვითმმართველობა შემოიერთებს სტუდენტებს და აქტიურად ჩართავს სხვადასხვა ღონისძიებებში.

3. დაგვისახელეთ თვითმმართველობის მიერ განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება

- საინფორმაციო - 23,8%;
- საქველმოქმედო - 4%
- ექსკურსიები - 23,8%;
- ექსპედიციები - 2%;
- სპორტული - 19%
- კულტურული - 10%
- სასწავლო შემეცნებითი - 19%

✓ სტუდენტებმა ჩამოთვალეს იმ ღონისძიებების უმეტესობა (არა ყველა), რომელიც ხორციელდებოდა თვითმმართველობის მიერ. ეს მიუთითებს სტუდენტური თვითმმართველობის აქტიურობაზე და უნივერსიტეტის მხრიდან მათ ხელშეწყობაზე.

4. მიგიმართავთ თუ არა თვითმმართველობისთვის რაიმე წინადადებით?

- არ მიმიმართავს - 85,7%;
- გამოვთქვი სურვილი მონაწილება მიმეღო მათ მიერ დაგეგმილ აქტივობაში, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღე - 7%
- შემითავაზებია კონკრეტული პროექტი - 7,1%

სტუდენტური სერვისები

1. დაასახელეთ სწავლაში ხელისშემშლელი ფაქტორი/ფაქტორები

არ არის

ონლაინ სწავლება

არ გამაჩნია

2. გაქვთ თუ არა სჯსუ-ში თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა

- დიახ - 46,4%;
- ნაწილობრივ - 40,5%;

- არა - 13,1%.

კითხვაზე, გაქვთ თუ არა სჯსუ-ში თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა 13,1% პასუხობს უარყოფითად. საინტერესოა სტუდენტების ასეთი მოსაზრება, რადგან უნივერსიტეტში სწავლა/სწავლება ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, აგრეთვე სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, მობილობაში და სხვ.

3. იღებთ თუ არა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?

- დიახ - 42,9%;
- ნაწილობრივ - 40,5%;
- არა - 16,7%.

კითხვაზე, იღებთ თუ არა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, უარყოფითი პასუხის სულ მცირე პროცენტული მაჩვენებელიც კი მოკველევას საჭიროებს, რადგან უნივერსიტეტს სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმები აქვს შემუშავებული, რომელშიც ჩართლია უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეული, ხოლო რექტორი, ტრადიციულად ყოველთვე (ახლა უკვე ონლაინ რეჟიმში) მართავს რექტორის საათს, რაც ძალიან გვეხმარება კვლევებისას გამოკვეთილ ზოგიერთ საკითხზე უკუკავშირის მისაღებად.

4. გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი კარიერული მხარდაჭერის სერვისებს?

- დიახ - 46,4%;
- ნაწილობრივ - 35,7%;
- არა - 17,9%

კითხვაზე, გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი კარიერული მხარდაჭერის სერვისებს, უარყოფითი პასუხის მაჩვენებელი მოულოდნელი იყო, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამასახურის კარიეული განვითარების სპეციალისტი ატარებს დასაქმების ფორუმებს, საკონსულტაციო შეხვედრებს, თემატურ ტრენინგებს და სხვ. საჭიროა სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა რათა აქტიურად ჩაერთონ დაგეგმილ ღონისძიებში.

5. კარიერული მხარდაჭერის რომელ სერვისებს გთავაზობთ უნივერსიტეტი?

- დასაქმების ფორუმი - 35,7%;
- საკონსულტაციო შეხვედრები - 17,9%
- სტაჟირება დამსაქმებლებთან - 15,5%
- თემატური ტრენინგები - 31%;
- მისასალმებელია, ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტები ადასტურებენ იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც რეალურად ტარდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამასახურის კარიეული განვითარების სპეციალისტის მიერ.

6. აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში?

- დიახ - 73,8%;
- არა - 26,2%;

✓ კითხვაზე, აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში, საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ აპირებენ სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, რაც გასული წლების კვლევებითაც დასტურდება. მაგისტრატურის სტუდენტების უმრავლესობა ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან, რაც უნივერსიტეტისათვის ცალსახად დადებითი მომენტია.

7. ხართ თუ არა დასაქმებული?

- დიახ - 32,1%;
- არა - 67,9%.

✓ ბაკალავრიატის საფეხურის მხოლოდ 32, 1% -ია დასაქმებული.

მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა და კვლევა ჩატარდა მაგისტრანტების მონაწილეობით Coogle-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენთტა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა ჩატარდა 2020-2021 სასწავლო წელის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებები დადარდებოდა შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებს. გამოიკვეთებოდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და ეცნობებოდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

უნივერსიტეტის მასშტაბით მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის მაგისტრანტი (სულ 29 რესპოდენტი). მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 13,8%**
- **იურიდიული ფაკულტეტი - 3,5%;**
- **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 17,2%;**
- **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 65,5%.**

მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ბიზნეს-ინფორმატიკის - 41,4%, აგროტექნოლოგიის - 27,6%, ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტები.

კვლევა მოიცავდა 13 საკითხს, რომლებზეც გაცემული იყო შემდეგი პასუხები:

1.რამ განაპირობა თქვენი არჩევანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისას?

- ამავე უნივერსიტეტში დასრულებულმა საბაკალავრო პროგრამამ - 44,8%;
- გამოირჩევა სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხით - 13,8%;
- აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია - 6,4%;
- აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო - 10,3%;
- ხელმისწავდომია ტერიტორიულად - 20,7%;
- ეს იყო ჩემი კომპეტენციის ამაღლებისთვის საუკეთესო გზა - 4%.

პირველ კითხვასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი, რომლებმაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მოიპოვეს ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კმაყოფილები არიან საუნივერსიტეტო გარემოთი, მიღებული ცოდნით და მათი არჩევანი უწყვეტი განათლების შესახებ შეჩერდა ისევ ,,სსიპ - სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, სადაც აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების რაოდებობა მათ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის საშუალებას აძლევდათ, რაც ცალსახად მისასალმებელია.

2. სასწავლო პროცესი ორგანიზებული და მოწესრიგებულია?

- დიახ - 75,9%;
- მეტწილად - 10,3%;
- ნაწილობრივ - 13,8%;
- არა - 0%;

მაგისტრანტების სააუდიტორიო მეცადინეობები და ონსულტაციები ტარდება წინასწარ შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად. ცხრილების სწავლის დაწყებამდე განთავსებული როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტების შესაბამისად

	თვალსაჩინო ადგილას. მეცადინეობების განრიგის შეცვლა თითქმის არ ხდება, განსაკუთრებული გამონაკლისის გარდა. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. საბიბლიოთეკო რესურსი თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია, როგორც გაციფრულებული, აგრეთვე მატერიალური სახით. აკადემიური/მოწვეული პერსონალი გამოირჩევა მაღალი აკადემიური პასუხისმგებლობით. სასწავლო რესურსი და სილაბუსები ატვირთული აქვთ უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის პროგრამაში. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას მათთვის საჭირო საკითხებზე. მაგისტრანტების პასუხები (მეტწილად - 10,3%; ნაწილობრივ - 13,8%) სასწავლო პროცესის ორგანიზებულობისა და მოწესრიგებულობის შესახებ დაზუსტებას საჭიროებს, რაც გამოვლინდება მათ მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების კვლევებსა და ჩარღმავებულ ინტერვიუებში. **3. ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნოთ თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?** • დიახ - 93,1%; • მეტწილად - 3%; • ნაწილობრივ - 3%; • არა - 0%; უნივერსიტეტს წლების მანძილზე დამკვიდრებული აქვს ორგანიზაციული საკითხებისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოკიდება, რაც გამოიხატება თითოეული საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრებით სასწავლო პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას. აგრეთვე, უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობები განთავსებულია ,,სსიპ - სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტები რომლებიც სემესტრის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში აუცილებლად მოიიღებდნენ ამომწურავ ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. **4. თქვენი აზრით, შეფასება ობიექტური და სამართლიანია?** • დიახ - 89,7%; • მეტწილად - 4%; • ნაწილობრივ - 5%; • არა - 0% მაგისტრანტების პასუხები შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის შესახებ დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენი აზრით საინტერესოა, რესპოდენტთა თუნდაც მცირე პროცენტული (5%) შემადგენლობა რატომ პასუხობს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობის საკითხს ნაწილობრივი შეფასებით, რაც გამოვლინდება მათ მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების კვლევებში და აკადემიურ/მოწვეული პერსონალის უკუკავშირის კვლევებში. **5.სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო საკმარისია?** • დიახ - 89,7%; • მეტწილად - 7%; • ნაწილობრივ - 3%; • არა - 0% სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო საკმარისი იყო, თუ არა, მაგისტრანტების პასუხები - მეტწილად 7% და ნაწილობრივ 3%, ნიშნავს, რომ რამდენიმე სტუდენტს კონსულაციისთვის უფრო მეტი დრო მიაჩნია საჭიროდ. ამისათვის, აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომებისა და პროგრამის ხელმძღვანელებს ეცნობოთ

	აღნიშნული პასუხი, რათა მათ უზრუნველყონ სტუდენტების კონსულტაციები დროის იმ მონაკვეთით, რომელსაც ითვალისწინებს კონკრეტულ საკითხზე მუშაობა. **6.სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამუშაო გეგმის შედგენაში?** • დიახ - 79,3%; • მეტწილად - 13,8%; • ნაწილობრივ - 8%; • არა -0%; სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამუშაო გეგმის შედგენაში თუ არა, მაგისტრანტების პასუხები - მეტწილად 13,8% და ნაწილობრივ 8%, ნიშნავს, რომ სტუდენტებთან უფრო მუშაობა მართებთ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს ან/და გააცნობიერებინონ სტუდენტებს, რომ სამუშაო გეგმის შედგენისას გარკვეული ინფორმაცია მათი მხრიდანაც უნდა იქნეს მიწოდებული. საჭიროა აღნიშნული ინფორმაცია ეცნობოთ სამაგისტრო ნაშრომებისა და პროგრამების ხელმძღვანელებს, რათა მათ გულდასმით გადახედონ ,,სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადების ინსტრუქციას“ და სტუდენტების ჩართულობით უზრუნველყონ მათთვის მუშაობაში ხელშეწყობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. **7. სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში?** • დიახ - 82,8%; • მეტწილად - 7%; • ნაწილობრივ - 10,3%; • არა - 0%; სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში თუ არა, მაგისტრანტების პასუხები - მეტწილად 7% და ნაწილობრივ 10,3%, ნიშნავს, რომ სტუდენტებთან უფრო მუშაობა მართებთ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს. საჭიროა აღნიშნული ინფორმაცია ეცნობოთ სამაგისტრო ნაშრომებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, რათა მათ გულდასმით გადახედონ ,,სამაგისტრო ნაშრომის/ პროექტის მომზადების ინსტრუქციას“ და სტუდენტების ჩართულობით უზრუნველყონ ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში ხელშეწყობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. **8. სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში?** • დიახ - 75,9%; • მეტწილად - 10,3%; • ნაწილობრივ - 7%; • არა - 6%; სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში თუ არა, მაგისტრანტების პასუხები - მეტწილად 10,3% და ნაწილობრივ 7%, ნიშნავს, რომ სტუდენტებთან უფრო მეტი მუშაობა მართებთ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს. საჭიროა აღნიშნული ინფორმაცია ეცნობოთ სამაგისტრო ნაშრომებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, რათა მათ გულდასმით გადახედონ ,,სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადების ინსტრუქციას“ და ხელი შეუწყონ სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში, რაც უპირობო მოთხოვნა სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად. **9.უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი?** • დიახ - 79,3%; • მეტწილად - 13,8%; • ნაწილობრივ - 0%; • არა - 7%; მაგისტრანტების არაერთგვაროვანი პასუხები (13,8% - მეტწილად და 7% არ გაუცნიათ) - უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი,

მიუთითებს, რომ ყველა სტუდენტი არ/ანდა ვერ ესწრებოდა შეხვედრას, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველი ახალის სასწავლო წლის დასწყისში მართვას და სტუდენტებს აცნობს დოკუმენტებს: ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები", ,,პერსონალისა და სტუდეენტის ეთიკის კოდექსი". აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

10.დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

- ადმინისტრაციული პერსონალი - 8%;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ- გვერდი - 32,1%;
- სტუდენტები - 0%;;
- აკადემიური პერსონალი - 10%;
- ფაკულტეტის დეკანატი - 50%.

რაც შეეხება საინფორმაციო წყაროს, რომლის საშუალებითაც სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, დიდი ხვედრითი წილი მოვიდა ფაკულტეტების დეკანატებზე (50%), უნივერსიტეტის ვებგვერდზე (32,1%) და სხვ., რაც მიუთითებს, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაგეგმილი და განხორციელებული აქტიბობების შესახებ, რაც მისასალმებელია, საჭიროა მათი მხრიდან მეტი აქტივობა, რომ აქტიურად ჩაერთონ ღონისძიებებში.

11. თქვენი აზრით ყველაზე მეტად რა უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას?

შენიშვნა: (ეს შედეგები გამოანგარიშდა საშუალო არითმეტიკულით).

- მემორანდუმები და ერთობლივი აქტივობები სხვა უნივერსიტეტებთან - 12 ქულა;
- პროექტების კოორდინატორების ჩართულობა - 13 ქულა;
- სასწავლო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა - 13,5 ქულა;
- ტურისტული კომპანიების დაინტერესება და მათი ჩართულობა - 11 ქულა;
- ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელების საშუალებით - 12 ქულა;
- კონკრეტულ ქვეყნებში სამუშაო ვიზიტები, ფორუმებზე, გამოფენებზე მონაწილეობა და პირდაპირი დიალოგი დაინტერესებულ პირებთან - 13,5 ქულა;
- ერთობლივი კონფერენციები და სამეცნიერო გამოცემები - 12 ქულა;
- საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების მუშაობა - 12 ქულა;
- მაღალრეიტინგულ, უცხოენოვან ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება - 10 ქულა;

კითხვაზე - რა უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას, გამოიკვეთა პასუხები, თითქმის თანაბარი ხვედრითი წილით. თუმცა უპირატესობა მიენიჭა: პროექტების კოორდინატორების ჩართულობა - **13 ქულა;** სასწავლო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა **- 13,5 ქულა,** კონკრეტულ ქვეყნებში სამუშაო ვიზიტები, ფორუმებზე, გამოფენებზე მონაწილეობა და პირდაპირი დიალოგი დაინტერესებულ პირებთან - **13,5 ქულა.**

12. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდით კურიკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?)

- დიახ - 37,9%;
- მეტწილად - 17,2%;
- ნაწილობრივ - 44,8%

კითხვაზე - მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდით კურიკულუმის გარე აქტივობებში, გამოიკვეთა რომ სტუდენტთა 44,8% შედარებით ნაკლებად იყო ჩართული კონფერენციებში, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში. სტუდენტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს კმაყოფილებას

	გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტი მათ თავაზობს მარავალფეროვან აქტივობებს, მაგრამ ნაკლებად ჩართულობის მიზეზად ასახელებენ საკუთარი დროის სიმცირეს, რადგან მათი უმეტესობა დასაქმებულია. თუმცა კონფერენციებში მონაწილეობა თითოეული მაგისტრანტისათვის სავალდებულო აქტივობა უნდა იყოს. **13.თქვენს მიერ არჩეულმა სამაგისტრო პროგრამამ გაამართლა თქვენი მოლოდინი?** • დიახ - 72,4%; • მეტწილად - 24,1%; • ნაწილობრივ - 3,5% კითხვაზე - თქვენს მიერ არჩეულმა სამაგისტრო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი, საკმაოდ დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა. საინტერესოა გამოკითხვაში მონაწილე 3,5%-ის მოსაზრებები, რომლებმაც „ნაწილობრივი" გამართლება დააფიქსირეს. სასურველი იყო სტუდენტებს კომენტარებიც დაეფიქსირებინათ. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ კითხვარის ფორმატი მოდიფიცირდეს, იმ ფორმით კითხვის შინაარსი საშუალებას იძლეოდეს განისაზღვროს სტუდენტის ჩართულობის ტიპოლოგია, კერძოდ, ჩართულობის **ქცევითი, კოგნიტური** და **ემოციური** ფაქტორების გამოყოფა. **მიგნებები:** **სტუდენტების პასიურობა** ა) კითხვარების შევსებაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეული პასიურობა დაფიქსირდა. ეს გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა მოსაზრებები და სურვილები დარჩებოდა მხოლოდ კითხვარში. უნივერსიტეტში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული **საუკეთესო პრაქტიკა - რექტორის საათი,** სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, რისი ნათელი დადასტურებაცაა კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების: სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების მიწოდება რექტორატისათვის და ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე მყისიერი უკუკავშირი (მაგალითად, ელექტრონული სწავლების ფორმატზე გადასვლისას სტუდენტების, მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფა მათთვის საჭირო რესურსებით (დროებით სარგებლობაში კომპიუტერების გადაცემა, წვდომა ინტერნეტზე). ბ) რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებული სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება ნაკლებად აქტიური ხასიათისაა, შესაბამისად, კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. გ) „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" არეგულირებს სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართულობას, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობის წევრები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის განვითარების, წინადადების შეთავაზებისა და ხარისხის მართვის პროცესში. ამ კუთხითაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მართებს ზემოთ აღნიშნულ რგოლთანაც მეტი კომუნიკაცია. დ) აგრეთვე, ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი უნივერსიტეტით კმაყოფილება. **დასკვნა:** 1. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების მიერ სტუდენტურ თვითმმართველობასა და სტუდენტებთანაც ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები 1) უნივერსიტეტის განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლისა და ფუნქციების შესახებ; 2) უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების/შეფასების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის სტუდენტების კვლევებში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში.

	2. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების მიერ სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართულობის გასაქტიურებლად ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. 3. საინფორმაციო შეხვედრების დასრულების შემდეგ შემუშავდეს კითხვარები, რომლის საშუალებითაც სტუდენტების მოტივაციის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი: სურთ თუ არა მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის განვითარებაში; ხედავენ თუ არა საკუთარ როლს განვითარების პროცესში. იღებენ თუ არა უკუკავშირს საკუთარ მოსაზრებებზე. 4. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ კითხვარის ფორმატი მოდიფიცირდეს იმ ფორმით, რომ კითხვის შინაარსი საშუალებას იძლეოდეს განისაზღვროს სტუდენტის ჩართულობის ტიპოლოგია, კერძოდ, ჩართულობის **ქცევითი, კოგნიტური** და **ემოციური** ფაქტორები. 5. სტუდენტებთან განახლდეს საკონსულტაციო შეხვედრები მათთვის საინტერესო საკითხებზე.
დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა	**ყოველწლიურად** • **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;** • **დოქტორანტის სასწავლო-სამეცნიერო რესურსებით უზრუნველყოფა;** • **დოქტორანტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;** • **ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;** • **დოქტორანტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.** **მოქმედი დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე, რადგან სტუდენტს საშუალება თუ ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილება, გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43. სტუდენტის უფლებები, შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; პერიოდულად მოახდინოს სადოქტორო პროგრამის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება; მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს საკუთარი მოსაზებები, ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში და სხვ.; **კვლევის მიზანი და ამოცანები** კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით, სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილების დონის განსაზღვრა. **კვლევის მეთოდოლოგია**

	კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა (საუნივერსიტეტო გარემოთი და სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილებასთან დაკავშირებით დოქტორანტების კვლევა). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების: ქართული ფილოლოგიის, ეკონომიკის, ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების მონაწილეობით Coogle-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას. გამოკითხვა ჩატარდა 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. **კვლევა ითვალისწინებდა:** **ა)** ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ პროგრამითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობის კმაყოფილებას). **ბ)** ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას; **გ)** ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას; **დ)** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად. **ე)** კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში; სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი სადოქტორო პროგრამები: ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა; ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა; აგრონომიის სადოქტორო პროგრამა; ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა; **დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანალიზი** დოქტორანტების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა შვიდი დოქტორანტი. კვლევის თითოეულ დებულებას დოქტორანტების მხრიდან გაეცა შემდეგი პასუხები (ზოგიერთი კითხვის შემთხვევაში დოქტორანტს შეეძლო დაეფიქსირებინა ერთი ან რამდენიმე პასუხი, ანუ მოენიშნა ყველა შესაბამისი ველი): 1. ***სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია*** *(მონიშნეთ ყველა შესაბამისი ველი).* ○ *სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა, უპასუხა 57,1 %-მა.* ○ *კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა, უპასუხა 85,7 %-მა.* ○ *შემოსავლების გაუმჯობესება, უპასუხა 28,6 %-მა.* ○ *პრესტიჟი უპასუხა, 14,3 %-მა.* ○ *და სხვ.* ***კითხვაზე: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია*** *დოქტორანტებს გაცემული აქვთ ყველა ის პასუხი, რომლითაც იკვეთება მიზანდასხულობა კონკრეტული სადოქოტორო პროგრამის მიმართ, რამ განაპირობა მათი არჩევანი. კერძოდ, დოქტორანტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს არის კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა (უპასუხა 85,7 %-მა), სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა (უპასუხა 57,1%-მა), შემოსავლების გაუმჯობესება (უპასუხა 28,6 %-მა), ხოლო პრესტიჟის საკითხი წარმოაჩინა 14,3%-მა.* 2. ***რატომ შეარჩიეთ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა*** *(მონიშნეთ ყველა შესაბამისი ველი).* ○ *სწავლების მაღალი ხარისხი, უპასუხა 28,6 %-მა.* ○ *ამავე უნივერსიტეტში დავასრულე ბაკალავრიატი და/ან მაგისტრატურა, უპასუხა 85,7 %-მა.*

	○ *მხოლოდ აქ ისწავლება ეს სპეციალობა, სადაც დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება შეიძლება* ○ *ეს სპეციალობა სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, მაგრამ აქ სწავლა შედარებით ხელმისაწვდომია, უპასუხა 71,4 %-მა.* ***კითხვაზე: რატომ შეარჩიეთ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა?*** *დოქტორანტებს გაცემული აქვთ ყველა ის პასუხი, რომლითაც ცალსახად იკვეთება სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლება-სწავლის პროცესით კმაყოფილება, რადგან დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილი პასუხობს, რომ ამავე უნივერსიტეტში დაასრულა ბაკალავრიატი და/ან მაგისტრატურა (უპასუხა 85,7%-მა). კვლევისას გამოიკვეთა პოზიცია, რომ პროგრამაზე, რომელზეც დოქტორანტი სწავლობს სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლება შედარებით ხელმისაწვდომია (უპასუხა 71,4 %-მა). სწავლების მაღალი ხარისხით კმაყოფილია გარკვეული რაოდენობა (28,6 %).* 3. ***კმაყოფილი ხართ თუ არა სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზების ხარისხით?*** *(თითო მწკრივში მხოლოდ ერთი ოვალის მონიშვნა).* ○ *დიახ, უპასუხა 100%-მა.* ○ *მეტწილად* ○ *ნაწილობრივ* ***კითხვაზე: კმაყოფილი ხართ თუ არა სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების ორგანიზების ხარისხით?*** *კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა კმაყოფილება (დიახ, უპასუხა 100%-მა), რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომელიც გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის (ინფორმაცია თითოეული პროგრამის შესახებ აღწერილია უნივერსიტეტის კატალოგში და განთავსებულია ვებგვერდზე. გარდა აღნიშნულისა, კონკურსანტთა მისაღები გამოცდები ტარდება ორგანიზებულად, დაცულია პროგამაზე მიღების წინაპირობები თანმიმდევრულად, ეტაპების შესაბამისად უცხოური/ქართული ენის B2 ცოდნის დონის დადგენა, სადოქტორო განაცხადის განხილვა და სპეციალობის გამოცდა.* 4. ***შეძელით თქვენს მიერ კვლევის პროცესში მიღებული შედეგების ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე წარდგენა?*** ○ *დიახ, უპასუხა 28,6 %-მა.* ○ *მომზადების პროცესში ვარ, უპასუხა 71,4 %-მა.* ○ *ვერ შევძელი* ***კითხვაზე: შეძელით თქვენს მიერ კვლევის პროცესში მიღებული შედეგების ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე წარდგენა?*** *კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა (დიახ, უპასუხა 28,6 %-მა, მომზადების პროცესში ვარ, უპასუხა 71,4 %-მა) დაადასტურა საკუთარი კვლევის შედეგების ეროვნულ ან/და საერთაშორისო სივრცეში, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზემონაწილეობა ან მზადება. აღნიშნულ საკითხებზე დოქტორანტებს კონსულტაციებს უწევენ საამეცნიერო ხელმძღვანელები და ეს მათი მოვალეობაც არის. უარყოფითი პასუხი არ დაფიქსირებულა.* 5. ***იცნობთ თუ არა პროგრამას, რომელზეც სწავლობთ*** *(მონიშნეთ მხოლოდ ერთი ოვალი)?* ○ *დიახ, უპასუხა 100 %-მა.* ○ *მეტწილად* ○ *ნაწილობრივ* ***კითხვაზე:*** *იცნობთ თუ არა პროგრამას, რომელზეც სწავლობთ? კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - დიახ (უპასუხა 100 %-მა), რაც უსათუოდ*

მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამის სტრუქტურა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. დოქტორანტი, საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

6. ***პროგრამის გეგმა (კურიკულუმი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს*** *(მონიშნეთ მხოლოდ ერთი ოვალი)?*
- *დიახ, უპასუხა 100 %-მა.*
- *მეტწილად*
- *ნაწილობრივ*

კითხვაზე: პროგრამის გეგმა (კურიკულუმი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს? *კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტმა ცალსახად დაადასტურა - დიახ (უპასუხა 100 %-მა), რაც უსათუოდ მოსალოდნელი იყო, რადგან თითოეულ სადოქტორო საგნმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კურიკულუმის სტრუქტურა, სწავლის მიზნები და შედეგები.* სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე, მოიცავს თანმიმდევრულ ეტაპებს, რომ სტუდენტმა დოქტორანტურაში სწავლება/სწავლის 3 წლის მანძილზე შეძლოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

7. **შეგიჩერებიათ თუ არა სტუდენტის სტატუსი?**
- დიახ, *უპასუხა 42,9 %-მა.*
- არა, *უპასუხა 57,1 %-მა.*

კითხვაზე: შეგიჩერებიათ თუ არა სტუდენტის სტატუსი? დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ სამმა დოქტორანტმა (დიახ, *უპასუხა 42,9 %-მა).*

8. **რა გამხდარა სტატუსის შეჩერების მიზეზი?** (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა) შეკითხვას უპასუხეთ მხოლოდ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში.
სასწავლო კომპონენტის დატვირთული გრაფიკი
დოქტორანტისადმი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში წაყენებული მაღალი მოთხოვნები შინაარსობრივი / შეფასების თვალსაზრისით
კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი ტექნიკური სირთულები, *უპასუხა 66,7%-მა.*
კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი შინაარსობრივი სირთულეები, *უპასუხა 33,3%-მა.*
ჯანმრთელობის მდომარეობა
დამსაქმებელთა/ პარტნიორთა კვლევა	**ყოველწლიურად** • სტუდენტთა და პერსონალთა ცნობიერების ამაღლება; • ერთობლივ ღონისძიებებში/პროგრამებში ჩართულობა; • ინტერნაციონალიზაციუის ხელშეწყობა; • მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა; • ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საჭიროების გამოკვეთა; • სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა; • კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდა.
პრაქტიკის ხელმძღვანელის კვლევა	**ყოველწლიურად** • საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა; • კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდა.
საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის კვლევები (ჩაღრმავებული ინტერვიუები, ხელმეორედ გამოკითხვა)	**საჭიროებისამებრ** • ინსტიტუციის გაძლიერების მიზნით

აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასება

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

✓ პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;
✓ სამიზნე ნიშნულები;
✓ სწავლის შედეგების შეფასება და სტუდენტის შეფასება;

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველი სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა). იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამის/ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პესონალთან ერთად. მათ მიერ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების დადარება.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს: გარკვეულ, კონკრეტულ/განმანტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასებას, გარკვეული პერიოდულობით, სწავლის შედეგების რუქის შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: (სტუდენტთა ნაშრომები, პრეზენტაციები, ესე, დამატებითი გამოცდა რომელსაც კრედიტი არ ენიჭება და ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.)

აღნიშნული შეფასებისას გამოვლინდება სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც ხდება ანალიზის გაკეთება, თუ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, რამდენმა პროცენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლა.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ახორციელებს გამოკითხვებისა და ანალიზის საფუძველზე კვლევებს, შესაბამისად, მონაცემთა ანალიზს, რისთვისაც მიმართავს გამოკითხვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს სწავლისა და სწავლების არსებითი ასპექტები, განისაზღვროს სწავლის შედეგების ზღვრული ნიშნული, მოხდეს ცალკეული დეტალების კორექცია და ახალი ნიშნულების განსაზღვრა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების

ანალიზი, რომლის დაკვირვება შესაძლებელია პროგრამულად. სწავლის შედეგების ყოველსემესტრულ ანალიზი რეგულარულად მზადდება და მუშავდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რასაც პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმო.

მონაცემთა პირველად ანალიზს იძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაანალიზდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით. 2021 წელს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი მომზადდა ოთხივე ფაკულტეტზე: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, იურიდიული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. ფაკულტეტები ანალიზის პროცესში მიმართავენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას და მექანიზმებს, მათ შორის უნდა დასახელდეს: გაუსის ტიპის განაწილება, დაკვირვება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე, საკვალიფიკაციო ნაშრომზე და სხვ. რა დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები და ჯგუფში შესაფასებელ სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა. პროგრამულად მომზადებული კველვები იმდენად გახდა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მათ საფუძველზე მიზნობრივად იგეგმება პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვება, გასაუმჯობესებელი მხარეებს განესაზღვრა და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმა კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველზე. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სპეციალობა-ინფორმაციული ტექნოლოგიები
საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ინფორმაციული ტექნოლოგიების
სწავლის შედეგის შეფასება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: კრებსითი გამოცდა, არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი შექმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პესონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების შედარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები		**სამიზნე ნიშნულები/**
	პირდაპირი	**არაპირდაპირი**	

	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
1. ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური დებულებების, თეორიების, კონცეფციების, პრინციპების, მონაცემთა ცნობილი სტრუქტურების, მათემატიკური აპარატის, თანამედროვე დაპროგრამების ენების, ვებ-გვერდის, მონაცემთა ბაზების, ქსელების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების ცოდნა;	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.** **Fx** -1%
4.მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-5%** **B-18%** **C-35%** **D-32%** **E-8%.** **F – 1 %.** **Fx** -1%
5. გამოიყენებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო) ეფექტური მართვისათვის ოპერაციული სისტემების სრულყოფილად ათვისების საფუძველზე უზრუნველყოფს პროგრამული საშუალებების და კომპიუტერული ქსელების ეფექტურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას.	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-5%** **B-18%** **C-35%** **D-32%** **E-8%.** **F – 1 %.** **Fx** -1%
6. დაამუშავებს რეკომენდაციებს ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა დარგებში, დანერგავს გამოყენებით პროგრამებს, გადაწყვეტილების მხარდამჭერ და ინფორმაციულ სისტემებს პრაქტიკულ მოღვაწეობაში.	კრებსითი გამოცდა	მე-6 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-5%** **B-18%** **C-35%** **D-32%** **E-8%.** **F – 1 %.** **Fx** -1%
7.მოიძიებს ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან პროფესიულ ინფორმაციის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, შეფასებს კრიტიკულად და დამუშავებს; ჩამოაყალიბებს დასკვნებს ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით	კრებსითი გამოცდა/ საბაკალავრო ნაშრომი	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა დაკვირვება (პროგრამის ხელმძღვანელის)	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-5%** **B-18%** **C-35%** **D-32%** **E-8%.** **F – 1 %.** **Fx** -1%

(როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პატივისცემს/დააფასებს პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულებას; დაცავს პროფესიული ეთიკას.					
8. აქვს სწრაფვა ინოვაციებისაკენ, ხასიათდება პასუხისმგებლობითა და აკადემიური პატიოსნებით. დაადგენს საკუთარი სწავლის შემდგომ საჭიროებებს.	კრებსითი გამოცდა/ საბაკალავრო ნაშრომი	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა დაკვირვება (პროგრამის ხელმძღვანელის)	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-5%** **B-18%** **C-35%** **D-32%** **E-8%.** **F – 1 %.** **Fx** -1%

მე-4 სწავლის შედეგის შეფასება პირდაპირი მეთოდით-კრებსითი გამოცდით.

4. სწავლის შედეგი-მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საგამოცდო ტესტი შედგებოდა შემდეგ საგანთა ბლოკისაგან: კალკულუსი, წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა.

მეორე კურსზე სიით ირიცხება 31 სტუდენტი, ტესტირებაში მონაწილება მიიღო 24-მა სტუდენტმა, მასალების დამუშავების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი შედეგი:



შეფასება A მიიღო ხუთმა სტუდენტმა - მთლიანი სტუდენტების 21 %-მა, ერთმა სტუდენტმა - მიიღო შეფასება B, მთლიანი სტუდენტების 4 %-მა, შვიდმა სტუდენტმა მიიღო შეფასება - C - მთლიანი სტუდენტების 29%-მა, ცხრა სტუდენტმა მიიღო შეფასება - D - მთლიანი სტუდენტების 38 %-მა, ორმა სტუდენტმა მიიღო შეფასება - E-მთლიანი სტუდენტების 8 %-მა.

შედეგი. მიღებული შედეგები შევადარეთ პროგრამის სამიზნე ნიშნულებს და შედეგი შედეგები დაფიქსირდა.

კრებსითი გამოცდის შედეგი/პროცენტი	**სამიზნე ნიშნულები**
A- 21 %	**A-5%**
B - 4 %	**B-18%**
C - 29%	**C-35%**
D -3 8%	**D-32%**
E - 8%.	**E-8%.**

F – 0 %.	F – 1 %.
Fx -0 %	Fx -1%



დასკვნა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მეორე კურსზე სწავლობს 31 სტუდენტი, ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 24 სტუდენტმა, რაც მთლიანი სტუდენტების 77 % -ს შეადგენს.

სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში ბევრად მაღალია შეფასება A-ს მაჩვენებელი, 21/5, რაც მეტყველებს რომ ჯგუფში საკმაოდ მომზადებული სტუდენტები არიან და მაღალია მათი აკადემიური მაჩვენებელი, შეფასება B-ში კი ბალანსი უარყოფითია 4/18, რაც აცილებულია სამიზნე ნიშნულს, C-ში სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულები ახლოს დგას ერმანეთთად 29/35 , D შეფასებაში ბალანსი ისევ დადებითია 38/32, E შეფასება ორივეგან 8 %, ხოლო Fx და F არ დაფიქსირებულა, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ყველა სტუდენტმა ამ სწავლის შედეგში მიიღო დადებითი შეფასება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 5 სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება - A , რაც მეტყველებს როგორც მაღალი აკადემიური მაჩვენებლების სტუდენტების არსებობით ჯგუფში, ასევე ამ საგნების პედაგოგების მაღალი კვალიფიკაციით, მაღალი მოთხოვნებით და სტუდენტების და პედაგოგების ნაყოფიერი მუშაობით.

ვთვლით, რომ მე-4 სწავლის შედეგი: ***მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.*** მიღწეულია.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შემუშავებულია „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ (დამკიცებულია „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომის ოქმი № 4, 2018

წლის 17 თებერვლის დადგენილება №14) მუხლი 7. „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარმოდგენის სავალდებულო ფორმა“, მე-15 პუნქტის „სწავლის შედეგების შეფასება“ შესაბამისად.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენენ პროგრამის ხელმძღვანელები ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ინფორმატიკის მიმართულების დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც **პირდაპირი,** ასევე **არაპირდაპირი** შეფასება.

პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, სადისერტაციო ნაშრომის შეფასება, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.

არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება და სხვ.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელები შექმნიან მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პესონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდით პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებულ სასწავლო და კვლევით კომპონენტში/ებში (სასწავლო კურსი/ები, სადისერტაციო ნაშრომი) მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება, პირდაპირი შეფასების მეთოდით სწავლის შედეგის შეფასებისას შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავდება, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვებას, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასებასდა სხვ. შედეგების ანალიზს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მომზადებულია კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. ასეთივე კითხვარი გაგზავნება კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
სწავლის შედეგი 1 აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა	**ცოდნა და გაცნობიერება, ანუ თეორიული ცოდნა** შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. სწავლების თანამედროვე მეთოდები; 2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; 3. სადოქტორო სემინარი; 4. პროფესორის ასისტენტობა; სადისერტაციო ნაშრომი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით.	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 3. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 2 აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების	**ცოდნა და გაცნობიერება, ანუ თეორიული ცოდნა** შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც	4. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური	სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 70%

გამოყენების აუცილებლობას.	მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. სწავლების თანამედროვე მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. პროფესორის ასისტენტობა; 4. სადისერტაციო ნაშრომი	შესრულებით და დაცვით.	შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 7. სტუდენტთა გამოკითხვა; 8. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 9. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 10. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 11.თემის ხელმძღვანელის შეფასება; 12.რეცენზენტის შეფასება	მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 5. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 6. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 3. გადაჭრის მრავალპარამეტრიან ამოცანებს LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის, ახდენს ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირებას და პროგრამული რეალიზებას;	**უნარები** შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. პროფესორის ასისტენტობა; სადიესრტაციო ნაშრომი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნააშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;	1. სწავლების პერიოდში, 2. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 3. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 4. დასაქმებიდან ერთი	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება

			3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	წლის შემდეგ	
სწავლის შედეგი 4 ახდენს ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირებას, ელექტრომაგნიტური შემთავსებლობას, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაციას;	**უნარები** შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. პროფესორის ასისტენტობა 4. სადისერტაციო ნაშრომი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. თემის ხელმძღვანელის შეფასება; 6. რეცენზენტის შეფასება	5. სწავლების პერიოდში, 6. პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 7. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 8. დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება

სწავლის შედეგი 5 იყენებს ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებას, აპროექტებს მონაცემთა ბაზებს, მონაცემთა ბაზებში ასრულებს მოთხოვნათა ოპტიმიზაციას ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით, მუშაობს დიდ მონაცემთა საცავებთან და აპროექტებს OLAP კუბებებს, იძიებს პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტურ გზებსა და იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად;	**უნარები** შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: 1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. პროფესორის ასისტენტობა; 4. სადისერტაციო ნაშრომი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 7. სტუდენტთა გამოკითხვა; 8. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 9. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 10. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 11.თემის ხელმძღვანელის შეფასება; 12.რეცენზენტის შეფასება	9. სწავლების პერიოდში, 10.პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 11.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 12.დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს და ახორციელებს კვლევებს, ეფექტურად წარმოაჩენს ახალი ცოდნას, მეცნიერულ დასკვნებსა და არგუმენტებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.	**უნარები** შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია,	13.სწავლების პერიოდში, 14.პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;	სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება

ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;	კომპონენტის საბოლოო შედეგებით: სწავლების თანამედროვე მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. სადისერტაციო ნაშრომი		ნაწილობრივ მიაღწია: 13.სტუდენტთა გამოკითხვა; 14.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 15.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 16. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 17.თემის ხელმძღვანელის შეფასება; 18.რეცენზენტის შეფასება	15.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 16.დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	
სწავლის შედეგი 7 სწავლება-სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესებში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახდენს ახალი იდეების ან პროცესების დემონსტრირებას, დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერული კვლევების შედეგებს კვლევის შედეგებს წარმატებით ნერგვას პრაქტიკაში.	**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** შემოწმდება მეშვიდე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგებით: სწავლების თანამედროვე მეთოდები; 2. სადოქტორო სემინარი; 3. სადისერტაციო ნაშრომი	ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სწავლების პერიოდში და სადოქტორო ნაშრომის შესრულებით და დაცვით	თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: 19.სტუდენტთა გამოკითხვა; 20.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 21.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 22. პროგრამის	17.სწავლების პერიოდში, 18.პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 19.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდგომ; 20.დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ	სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება

			ხელმძღვანელის დაკვირვება; 23.თემის ხელმძღვანელის შეფასება; 24.რეცენზენტის შეფასება		

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის მიხედვით **სწავლის შედეგი 1** წარმოდგენილია შემდეგი სახით:

აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა.

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიანი შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.

სამიზნე ნიშნულები	**სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები**
A - 10%	**66%**
B - 25%	**26%**
C - 30%	**15%**
D - 24%	**-**
E - 10%.	**-**
F - 1 %.	**-**

განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ A შეფასება წარმოდგენილია ყველაზე მეტი წილი 66%, B შეფასება 26% -რაც სამიზნე ნიშნულებს თითქმის ემთხვევა, **C** შეფასებაა 15%, ხოლო D ,E, F შეფასებები არ არის წარმოდგენილი.



მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.

ამდენად, მიზანი სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია



სწავლის შედეგი 2 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.

სამიზნე ნიშნულები	სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები
A - 10%	63%
B - 25%	24%
C - 30%	12%
D - 24%	-
E - 10%.	-

F - 1 %.	**-**

განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ A შეფასება წარმოდგენილია ყველაზე მეტი წილი 63%, B შეფასება 24% -რაც სამიზნე ნიშნულებს თითქმის ემთხვევა, **C** შეფასებაა 12%, ხოლო D ,E, F შეფასებები არ არის წარმოდგენილი.



ამდენად, მიზანი სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია



მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.

სწავლის შედეგი 3 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

გადაჭრის მრავალპარამეტრიან ამოცანებს LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის, ახდენს ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირებას და პროგრამული რეალიზებას;

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.
აღნიშნული სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნა:

სამიზნე ნიშნულები	სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები
A - 10%	59%
B - 25%	29%
C - 30%	12%
D - 24%	
E - 10%.	-
F - 1 %.	-

სასწავლო კურსების ერთიან შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამი სახის შეფასება A, B, C . წარმოდგენილი. ყველაზე მეტი წილი - 59% ეკუთვნის A შეფასებას და 29% B შეფასებებს. C შეფასება შეადგენს 12 %
მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.





ამდენად, მიზანი სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია

სწავლის შედეგი 4 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ახდენს ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირებას, ელექტრომაგნიტური შემთავსებლობას, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაციას;

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.

აღნიშნული სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნა:

სამიზნე ნიშნულები	**სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები**
A - 10%	**59%**
B - 25%	**29%**
C - 30%	**12%**
D - 24%	
E - 10%.	**-**
F - 1 %.	**-**

სასწავლო კურსების ერთიან შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამი სახის შეფასება A, B, **C** . წარმოდგენილი. ყველაზე მეტი წილი - 59% ეკუთვნის A შეფასებას და 29% B შეფასებებს. **C** შეფასება შეადგენს 12 %

მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.





ამდენად, მიზანი სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია

სწავლის შედეგი 5 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

იყენებს ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებას, აპროექტებს მონაცემთა ბაზებს, მონაცემთა ბაზებში ასრულებს მოთხოვნათა ოპტიმიზაციას ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით, მუშაობს დიდ მონაცემთა საცავებთან და აპროექტებს OLAP კუბებებს, იძიებს პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტურ გზებსა და იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად;

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.

აღნიშნული სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნა:

სამიზნე ნიშნულები	სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები
A - 10%	59%

B - 25%	29%
C - 30%	12%
D - 24%	
E - 10%.	-
F - 1 %.	-

სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამი სახის შეფასებაა A, B, C წარმოდგენილი. ყველაზე მეტი წილი - 59% ეკუთვნის A შეფასებას და 29% B შეფასებებს. C შეფასება შეადგენს 12 %. მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.



ამდენად, მიზანი სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია

სწავლის შედეგი 6 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით ეფექტურად წარმოაჩენს ახალი ცოდნას, მეცნიერული დასკვნებსა და არგუმენტების. ასევე უცხოურ ენაზე. ერთვება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში .

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი.

აღნიშნული სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნა:

სამიზნე ნიშნულები	სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები
A - 10%	65%
B - 25%	17%
C - 30%	17%
D - 24%	-
E - 10%.	-
F - 1 %.	-

სასწავლო კურსების ერთიან შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამი სახის შეფასება A, B, **C** . წარმოდგენილი. ყველაზე მეტი წილი - 56 % ეკუთვნის A შეფასებას. B და **C** შეფასება შეადგენს 17-17 %

მიღებული შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან, ასეთი სახით წარმოგვიდგება.





ამდენად, სამიზნე ნიშნული სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია.

სწავლის შედეგი 7 წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, აქვს ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. შეუძლია დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასება. ეს სასწავლო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, სადოქტორო სემინარი,სადისერტაციო ნაშრომი.

აღნიშნული სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე მიღებულ იქნა:

სამიზნე ნიშნულები	**სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების შედეგები**
A - 10%	**65%**
B - 25%	**17%**
C - 30%	**17%**
D - 24%	**-**
E - 10%.	**-**
F - 1 %.	**-**

სასწავლო კურსების ერთიანი შეფასების საფუძველზე გამოვლინდა იგივე შედეგი, რაც სწავლის შედეგი 6-ის შემთხვევაში. ყველაზე მეტი წილი - 56 % ეკუთვნის A შეფასებას. B და **C** შეფასება შეადგენს 17-17 %-ს.





ამდენად, სამიზნე ნიშნული სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 70% დადებითი შეფასება - მიღწეულია

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მომზადდა კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნა პროგრამის სწავლის შედეგები და დოქტორანტებმა აღნიშნეს თავიანთ მოსაზრება, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს.

სწავლის შედეგი №	**პროგრამის სწავლის შედეგები**	**მიღწეულია**	**მეტწილად მიღწეულია**	**ნაწილობრივ მიღწეულია**
1.	აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა.	✓		
2.	აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.	✓		
3.	გადაჭრის მრავალპარამეტრიან ამოცანებს LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის, ახდენს ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირებას და პროგრამული რეალიზებას;	✓		
4.	ახდენს ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირებას, ელექტრომაგნი-ტური შემთავსებლობას, დედაპლატის სხვადასხვა	✓		

	კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაციას;			
5.	იყენებს ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებას, აპროექტებს მონაცემთა ბაზებს, მონაცემთა ბაზებში ასრულებს მოთხოვნათა ოპტიმიზაციას ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით, მუშაობს დიდ მონაცემთა საცავებთან და აპროექტებს OLAP კუბებს, იძიებს პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტურ გზებსა და იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად;	✓		
6.	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს და ახორციელებს კვლევებს, ეფექტურად წარმოაჩენს ახალი ცოდნას, მეცნიერულ დასკვნებსა და არგუმენტებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას;		✓	
7.	სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, აქვს ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. შეუძლია დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება.		✓	

როგორც ვხედავთ, დოქტორანტები აღნიშნავენ, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია ან მეტწილად მიღწეულია. ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამას ჰყავს ერთი კურსდამთავრებული. იგივე კითხვარი გაგზავნილი იქნა კურსდამთავრებულთან. კურდამთავრებული აღნიშნავს, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრა დამსაქმებელთა გამოკითხვის საშუალებით.

პროგრამის ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ დამსაქმებლებს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა დამსაქმებელმა, სამივე მათგანმა აღნიშნა დასაქმებულების მაღალი კვალიფიკაცია და პროგრამის სწავლი შედეგების მიღწევა.

ამრიგად, სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდით მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სწავლის ყველა შედეგი მიღწეულია.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია:
სწავლება/სწავლის პროცესის არსებული მდგომარეობის განსაზღვრა; აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება სწავლა/სწავლების პროცესში;

აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარება; არსებული სასწავლო რესურსების სრულად გამოყენების შეფასება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და შემდგომი სრულყოფის გზების დასახვა; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელშეწყობა სწავლება/სწავლის, პედაგოგიკის ასპექტებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ტრენინგების უზრუნველყოფით; აკადემიური/მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა სწავლა/სწავლების არსებული პრაქტიკის კოლეგიალურ განხილვაში საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე; სწავლა/სწავლების საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა და იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის წახალისება, რომელიც ეფექტურად იყენებს სწავლება/სწავლის მეთოდებს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად; უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და გეგმების განხორციელებაში.

- თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება ურთიერთდასწრების გრაფიკი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას:
- ა) სააუდიტორიო მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დასწრების შესახებ;
- ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შესახებ.
- ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში ჩართულია: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი კი ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში დასწრების სურვილის არსებობის შემთხვევაში, რადგან ეს საკითხი ნებაყოფლობითია.
- შემუშავებული ურთიერთდასწრების გრაფიკი განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, პერსონალის ინფორმირებულობის მიზნით, გრაფიკის ამოქმედებამდე ერთი-ორი კვირით ადრე.
- სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია მეცადინეობის დაწყებამდე სტუდენტებს აცნობოს, რომ მათ ესწრება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლის მიზანია სწავლების პროცესზე (და არა სტუდენტებზე) დაკვირვების საშუალებით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება (სრულყოფა/დახვეწა), ხოლო აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების მიზანია კოლეგებს შორის მოხდეს სწავლა/სწავლების ან/და შეფასების სისტემის კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.
- ურთიერთდასწრების ფორმატი ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ლექცია-სემინარზე დაკვირვების ოქმის წარმოებას ხოლო აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმის წარმოებას.
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით.
- მიღებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი და რეკომენდაციები მომზადდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაცული იყოს შედეგების ანონიმურობა). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციების განხილვა მოხდება ერთობლივად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად E-Flow შემოვიდა 400-მდე კორესპონდენცია და 292 პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა: - საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან

დაკავშირებული საკითხები; - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები ძირითადი სტრუქტურირებული საგანმანათლებლო ერთეულებიდან, ცენტრალური ადმინისტრაციებიდან; - სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება; - უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი თემები; - საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები; - მიმოწერა ხარისხის გარე და შიდა აქტორებთან; - კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან. საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშრებულ თემებზე.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის სამსახურის მანდატის ფარგლებში ცვლილებები შევიდა „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, „მაგისტრატურის დებულება“, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“, საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში“.

ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის ხარისხის კულტურა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციულ კულტურასთან და მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის განვითარებაზე და ხასიათდება ორი განსხვავებული ელემენტით: ერთი მხრივ, იგი მოიცავს საერთო ღირებულებების, რწმენის, მოლოდინებისა და ვალდებულებების კულტურულ-ფსიქოლოგიურ ელემენტებს, ხოლო მეორე მხრივ, პროცესებით განსაზღვრული სტრუქტურებისა და მენეჯმენტის ელემენტებს, რომლებიც ზრდიან ხარისხს და უზრუნველყოფენ ინდივიდუალური და ჯგუფური ძალისხმევის კოორდინაციას.

1.5. ხარისხის კულტურის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს მენეჯმენტსა და პერსონალს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება დელეგირების პრინციპს. ძირითადი პასუხისმგებლობა, ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, თუმცა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური/მოწვეული პერსონალი სრულად უნდა იყოს ჩართული ხარისხის უზრუნველყოფაში. სპეციფიკური პასუხისმგებლობები უნდა გადანაწილდეს დელეგირების პრინციპის შესაბამისად. ხარისხის კულტურა არის ცალკეული კადრებისა და კოლექტიური ორგანიზაციული ვალდებულების შედეგი, რომელიც უწყვეტი გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ამგვარ კულტურაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები მოიაზრება როგორც გაუმჯობესებისა და განვითარების საშუალება. ხარისხის კულტურა ემყარება თანმიმდევრულ, ერთიან და ჩართულობაზე ორიენტირებულ ხარისხის სისტემას, რომელიც:

- მჭიდროდაა დაკავშირებული ინსტიტუციურ ცვლილებებთან;
- ეფუძნება გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურ შიდა პროცესებსა და სტრუქტურას;
- კონტექსტისადმი მგრძნობიარეა და ითვალისწინებს განსხვავებულ ორგანიზაციულ და დისციპლინურ კულტურას;
- ორიენტირებული და დაფუძნებულია არა დასჯაზე, არამედ განვითარებაზე.
- იგი ასახავს მომწოდებლის ავტონომიურობასა და თავდაჯერებულობას, პერსონალისადმი და სტუდენტებისადმი ვალდებულებასა და უკუკავშირს.

1.6. ხარისხის კულტურის დანერგვისათვის საჭიროა უნივერსიტეტმა იხელმძღვანელოს მიდგომით: სტანდარტიზაციისა და ღონისძიებების სისტემატიზაციის პროცესში გაითვალისწინოს ადმინისტრაციულ და აკადემიურ ერთეულებს შორის განსხვავებები; შეიმუშაოს ისეთი კრიტერიუმები და ნორმები, რომლის მიხედვითაც წარმატებები და გასაუმჯობესებელი მხარეები კონსტრუქციული და გამჭვირვალე ფორმით იქნება მისაღები.

1.7. ხარისხის კულტურა ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციაში ხარისხზე პასუხისმგებელია ყველა თანამშრომელი და არა მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

1.8. ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით, საჭიროა ინსტიტუციაში ყველა მონაწილეს ჰქონდეს მის მიმართ კუთვნილების განცდა, რათა წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის განვითარებაში.

1.9. ხარისხის კულტურის კიდევ ერთი მაჩვენებელი არის მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გათვალისწინება. ამასთან, უნივერსიტეტში არსებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები/ ცვლილებები გაზიარებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებთან.